http://www.tsu.ge/newspaper

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

საქართველოს უსაფრთხოება ევროპის უსაფრთხოებაა

ალმა მატერ

უნივერსიტეტი

14 ნოემბერი, პარასკევი, 2008 წ. №13 (2080)

თსუ-ში სტუდენტის დასაქმების პერსპექტივებზე იმსჯელეს

თუ გადავხედავთ ჩვენს ქვეყანაში შრომის ბაზრის მოთხოვნილებას, დავრწმუნდებით, რომ ახალკურსდამთავრებული სპეციალისტის დასაქმების შანსი თითქმის ნულის ტოლია, რადგან დამსაქმებელი პროფესიონალს ეძებს, რომელსაც სამუშაო პრაქტიკის გამოცდილება და გარკვეული უნარ-ჩვევები ექნება. ახალკურსდამთავრებულს ასეთი გამოცდილება არ გააჩნია და ის გარკვეული დროის მანძილზე დაუსაქმებელი რჩება. მისი დაოსტატებისთვის ნაკლებად თუ შეიწუხებს თავს ვინმე. სწორედ ამიტომ იზრდება ყოველწლიურად დროებით უმუშევარ სპეციალისტთა რიცხვი და, ამასთან ერთად, საზოგადოებას უჩნდება გარკვეული უნდობლობა უმაღლესი განათლების მიღების პერსპექტივის მიმართ. ეს პრობლემა დღეს ძალიან აქტუალურია და დიდ ყურადღებას იმსახურებს როგორც საზოგადოების, ასევე, სახელმწიფოს მხრიდან. თუ ყველანი არ გავერთიანდებით მის დასამარცხებლად, მომავალში უმუშევარ სპეციალისტთა დიდ არმიას მივიღებთ, რაც ქვეყანაში არასასიკეთო სოციალურ ძვრებს გამოიწვევს.

თამარ მარუაშვილი

ამ პრობლემის დარეგულირებისა და გადაჭრის შესაძლო გზების მოძიებით დაინტერესებულია თსუ-ის ხელმძღვანელობაც. სწორედ ამ ეგიდით, 23 ოქტომბერს თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა შეხვდა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სპეციალობის IV კურსის ოთხ წარჩინებულ სტუდენტს ერთწლიანი სტიპენდია დაუწესეს — თვეში ასი ლარის ოდენობით.

შეხვედრას ესწრებოდნენ ფედერაციის წარმომადგენლები, ასევე, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ჯამლეტ ჯანჯღავა და ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი ელენე ხარაბაძე.

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია — ეს არის პროფესიული ორგანიზაცია, სადაც გაერთიანებულები არიან სერტიფიცირებული, პროფესიონალი ბუღალტრები და აუდიტორები. ფედერაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ბუღალტრის, როგორც სპეციალისტის პროფესიული მომზადება, კვალიფიკაციის გადამზადება და შემდეგ პროფესიონალის სტატუსის მინიჭება. ეს ორგანიზაცია, ასევე, ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს მცირე ბიზნესისთვის, მონაწილეობს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომისიის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თარგმნაში.

„ჩვენი ძირითადი ორიენტირი გახლავთ ის, რომ საქართველოში ამ პროფესიის ადამიანების კვალიფიკაცია იმდენად მაღალი იყოს, რომ დღევანდელი დღის მოთხოვნებს პასუხობდეს. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ ვიხილავთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებსაც ამ პროფესიაში აკადემიური განათლება აქვთ მიღებული, არამედ იმათაც, ვინც უმაღლესი სასწავლებელი სხვა სპეციალობით დაამთავრა. პროფესიაში დახელოვნება ხდება ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ინსტიტუტის პროგრამით, ამ პროგრამაში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან ბევრი სტუდენტია ჩართული. სანამ სტუდენტები აკადემიურ განათლებას მიიღებენ, პარალელურად შეუძლიათ გარკვეული საგნები ჩააბარონ პროფესიული სერტიფიცირების თვალსაზრისით და, ამით, მათ შემდგომ კარიერას შეუწყონ ხელი“, — ბრძანა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის თავმჯდომარემ რევაზ ძაძამიამ.

რაც შეეხება სტიპენდიების დანიშვნის საკითხს, ეს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის ყრილობამ რამდენიმე წლის წინ გადაწყვიტა. დაწესდა სახელობითი სტიპენდია იმ სტუდენტისთვის, ვისაც ამ სპეციალობაში კარიერული ზრდა აქვს გადაწყვეტილი. აქედან გამომდინარე, ფედერაციამ ორიენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე აიღო, ვინაიდან სწორედ იგი გახლავთ მნიშვნელოვანი წამყვანი კადრების მომზადებაში, როგორც რიცხობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

მე-2 გვერდზე

მეცნიერების კომერციალიზაციის კუთხით ესტონეთი საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებს

3-6 ნოემბერს თსუ-ში ჩატარდა ტრენინგი ესტონეთში არსებული ინოვაციის ხელშემწყობი თანამედროვე სტრუქტურების და ტექნოლოგიების გადაცემის ორგანიზაციების შესახებ. ინტელექტუალური საკუთრება, კომერციალიზაცია, დამოუკიდებელ საწარმოთა გამოყოფა — ეს ის საკითხებია, რომელიც ამ ტრენინგზე იქნა განხილული და ესტონელი სპეციალისტების მიერ გაზიარებული.

თამარ მარუაშვილი

საქართველოსთვის ესტონეთის გამოცდილების გაზიარება ინოვაციისა და ტექნოლოგიის გადაცემის ხელშემწყობი სტრუქტურების განვითარებაში (პროექტი INNO-TRANS) ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოში მეცნიერების კომერციალიზაცია ძალიან ნელი ტემპებით მიმდინარეობს და, ჯერჯერობით, არასისტემურადაც. ქართველი მეცნიერებისთვის ძალიან საინტერესოა იმ გამოცდილების გაზიარება, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს სისტემურად ეს ინფრასტრუქტურა, როგორი უნდა იყოს სახელმწიფოებრივი მიდგომა ამ საკითხისადმი, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ინსტიტუციონალური, ფინანსური და ინოვაციური სისტემები.

როგორც პროექტის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა იაგორ კალანდაძემ აღნიშნა: „ეს არის ერთობლივი პროექტი გამოცდილების ტრანსფერის შესახებ. საქართველოში დაწყებულია მეცნიერების კომერციალიზაციის პროცესი, ესტონელი სპეციალისტების გამოცდილების გაზიარება კი მას უფრო სისტემურსა და აქტუალურს გახდის“.

პროექტ INNOTRANS-ისმომზადება დაიწყო 2006 წლის ზაფხულში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საინოვაციო ცენტრთან თანამშრომლობით.

ინოვაციისა და ტექნოლოგიის გადაცემის ხელშემწყობი მდგრადი და განვითარებადი სტრუქტურების შექმნაში ესტონეთში არსებული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, მისი საქართველოსთვის წარმოდგენისა და აზრების გაზიარების მიზნით 2007 წელს Invent Baltics OU-ს მიერ მომზადდა საპროექტო წინადადება, რომელიც დაფინანსდა 2008 წელს ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განვითარების თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში.

პროექტის შესრულების პროცესისკოორდინაციას ახორციელებს Invent Baltics OU - ინოვაციური ბიზნესის საკონსულტაციო კომპანია, რომელიც კლიენტებს დახმარებას უწევს ახალი იდეების კონკურენტუნარიან პროდუქციად ან მომსახურებად გარდაქმნაში, ამისათვის საჭირო პარტნიორების მოძიებაში, შექმნილი პროდუქტის თუ მომსახურების კომერციალიზაციასა და ახალ ბაზრებზე დამკვიდრებაში.

მე-2 გვერდზე

რუსული საფრთხე ევროპისთვის
მე-4 გვერდზე

აფხაზურ საზოგადოებაში უკმაყოფილება თანდათან ფეხს იკიდებს
მე-5 გვერდზე

საქართველოს სერიოზული ეკონომიკური პროგრამა სჭირდება
მე-6 გვერდზე

რა გვაყოვნებს ცივილიზებული სამყაროს კარიბჭესთან
მე-7 გვერდზე

უნივერსიტეტს გიორგი ახვლედიანის პირადი გიბლიოთეკა გადაეცა
მე-10 გვერდზე

გამოფენა პატრიარქის მოღვაწეობის უკეთ გაცნობას ისახავს მიზნად
მე-11 გვერდზე

„სინათლე სიმართლეა!“ — რეზო ჩხეიძის ახალი ფილმის მთავარი მესიჯი
მე-11 გვერდზე

თსუ-ში სტუდენტის დასაქმების პერსპექტივებზე იმსჯელეს

პირველი გვერდიდან

ფედერაციამ სთხოვა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრას, რომელთანაც ფედერაციას ხანგრძლივი კავშირი აქვს, წარმოედგინა მისთვის ის სტუდენტები, რომლებიც აკადემიური მაჩვენებლებიდან გამომდინარე ამ სტიპენდიას იმსახურებდნენ.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი ოთხი სტუდენტიდან ფედერაციას მხოლოდ ორი უნდა აერჩია.

„ჩვენ ფედერაციაში ოთხი ერთნაირი მონაცემების სტუდენტი გავაგზავნეთ. იმის გამო, რომ ოთხივე სტუდენტმა მომზადების მაღალი დონე გამოავლინა, ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ ოთხივესთვის დაენიშნა სტიპენდია მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმასაც, რომ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია საქართველოში ერთადერთი პროფესიული ორგანიზაციაა, რომელსაც აკრედიტაცია მიღებული აქვს საერთაშორისო ბუღალტერთა კომიტეტის მიერ. ეს ორგანიზაცია ერთადერთია საქართველოში, რომელიც ხელმძღვანელობს ბიზნესის დარგში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებს, ამ საკითხების ორგანიზებას, სტანდარტების მომზადებას, მის გავრცელებას, ხოლო 2000 წლიდან იგი ბუღალტერიისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით მუშაობს“, — აღნიშნა ქალბატონმა ელენე ხარაბაძემ.

თსუ-ის IV კურსის სტუდენტებისთვის სტიპენდიის დანიშვნა, გარკვეულწილად, წამახალისებელი ღონისძიებაა. სტიპენდიანტები, რა თქმა უნდა, ამ სფეროში გააგრძელებენ თავის საქმიანობას, ისინი საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მომავალი სრულუფლებიანი წევრები გახდებიან.

„ეს არის ერთ-ერთი ხიდი უმაღლეს სასწავლებელსა და პროფესიულ ორგანიზაციას შორის. პირი, რომელიც სერტიფიცირებულია პროფესიული ორგანიზაციის მიერ და ვისაც პროფესიონალის სერტიფიკატი აქვს მინიჭებული, ის ყველა დამსაქმებლისთვის სასურველი კადრი ხდება არა მარტო საქართველოში, არამედ ქვეყნის საზღვრებს გარეთაც, რამეთუ 2000 წლიდან ჩვენ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრები ვართ. თითქმის ყველა ორგანიზაციისა თუ დაწესებულებისთვის ცნობილია ჩვენი ფედერაციის საქმიანობა და, შესაბამისად, ჩვენს მიმართ ნდობის ხარისხიც დიდია“, — ბრძანა რევაზ ძაძამიამ.

როგორც მოგეხსენებათ, პროფესიის სრულყოფილად დაუფლება უმაღლეს სასწავლებელში შეუძლებელია. ამა თუ იმ სპეციალობის კურსდამთავრებულს თუ სამუშაო პრაქტიკა არ აქვს გავლილი, ძნელია მისი პროფესიონალად აღიარება. საერთაშორისო მოთხოვნაც ასეთია, რომ ადამიანს რა დონის განათლებაც უნდა ჰქონდეს მიღებული, ყველა შემთხვევაში, მას საერთაშორისო პრაქტიკით მოეთხოვება 3 წლის მუშაობის სტაჟი. ეს არის მაჩვენებელი იმისა, რომ მან გარკვეული უნარ-ჩვევები გამოიმუშავა, რომელიც პროფესიონალს უნდა ახასიათებდეს.

„ყველა სტუდენტი დაინტერესებულია დასაქმების პერსპექტივით. მივესალმები თქვენს ინიციატივას, დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ, რომელიც, გარკვეულწილად, სტუდენტის მოტივაციასაც ზრდის. პროფესიული ორგანიზაციის მიერ აღიარებული სპეციალისტი უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ის, ვისაც არა აქვს ასეთი აღიარება. ჩვენი მიზანია, განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭოთ პრაქტიკული პროექტების შემუშავებას სტუდენტთა სტაჟირების თვალსაზრისით. თუ სტუდენტი სწავლების პერიოდში თეორიული ცოდნის გარდა პრაქტიკულ ჩვევებსაც შეიძენს, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება მისი პროფესიონალად ჩამოყალიბების თვალსაზრისით“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ.

ახალგაზრდა სპეციალისტი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით ყველა დამსაქმებლისთვის მისაღები კადრია და ის, რა თქმა უნდა, საკუთარი ადგილის მოძებნას შრომის ბაზარზე სხვებთან შედარებით ადვილად მოახერხებს.

ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიული ორგანიზაციებისა და უმაღლესი სასწავლებლების მოთხოვნებისა და ინტერესების დაახლოება. ორივე მხარემ უნდა განსაზღვროს, თუ რა ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება შეუძლიათ, რათა სტუდენტთა პროფესიული მომზადების დონე უფრო მეტად დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ მიმართულებით ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი და გასაკეთებელი.

უნდა განვითარდეს კონტაქტები უმაღლეს სასწავლებლებსა და ბიზნეს-სექტორს შორის, რომელიც სასიკეთოდ წაადგება სტუდენტის პროფესიულ მომზადებას. ბიზნეს–სექტორი უნდა დაინტერესდეს ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული დაოსტატების საკითხით, მათი სტაჟირებითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით, რადგან მომავალში ბიზნესის წარმატებულად განვითარება სწორედ მათი მაღალპროფესიული მომზადებით იქნება გარანტირებული.

ასევე უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობაც უნდა დაინტერესდეს თავისი სტუდენტის, როგორც მომავალი პროფესიონალის დასაქმების პრობლემით, რადგან თუ მისი სასწავლებლის კურსდამთავრებული არ არის სასურველი და მისაღები კადრი შესაფერისი პროფილის ორგანიზაციისთვის, მაშინ სასწავლებლის პრესტიჟი დაეცემა და კონკურენტუნარიანი აღარ იქნება სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან მიმართებაში.

ჯამლეტ ჯანჯღავამ აღნიშნა, რომ ახლო მომავალში დაგეგმილია ფაკულტეტის ბაზაზე სტუდენტთა დასაქმების ცენტრის გახსნა. პრაქტიკული ჩვევების გამომუშავება მოხდება როგორც ამ ფაკულტეტზე, ასევე სხვადასხვა ფინანსურ წრეებში, ბიზნეს-სექტორში... მომზადდება პროგრამა, რომელიც შეავსებს ვაკუუმს პრაქტიკასა და სწავლებას შორის, რომელიც ახალკურსდამთავრებულს მოუხსნის სტაჟირების პრობლემას და გამოუცდელი სპეციალისტის იმიჯს, რომელსაც ყველა დამსაქმებელი გაურბის. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივაა, რომელიც ახალბედა სპეციალისტისთვის გააადვილებს შრომის ბაზარზე საკუთარი ადგილის პოვნასა და ღირსეულად თავის დამკვიდრებას.

მეცნიერების კომერციალიზაციის კუთხით ესტონეთი საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებს

პირველი გვერდიდან

ესტონეთის მხრიდან პროექტის შესრულებაში მონაწილეობენ ესტონეთის განვითარების ფონდის, არქიმედესის ფონდისა და ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის წარმომადგენლები. საქართველოს მხრიდან პროექტის ძირითადი პარტნიორია თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი.

პროექტი INNOTRANS-ი მოიცავს ინტერაქტიულ ტრენინგებს და სასწავლო ვიზიტებს. პროექტის მთავარ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოს სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ჩართულნი არიან კვლევის, განვითარებისა და ინოვაციის პოლიტიკაში, ასევე საქართველოში არსებული ტექნოლოგიის გადაცემისა და საინოვაციო საქმიანობის მხარდამჭერი სტრუქტურების მენეჯერები, საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წამყვანი მეცნიერები და ადმინისტრატორები. პროგრამა ითვალისწინებს 11 თვის განმავლობაში (2008 წლის მაისი - 2009 წლის მარტი) 4 სესიის ჩატარებას, მათ შორის სამი სესია გაიმართება საქართველოში, ერთი — ესტონეთში.

პროექტის მსვლელობის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება ესტონეთის განვითარების მოდელი და გამოცდილება ტექნოლოგიის გადაცემის სფეროში. ოთხივე სესიის განმავლობაში, როგორც თეორიული (ლექციები, სემინარები), ისე პრაქტიკული მიდგომის (ორგანიზაციებში ვიზიტები) გამოყენებით განიხილავენ მეცნიერების პოლიტიკასთან, საინოვაციო მხარდაჭერის სისტემასთან, კომერციალიზაციასთან, ინტელექტუალურ საკუთრებასთან, ევროკავშირის დაფინანსების წესებთან და ა.შ. დაკავშირებულ საკითხებს.

3 ნოემბერს ტრენინგის გახსნას ესწრებოდნენ ესტონელი ექსპერტები ინდრეკ იაკობსონი (ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ცენტრის ხელმძღვანელი), ტონის ვერმე (Invent Baltics OU-ის პარტნიორი) და სიიმ ლაანელაიდი (Invent Baltics OU-ის კონსულტანტი). ტრენინგზე მოწვეული იყვნენ სხვადასხვა ქართული უნივერსიტეტების, სამეცნიერო თუ ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები.

„ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ ერთ-ერთმა პირველებმა ვცადეთ მეცნიერების კომერციალიზაციის პროცესში ჩაბმა. მეცნიერების კომერციალიზაცია დროის მოთხოვნაა და თუ იგი არ განვავითარეთ, ქვეყანას მომავალი არ ექნება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა დავეუფლოთ მეცნიერების კომერციალიზაციას, ინტელექტუალური საკუთრების გაყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს“, — აღნიშნა გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა ნუგზარ ღლონტმა.

საქართველოში მეცნიერების კომერციალიზაციის პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით, ასევე, მნიშვნელოვანია იმ საკანონმდებლო ბაზის არსებობა, რომელიც ამ პროცესს დაარეგულირებს. არსებული კანონმდებლობა დღეს ნაკლებად იძლევა ამის შესაძლებლობას. სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ხელშეწყობა კანონმდებლობით უნდა იყოს გამაგრებული. აუცილებელია საკითხისადმი სისტემური მიდგომა, რაშიც ესტონელი ექსპერტები გვეხმარებიან.

„ძნელბედობის ჟამს ჩვენ ყველანაირად მხარში ამოგიდგებით და სიამოვნებით გაგიზიარებთ საკუთარ გამოცდილებას — თუ როგორ განვახორციელეთ მეცნიერების კომერციალიზაცია, რა ფაქტორი მუშაობს და რა — არა მაღალი ტექნოლოგიების მრეწველობის პროცესში. მართალია, თქვენს ქვეყანაში დაიწყო მეცნიერების კომერციალიზაციაზე სერიოზული ფიქრი და მუშაობა, ტარდება ტრენინგები, მაგრამ, პირველ რიგში, ამ ყველაფერს სისტემური მიდგომა სჭირდება. ჩვენი მთავარი ამოცანაა ამ პრობლემის გადაჭრაში დაგეხმაროთ“, — აღნიშნა ესტონელმა ექსპერტმა ინდრეკ იაკობსონმა, რომელმაც საინტერესოდ ისაუბრა ინოვაციის ხელშეწყობაზე ევროკავშირის ჩარჩოებში, დაფინანსების წყაროებზე ევროკავშირში შესვლამდე და შესვლის შემდეგ და მარკეტინგზე, როფორც სამეწარმეო უნივერსიტეტის შექმნის წარმატების გასაღებზე.

ტრენინგის მსვლელობისას ესტონელი ექსპერტები ქართველ სპეციალისტებს უზიარებდნენ — თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ტექნოლოგიის გადაცემის სამსახური, როგორც გამართულად მოქმედი ორგანიზაცია, თუ როგორ უნდა დავიცვათ ინტელექტუალური საკუთრება, თუ როგორ მოვაწყოთ დაპატენტების სისტემა და მისი სტატისტიკა, თუ რა სახეობები არსებობს ინტელექტუალური საკუთრებისა.

ინტელექტუალური საკუთრების წარმატებული მენეჯმენტის წესებზე, საპატენტო განაცხადის მომზადებასა და პრიორიტეტულობასთან დაკავშირებული ძიების პრინციპებსა და სირთულეებზე, ინტელექტუალურ კომერციალიზაციასა და სხვადასხვა ვარიანტებზე, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე საინტერესოდ ისაუბრა ესტონელმა ექსპერტმა ტონის ერმემ, ხოლო ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სამეწარმეო პირველ ნაბიჯებზე შთამბეჭდავად მოგვითხრო ინდრეკ იაკობსონმა.

საინტერესოდ წარიმართა შემაჯამებელი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ თსუ-ის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე, ესტონეთის ელჩი საქართველოში თომას ლუკი, ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე რუსლან ქარქუსოვი, პრეზიდენტის მრჩეველი მეცნიერების საკითხებში ალექსანდრე ღონღაძე, საქართველოში მოქმედი სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების წარმომადგენლები. ესტონელმა ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს ქართველი მეცნიერებისა და სპეციალისტების აქტიურობას, მათი მხრიდან დიდ დაინტერესებას არსებული საკითხებისადმი და რაც მთავარია, მათ მზადყოფნას — გაეცნონ, გაიზიარონ და შეისწავლონ ყველა ის აქტუალური საკითხი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების კომერციალიზაციის პროცესს დააჩქარებს. ესტონელმა სპეციალისტებმა იმედი გამოთქვეს, რომ საქართველოში ეს პროცესი ისეთივე წარმატებით განხორციელდება, როგორც ესტონეთში. პროექტის ფარგლებში გაწეული საქმიანობა აისახება სასწავლო მასალების კრებულში, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება საქართველოში ინოვაციისა და ტექნოლოგიის გადაცემის ხელშემწყობი სისტემის მიზანმიმართული განვითარებისათვის. მომზადდება ლექციების კურსი და სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროექტებში ერთობლივი მონაწილეობის მიღების მიზნით დამყარდება კონტაქტები სამომავლო თანამშრომლობისთვის.

იმედია, მეცნიერების კომერციალიზაციაში გამოკვეთილი ორივე ხაზი: მეცნიერებიდან ბიზნესისაკენ (ტექნოლოგიების გადაცემა) და ბიზნესიდან მეცნიერებისაკენ (ინვესტიციების შემოსვლა) საქართველოში აუცილებლად იპოვის აქტიურ მხარდამჭერებსა და გულშემატკივრებს, რომლებიც ქვეყნის მომავალს ამ პროცესების სრულყოფილად წარმართვაში ხედავენ.

თსუ-სა და ფილოსოფიის ინსტიტუტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოში განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთი მოთხოვნა სამეცნიერო და სასწავლო პროცესის უფრო მეტად დაახლოება და გაერთიანებაა. ამ მოთხოვნის საფუძველზე, თსუ ცდილობს პარტნიორული ურთიერთობები დაამყაროს სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, რომელთაც სამაგალითო მეცნიერული ბაზა და სამეცნიერო პოტენციალი გააჩნიათ. ასეთი ურთიერთთანამშრომლობა ორივე მხარეს სასარგებლოდ წაადგება, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანას, რომელიც, საბოლოოდ, მაღალი დონის პროფესიონალსა და სპეციალისტს მიიღებს. ეს საკითხი კარგად აქვს გაცნობიერებული თსუ-ის ხელმძღვანელობას და, ხშირ შემთხვევაში, სწორედ თავად გამოდის ასეთი ურთიერთთანამშრომლობის დამყარების ინიციატორი, თუმცა სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტთან მემორანდუმის გაფორმება ორივე მხარის დაინტერესებითა და ინიციატივით მოხდა.

თამარ მარუაშვილი

საქართველოში ფილოსოფიის ინსტიტუტი, როგორც სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება, დაარსდა 1946 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტთან შექმნილი ფილოსოფიის სექტორის ბაზაზე.

ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით უფროსი თაობის გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსებს: შ. ნუცუბიძეს, ს. დანელიას, კ. ბაქრაძეს, ს. წერეთელს და სხვა.

საქართველოში ფილოსოფიური განათლების ისტორია იწყება კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლის დაარსებით (ფაზისი. .III ს.), სადაც რიტორიკა და არისტოტელეს ფილოსოფია ისწავლებოდა.

ფილოსოფიური განათლების ქართული ცენტრები არსებობდა საზღვარგარეთაც: პეტრე იბერის სკოლა სირიაში (VI ს.), ათონის ივერთა მონასტერი საბერძნეთში (X ს.), პეტრიწონის სემინარია (აკადემია) ბულგარეთში (XI ს.), ფილოსოფიურ განათლებაში ახალი ეტაპი იყო გელათის აკადემია და იყალთოს აკადემია, სადაც მოღვაწეობდნენ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი.

საქართველოში ფილოსოფიური განათლების აღორძინება დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებასთან, რომლის პირველი და ერთადერთი ფაკულტეტი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი იყო. აქ მაღალ პროფესიულ დონეზე გაგრძელდა ფილოსოფიური განათლების ტენდენციები. 1940 წ. თსუ-ში გაიხსნა ფილოსოფიის ფაკულტეტი, რომელიც ამზადებს ფილოსოფიაში სამეცნიერო კადრებს, ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ ფაკულტეტის ურთიერთთანამშრომლობა სხვადასხვა ფილოსოფიურ-სამეცნიერო დაწესებულებებთან, რათა სასწავლო პროგრამები უფრო დახვეწილი, ხარისხიანი და საინტერესო იყოს.

სწორედ ამ ეგიდით, 23 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტთან, რომლის მიზანია ამ ორი სტრუქტურის ურთიერთთანამშრომლობის განვითარება და განმტკიცება. იღებენ რა მხედველობაში სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ რა ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალის სრულად გამოყენების შესაძლებლობას ახალგაზრდა თაობების განათლებისა და პროფესიული სრულყოფის სფეროში, ორივე მხარეს კარგად ესმის საუნივერსიტეტო და აკადემიური ინსტიტუტების მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობა და აუცილებლობა.

მხარეები წაახალისებენ ურთიერთობათა განვითარებას ფილოსოფიური დისციპლინების მიმართულებით განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში და განახორციელებენ თანამშრომლობას ორმხრივი ინტერესების შესაბამისად. მხარეები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას და განახორციელებენ ურთიერთსანაცვლო ვალდებულებებს. თსუ ხელს შეუწყობს: ინსტიტუტის თანამშრომელთა შრომების პოპულარიზაციას თავად უნივერსიტეტში და მის პარტნიორ უნივერსიტეტებში; ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა საჯარო ლექციების წაკითხვას თსუ-ში; მოთხოვნილების შესაბამისად, აუდიტორიების, სალექციო და საკონფერენციო დარბაზების გამოყოფას ინსტიტუტის საჭიროებისათვის; თსუ-ის საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობას ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის.

ინსტიტუტი კისრულობს რა თსუ-ის ფილოსოფიის დარგში საბაზო საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ბაზის) როლის შესრულებას, იღებს ვალდებულებას ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური ძალების სრული გამოყენებით დაამყაროს სამმხრივი სამეცნიერო ურთიერთობები მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან საერთო კვლევისა და სამეცნიერო პროექტის შესასრულებლად. იგი მზადაა — ითანამშრომლოს თსუ-სთან ფილოსოფიური დისციპლინების მიმართულებით ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ეტაპებზე სტუდენტთა მოსამზადებლად; უზრუნველყოს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები შესაბამისი სამეცნიერო ბაზით; მისცეს საშუალება თსუ-ის სტუდენტებსა და პროფესორებს ისარგებლონ ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკით.

მემორანდუმის გაფორმებას ესწრებოდნენ ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი ირაკლი კალანდია, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი სერგი ავალიანი, თეორიული ფილოსოფიისა და ლოგიკის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მამუკა დოლიძე, ინსტიტუტის კულტურის ფილოსოფიის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ მთიბელაშვილი, ეთიკისა და ესთეტიკის განყოფილების გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გერონტი შუშანაშვილი, ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ირმა წერეთელი, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილების გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ანზორ ბრეგაძე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კახა ქეცბაია, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი თეიმურაზ ფანჯიკიძე.

„ჩვენ ვიქნებით აქტიურად ჩართულნი იმ სასწავლო პროცესებში, რაც თსუ-ში მიმდინარეობს. უნივერსიტეტი გვაძლევს შესაძლებლობას, დავამყაროთ სამმხრივი, პარტნიორული ურთიერთობები მსოფლიოს და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან. ეს კიდევ უფრო ინტენსიურს და მასშტაბურს გახდის ჩვენს კონტაქტებს სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან, უცხოელ სპეციალისტებთან და კოლეგებთან. მემორანდუმის გაფორმებით ჩვენი ტრადიციული ურთიერთობა თსუ-სთან იღებს ოფიციალურ ფორმასა და სახეს“, — აღნიშნა სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა ირაკლი კალანდიამ.

მემორანდუმის მიხედვით დასახული მიზნების განხორციელება ფილოსოფიური მიმართულებების პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

„ჩვენ უნდა შევძლოთ, გავააქტიუროთ ჩვენი ინტერესები. თსუ გთავაზობთ აუდიტორიასთან კონტაქტის შესაძლებლობას, დანარჩენი კი თქვენს პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, კერძოდ კი იმაზე, თუ რა დაინტერესებას გამოიწვევს ფილოსოფიურ პრობლემებზე საუბარი, მსჯელობა და კამათი ახალგაზრდებში. ეს სერიოზული გამოწვევაა და ამას კარგად გააზრებული, საინტერესოდ მომზადებული და ხარისხიანი ლექციებისა თუ სემინარების კურსი სჭირდება.. უნდა მოიძებნოს და შეირჩეს ახალგაზრდებისათვის მიმზიდველი თემები, საკითხები, პრობლემები, რათა სტუდენტები დავაინტერესოთ და ასე უზრუნველვყოთ მისი პოპულარიზაცია. მოგეხსენებათ, სტუდენტები ყველაზე კარგი ინდიკატორები არიან...“ — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

უცხოელი ექსპერტების შეფასებით, სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით და აღმოსავლეთ ევროპაშიც ითვლებოდა და დღესაც ითვლება ლიბერალურ-დემოკრატიული აზროვნების ერთ-ერთ წამყვან ცენტრად. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში, როდესაც მარქსიზმი იყო ფილოსოფიაში გაბატონებული, საქართველოში ჭეშმარიტი ფილოსოფია მაინც არსებობდა და ინსტიტუტში ფილოსოფიას თავისი ძირითადი ფუნქცია არ დაუკარგავს. დიდი რეზონანსი ჰქონდა 1965 წელს მოწყობილ საკავშირო სიმპოზიუმს ღირებულების პრობლემაზე. „ეს იყო მაშინ გაუგონარი და უპრეცედენტო რამ... ღირებულების პრობლემის დამუშავების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ეთიკის, ესთეტიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პრობლემების წარმატებული კვლევა და ინსტიტუტში შესაბამისი განყოფილებების გახსნა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ფილოსოფიური მეცნიერების განვითარების მხრივ. სასურველია, ინსტიტუტის სივრცეში ეს ფილოსოფიური კვლევები არ „ჩაიკეტოს“ სხვადასხვა კრებულებისა თუ მონოგრაფიების სახით და არ გახდეს იგი ხელმიუწვდომელი ფართო საზოგადოებისთვის, ფილოსოფიური საკითხებით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის“, — აღნიშნა ირაკლი კალანდიამ. ფილოსოფოსისათვის ნამდვილად აუცილებელია აუდიტორიასთან კონტაქტი, რასაც ამ დარგის სპეციალისტები შედარებით მოკლებულნი არიან. დღეს ფილოსოფიური ასპექტები შეიძლება მოვიძიოთ ყველგან: ბიზნესში, მეწარმეობაში, კომერციალიზაციაში და სხვ. ამიტომ ესა თუ ის ფილოსოფიური საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამედროვე ინოვაციურ თუ ტექნოლოგიურ პრობლემებთან. ამ პრობლემის ფილოსოფიური ხედვა და გადაწყვეტა ნამდვილად საშური საქმეა, რომელიც საშუალებას გვაძლევს სხვა კუთხით მივუდგეთ პრობლემურ საკითხს და იგი ალტერნატიული, ახლებური გზით გადავწყვიტოთ. სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტს გააჩნია სათანადო სამეცნიერო პოტენციალი და სამეცნიერო ბაზა, რათა ეს საკითხები უფრო სხვა, საინტერესო რაკურსით წარმოადგინოს. „მე გთავაზობთ, რომ ურთიერთთანამშრომლობას თსუ-სთან ჰქონდეს ინსტიტუციონალური ხასიათი, მაგალითად, მუდმივმოქმედი სემინარის სახით. ფილოსოფოსები „დიოგენის კასრიდან“ უნდა გამოვიდნენ და უფრო მეტად უნდა დაუახლოვდნენ საზოგადოებას“, — დასძინა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ. ეს პრობლემა დღეს მართლაც რეალურად დგას ქართული საზოგადოების წინაშე. ფილოსოფია ხომ სიბრძნის სიყვარულია, ქვეყნის პროგრესი კი მოვლენებისა და პროცესების სიბრძნისეული შეფასებებით არის მხოლოდ შესაძლებელი.

ლექცია

უცხოეთში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა „საიუბილეო სკოლის“ ფარგლებში ლექციები წაიკითხეს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლისთავთან დაკავშირებით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულებაზე ევროპის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა 13-დან 22 ოქტომბრამდე „საიუბილეო სკოლის“ ფარგლებში ლექციები წაიკითხეს.

მაია ტორაძე

პროექტმა დიდი ინტერესი გამოიწვია მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებს, ბაკალავრიატის სტუდენტებსა და მაგისტრანტებს შორის.

იტალიის ლა ქუილას უნივერსიტეტის პროფესორმა ზურაბ ბერეჟიანმა სტუდენტებს გააცნო „ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკისა და კოსმოლოგიის აქტუალური საკითხები“. ლექტორმა ისაუბრა სამყაროს წარმოშობის (დიდი აფეთქების) თეორიაზე, დიდ ასტრონომიულ მასშტაბებში სამყაროს ერთგვაროვნებაზე, ინფლაციურ მოდელზე, ნეიტრინოების მასისა და ოსცილაციების პრობლემებზე, თანამედროვე ელემენტარული ნაწილაკების „ზოოპარკზე“ და ერთმანეთთან მათ ურთიერთქმედებებზე.

დუბლინის ტრინიტი კოლეჯის ნატურალური ფილოსოფიის საუნივერსიტეტო კათედრის (1847) გამგემ, ჰამილტონის მათემატიკის ინსტიტუტის (ირლანდია) დირექტორმა, პროფესორმა სამსონ შათაშვილმა წაიკითხა ორი მოხსენება: „სიმთა თეორიის თანამედროვე საკითხები“ და „სუპერსიმეტრიული ყალიბრული თეორია და მრავალნაწილაკოვანი კვანტური სისტემები“.

პირველ ლექციაზე პროფესორმა სამსონ შათაშვილმა განიხილა სიმთა თეორიის რთული მათემატიკური საკითხები და ამ თეორიის საფუძველზე ელემენტარული ნაწილაკების აგების პრობლემები. მეორე ლექციაზე კი ისაუბრა სუპერსიმეტრიული ყალიბრული თეორიის კონცეპტუალურ საკითხებზე და ისინი მრავალნაწილაკოვან კვანტურ სისტემებთან დააკავშირა.

პოლონეთის ზელენა გორას უნივერსიტეტის ი. კეპლერის ასტრონომიის ინსტიტუტის პროფესორმა გიორგი მელიქიძემ წაიკითხა ლექცია თემაზე — „პულსარების ასტროფიზიკა“. ლექტორმა მოკლედ მიმოიხილა თანამედროვე ასტროფიზიკის ეგზოტიკური ობიექტების — პულსარების ფიზიკის აღმოჩენის, მათზე შემდგომი დაკვირვების და არსებული თეორიული მოდელების მდგომარეობა. აღინიშნა, რომ პულსარების გამოსხივება შეუძლებელია აიხსნას სითბური გამოსხივების საფუძველზე და აუცილებელია პოლარიზაციული მოვლენების განხილვა, რომელიც ჯერ კიდევ 1952 წელს შენიშნა ქართველმა ასტრონომმა დ. ვაშაკიძემ.

პროფესორებმა ზურაბ ბერეჟიანმა, სამსონ შათაშვილმა და გიორგი მელიქიძემ უპასუხეს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს. კითხვა-პასუხის დროს გამართულ დისკუსიაში მონაწილეობდნენ სტუდენტები, რომლებმაც მომზადების მაღალი დონე გამოავლინეს.

„საიუბილეო სკოლის“ დასრულების შემდეგ ქართველმა მეცნიერებმა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან თანამშრომლობის პერსპექტივები დასახეს.

ახალი ეროვნული უნივერსიტეტი

რუსული საფრთხე ევროპისთვის

აგვისტოს მოვლენებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ევროპამ კარგად უწყის იმპერიული რუსეთის მავნებლური პოლიტიკის არსი. სამხრეთ ოსეთში და მის ფარგლებს გარეთ წამოწყებულ ფართომასშტაბიან აგრესიას ევროპაში „აღშფოთების გამოხატვით“ დაუპირისპირდნენ და საქართველო-რუსეთს შორის მიღებული 6 პუნქტიანი შეთანხმების შესრულებაზე ერთგვარი მონიტორინგის დაწესებით შემოიფარგლნენ. ევროპამ რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის გამო ვერ ითავა აგრესორისთვის სანქციების დაწესება, რადგან ისტორია მას მწარე გამოცდილებას კარნახობს. რუსეთი გამოუსწორებელი აგრესორია, რომლის პოლიტიკური ხედვაც სხვა სახელმწიფოებისთვის რაც შეიძლება მეტი ზიანის მიყენებაზეა ორიენტირებული. იგი სწორედ ამით საზრდოობს და ამიტომ ცდილობს ევროპაც, რომ რუსეთი ზედმეტად არ გაამძვინვაროს. რა საფრთხეს წარმოადგენს რუსეთი ევროპისთვის, რა იდეა-ფიქსით არის იგი შეპყრობილი და რამდენად შესაძლებელია — მისგან წამოსული საფრთხე ევროპულმა სახელმწიფოებმა თავიდან აიცილონ? — ამ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე ისტორიკოსი ვახტანგ გურული ისტორიულ პარალელებს და დასკვნებს გვთავაზობს.

რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოების ურთიერთობაში, ერთი შეხედვით, თითქოს, განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. ომები, ხანმოკლე თუ ხანგრძლივი ზავები, ტერიტორიის გადანაწილება და გავლენის სფეროს დადგენა — სახელმწიფოთა ურთიერთობაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ყოველივე ამის მიღმა აშკარად ჩანს ერთი კანონზომიერება: რუსეთი ევროპისთვის წარმოადგენდა საფრთხეს. საფრთხეში, ამ შემთხვევაში, არ ვგულისხმობთ მხოლოდ ევროპის რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიის ერთბაშად მიტაცებას ან გავლენის სფეროს მოპოვებას. საფრთხეს ქმნიდა რუსეთის მისწრაფება — გაბატონებული მდგომარეობა დაეკავებინა ევროპაში და ემართა ევროპის სახელმწიფოები. ამ იდეის გაჩენის დროისათვის და შემდეგ საუკუნეებშიც რუსეთი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების დონით ბევრად ჩამოუვარდებოდა ევროპის სახელმწიფოებს. ეს იმას ნიშნავდა, რომ იდეას განხორციელება არ ეწერა. რუსეთში ასე არ ფიქრობდნენ. გაცილებით მაღალგანვითარებულ სამყაროზე ბატონობას რუსეთი დიდი არმიის საშუალებით აპირებდა. რუსეთს შეეძლო იმოდენა ლაშქარი შეეკრიბა, რამდენსაც ორი-სამი ევროპული სახელმწიფო ერთად ვერ შეკრებდა. მიუხედავად ამისა, ევროპის ქვეყნების დაპყრობას და იქ საოკუპაციო რეჟიმის ერთბაშად დამყარებას რუსეთი ვერ შეძლებდა. სამაგიეროდ, რუსეთს შეეძლო გამუდმებული, ხანმოკლე და ხანგრძლივი ომებით ევროპის ქვეყნებში სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმალური მსვლელობა დაერღვია, შეეფერხებინა ეკონომიკის სტაბილური განვითარება, დაეძაბა ვითარება. გარკვეული პერიოდიდან რუსული სახელმწიფოებრიობა სწორედ ამ იდეის რეალიზებაზე აეწყო. ევროპისათვის ეს მეტად საშიში იყო. ევროპის სახელმწიფოები რუსული სახელმწიფოს წესით ვერ იარსებებდნენ. ევროპას ხსნის სხვა გზა უნდა ეპოვნა. ამ გზის პოვნა კი ადვილი არ აღმოჩნდა.

რუსეთი, როგორც ევროპის საფრთხე, კიევის რუსეთის არსებობის პერიოდში (IX-XII სს.) შეიძლება ითქვას, არც არსებობდა. ეს განპირობებული იყო ორი მიზეზით: პირველი: კიევის რუსეთში სახელმწიფოებრიობა ის-ის იყო ყალიბდებოდა, ევროპასთან დაპირისპირებისათვის აუცილებელი ეკონომიკური სიძლიერე და მრავალრიცხოვანი არმია კიევის რუსეთს არ გააჩნდა. იმხანად მთელი ძალები ბიზანტიის წინააღმდეგ იყო მიმართული. მეორე: კიევის რუსეთს თავს ესხმოდნენ აღმოსავლეთიდან მოსული მომთაბარე ხალხები (პაჭანიკები, ყივჩაღები). მომთაბარეებთან მუდმივი ომები, დაძაბული ვითარება (პაჭანიკები და ყივჩაღები კიევამდე აღწევდნენ) კიევის რუსეთის აქტიურობას დასავლეთით შეუძლებელს ხდიდა. რუსეთი, როგორც ევროპისთვის საშიში ძალა, საცნაური ხდება მოსკოვის რუსეთის ჩამოყალიბების პერიოდიდან (XV საუკუნიდან).

რუსეთი რეალურ საფრთხედ გვევლინება დიდი მთავრის ივანე III (1462-1505 წწ.) და მეფე ივანე IV მრისხანის (1533-1584 წწ.) მმართველობის წლებში. ამ პერიოდში რუსეთმა მიზნად დაისახა: ევროპისთვის ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცის ჩაკეტვა და მისი კონტროლი. რუსეთში კარგად იცოდნენ, რომ ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცის დახურვა ევროპის სახელმწიფოებს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდა. ოსმალეთის მიერ კონსტანტინოპოლის აღებისა (1453 წ.) და ბიზანტიის იმპერიის განადგურების შემდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა ოსმალეთის გაბატონება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებსა და მთლიანად შავ ზღვაზე, ევროპას აზიის ქვეყნებთან ურთიერთობის გზები გადაეჭრა. ვითარება კიდევ უფრო გართულდა ხმელეთაშუა ზღვაში ოსმალეთის პოზიციების განმტკიცებით. ევროპის სახელმწიფოებს აზიასთან სავაჭრო კავშირი რუსეთზე გამავალი გზებით უნდა დაემყარებინა. ერთ-ერთი ასეთი გზა თეთრი ზღვის სანაპიროზე ქ. არხანგელსკთან იწყებოდა. გზა ჯერ ხმელეთზე გადიოდა, ხოლო შემდეგ მდ. ვოლგით კასპიის ზღვამდე, ქ. ასტრახანამდე აღწევდა. კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროდან ერთი სახმელეთო გზა აღმოსავლეთით — ინდოეთისაკენ მიემართებოდა, მეორე სამხრეთისკენ — სპარსეთისა და არაბული ქვეყნებისაკენ. აზიისაკენ მიმავალი მეორე გზა ბალტიის ზღვის ნავსადგურებთან იწყებოდა, შემდეგ გზა მდინარე ვოლგაზე გრძელდებოდა და კასპიის ზღვამდე, ქ. ასტრახანამდე აღწევდა. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა თუ ევროპიდან აზიისაკენ მიმავალი სავაჭრო გზები რუსეთს რომ ეფექტურად გამოეყენებინა და აემოქმედებინა, ქვეყნის ეკონომიკა სწრაფად განვითარდებოდა და რუსეთიც ევროპულ სამყაროს მჭიდროდ დაუკავშირდებოდა. დაიწყებოდა ორივე მხარისთვის სასარგებლო ურთიერთობა, მაგრამ რუსეთმა სხვა გზა აირჩია.

ევროპიდან აზიისაკენ მიმავალი გზის ევროპისთვის დახურვა რუსეთმა უპირველეს ამოცანად დაისახა და ამ მიზნის მიღწევისთვის შემდეგი ღონისძიებები გაატარა:

პირველი: დაიწყო ომი ბალტიისპირეთის დაპყრობისთვის. რუსეთს სურდა ბალტიის ზღვის სანაპიროების დაპყრობა და ევროპისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სავაჭრო გზის საწყისი პუნქტების ხელში ჩაგდება. მართალია, ოცდახუთწლიანი ომი (1558-1583 წწ.) რუსეთის მარცხით დასრულდა, მაგრამ ივანე IV მრისხანემ ის მაინც შეძლო, რომ ბალტიის ზღვიდან აზიისაკენ მიმავალი გზა ევროპამ პრაქტიკულად ვერ გამოიყენა.

მეორე: რუსეთი ცდილობდა ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცე სხვა მიმართულებითაც დაეცვა. ამ მიზნით რუსეთმა ბელორუსიის ტერიტორიაზე ლიტვის სახელმწიფოს შევიწროება სცადა. 1492-1494 წლებსა და 1500-1503 წლებში ივანე III ლიტვასთან ომობდა. ომები შემდგომშიც გრძელდებოდა.

მესამე: ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცის ჩაკეტვა უკრაინაში პოლონეთის პოზიციების შესუსტებასა და ყირიმის სახანოს ლიკვიდაციას ითხოვდა. ეს ამოცანა XVI საუკუნეში ვერ გადაიჭრა, თუმცა რუსეთმა იმას კი მიაღწია, რომ 1552 წელს ყაზანის, ხოლო 1556 წელს ასტრახანის მონღოლური სახანოები გაანადგურა და ევროპის სახელმწიფოებს უკრაინის გავლით ასტრახანამდე მიღწევისა და კასპიის საზღვაო გზის გამოყენების საშუალება მოუსპო.

ამრიგად, XV-XVI საუკუნეებში რუსეთმა შეძლო არ დაეშვა რუსეთის გავლით ევროპიდან აზიისაკენ მიმავალი სავაჭრო გზების ამოქმედება, რითაც ძლიერი დარტყმა მიაყენა ევროპის ქვეყნების ეკონომიკას. ეკონომიკურად რუსეთიც ძლიერ დაზარალდა. ამ შემთხვევაში მხოლოდ ტრანზიტით მიღებულ შემოსავალს არ ვგულისხმობთ. ომებმა ბალტიისპირეთში, პოლონეთთან, ლიტვასთან, ყირიმისა და ასტრახანის სახანოებთან რუსეთის ეკონომიკას დიდი ზიანი მოუტანა. ამის მიუხედავად, რუსეთი, როგორც ევროპის საფრთხე, არსებობას განაგრძობდა და ამ „მისიის“ გაგრძელებაზე უარის თქმას არ აპირებდა.

ევროპის ქვეყნებმა ქრისტიანულ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება რომ ვერ შეძლეს, ოსმალეთისა და სპარსეთის ხელისუფლებას მოურიგდნენ. გარკვეული პერიოდიდან ეფექტურად ამოქმედდა სავაჭრო გზა ოსმალეთისა და სპარსეთის ტერიტორიის გავლით. სავაჭრო გზამ ამ ქვეყნებს დიდი შემოსავალი მოუტანა.

XVI საუკუნის მიწურულსა და XVII საუკუნის დამდეგს რუსეთი დასუსტდა, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა მოიშალა, ქვეყანა ქაოსმა მოიცვა. ამით ისარგებლეს შვედეთმა და ჟეჩ პოსპოლიტამ და რუსეთს ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაატოვებინეს. როგორც კი რუსეთი წელში გაიმართა, ევროპისთვის ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცის ჩაკეტვა მისთვის კვლავ აქტუალური გახდა. მეფე ალექსი მიხეილის ძის (1645-1682 წწ.) მმართველობის პერიოდში რუსეთმა უკრაინის დაპყრობის მიზნით ჟეჩ პოსპოლიტას წინააღმდეგ ხანგრძლივი ომი (1654-1667 წწ.) აწარმოა და ჟეჩ პოსპოლიტას უკრაინის ნაწილი (დნეპრის მარცხენა სანაპირო) დაათმობინა.

რუსეთი, როგორც ევროპის საფრთხე, მთელი სისრულით წარმოჩნდა პეტრე I-ის (1696-1725 წწ.) და მისი მემკვიდრეების დროს. ამ პერიოდისთვის (XVIII საუკუნის დამდეგი) ევროპას აზიის ქვეყნებთან სახმელეთო და საზღვაო გზებით ვაჭრობა შესანიშნავად ჰქონდა აწყობილი და ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცის დახურვა ევროპის სახელმწიფოებს დიდად არ აღელვებდათ. ევროპისთვის უფრო აქტუალური იყო თვით რუსეთის ბაზარი. რუსეთის ბაზარზე შეღწევისთვის ევროპის სახელმწიფოებს აუცილებლად სჭირდებოდათ ბალტიისა და თეთრი ზღვის სანაპიროზე არსებული ნავსადგურების ამოქმედება, თეთრი ზღვა — ვოლგა — კასპიის ზღვა და ბალტიის ზღვა — ვოლგა — კასპიის ზღვა სავაჭრო გზების ეფექტურად გამოყენება. პეტრე I-ის ეკონომიკურმა პოლიტიკამ ევროპის სახელმწიფოებს რუსეთის ბაზრის ათვისების ხალისი დაუკარგა. პეტრე I ცდილობდა ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობაში აქტიური ბალანსის შენარჩუნებას, ანუ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით რუსული საქონელი გაეტანა ევროპაში და ნაკლები შემოეტანა. ამიტომ იყო, რომ რუსეთსა და ევროპას შორის ვაჭრობის მასშტაბები ძალზე შეიზღუდა. ევროპის სახელმწიფოებს რუსეთიდან მხოლოდ აუცილებელი საქონელი გაჰქონდათ და ისიც ძალზე შეზღუდული რაოდენობით.

პეტრე I არ იყო ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი. მას კონსტანტინოპოლის დაცემის (1453 წ.) შემდეგ მოსკოვის რუსეთის მიერ გაცხადებული დოქტრინის — „მოსკოვი — მესამე რომი, მეოთხე აღარ იქნება“ — მხოლოდ პოლიტიკური (უფრო ზუსტად, სამხედრო-პოლიტიკური) ასპექტი აინტერესებდა. რეალურად „მესამე რომის“ იდეის რეალიზება პეტრე I-მა დაიწყო. რუსეთის აგრესია რამდენიმე მიმართულებით განვითარდა: 1) 1696 წ. — აზოვის ციხე-სიმაგრის აღება და მდ. დონის შესართავის მიტაცება; 2) 1700-1721 წწ. — ბალტიისპირეთის დაპყრობა და შემოერთებული ტერიტორიის ათვისების დაწყება; 3) 1708-1709 წწ. — უკრაინისა და ბელორუსიის ნაწილის მიტაცება; 4) 1711 წ. — რუსეთის არმიის შეჭრა დუნაისპირეთში და ბალკანეთის დაპყრობის მცდელობა; 5) 1722-1723 წწ. — რუსეთის არმიის შეჭრა კასპიისპირეთში და სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილის დაპყრობის მცდელობა.

პეტრე I-მა პრაქტიკულად რუსეთის კონტროლს დაუქვემდებარა უზარმაზარი სივრცე ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე — პეტერბურგიდან აზოვის ციხე-სიმაგრემდე. პეტრე I-ის მეფობის წლებში გამოიკვეთა სამი სტრატეგიული მიმართულება — რუსეთის მომავალი აგრესიის სფეროები: დასავლეთით (ბელორუსიის გავლით პოლონეთისკენ); სამხრეთ-დასავლეთით (უკრაინის გავლით ბალკანეთისკენ); სამხრეთით (დნეპრის ქვემო წელით ყირიმის ნახევარკუნძულისკენ); სამხრეთ-აღმოსავლეთით (ვოლგის დელტიდან კასპიის ზღვის სანაპიროთი სამხრეთ კავკასიისკენ).

ხსენებული ოთხი სტრატეგიული მიმართულებიდან მთავარი იყო პირველი და მეორე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბალტიისპირეთში მყარად დამკვიდრებული რუსეთი ევროპაში შეჭრისთვის ემზადებოდა. რუსეთმა კარგად გამოიყენა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული დაპირისპირება. კერძოდ, პრუსიის გაძლიერებით შეშფოთებულმა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა (საფრანგეთი, ავსტრია და სხვ.) დახმარებისთვის რუსეთს მიმართეს. იმპერატორი ელისაბედ I (1741-1761 წწ.) ანტიპრუსიულ კოალიციაში ჩაება. შვიდწლიანი ომის (1757-1763 წწ.) დროს რუსეთმა პრუსიის არმია გაანადგურა და 1760 წელს ბერლინიც დაიკავა. მართალია, რუსეთმა პრუსიის ტერიტორია მალევე დატოვა, მაგრამ პრუსიამ, როგორც რუსეთის მეტოქემ, ბალტიისპირეთში სერიოზული დარტყმა განიცადა.

მალე რუსეთმა ახალი წარმატებები მოიპოვა. პრუსიასთან და ავსტრიასთან ერთად დასუსტებული ჟეჩ პოსპოლიტას სამად დანაწილებით (1772, 1793, 1795 წწ.) პოლონეთის დიდი ნაწილი (ვარშავითურთ) მიიტაცა. ეკატერინე II-მ (1762-1796 წწ.) ოსმალეთთან ომში ორგზის (1768-1774 და 1787-1791 წლებში) გამარჯვების შემდეგ ყირიმის სახანო შეიერთა და მთელ შავიზღვისპირეთში გაბატონდა. რუსეთს ბალკანეთში შეჭრის რეალური შესაძლებლობა მიეცა.

ამრიგად, პეტრე I-ის მიერ დასახული ოთხი სტრატეგიული მიმართულებიდან მისმა მემკვიდრეებმა სამი მიმართულებით (დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის) დიდი წარმატებები მოიპოვეს. რუსეთი ევროპისთვის რეალურ საფრთხედ იქცა.

რუსეთისაგან მომდინარე დიდი საფრთხე ზუსტად შეაფასა ნაპოლეონმა და გადამჭრელი ღონისძიებებიც გაატარა. ნაპოლეონი კარგად ხედავდა, რომ XVIII საუკუნეში რუსეთის მიერ ბალტიისპირეთის, პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილის, ბელორუსიის, უკრაინის, ყირიმის ნახევარკუნძულისა და მთელი ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დაპყრობა, პრაქტიკულად, დასავლეთ ევროპისთვის ომის გამოცხადებას მოასწავებდა. ევროპა რუსეთთან ურთიერთობაში დაშვებული შეცდომების ნაყოფს იმკიდა. ამ ურთულეს ვითარებაში ნაპოლეონმა რუსეთის ევროპული სამყაროს ნაწილად გადაქცევის იდეა წამოაყენა. ევროპა და რუსეთი ერთ სამყაროდ უნდა ქცეულიყო. მხოლოდ ამის შემდეგ შეწყვეტდა რუსეთი ევროპის საფრთხედ არსებობას. ამ დიდი იდეის რეალიზებისთვის აუცილებელი იყო ერთი წინაპირობის შესრულება — ნაპოლეონს რუსეთის არმია უსწრაფესად უნდა გაენადგურებინა. 1812 წელს ნაპოლეონი რუსეთთან ომში დამარცხდა და დიდი იდეაც დასამარდა. ევროპელი მონარქები ნაპოლეონის დამარცხებას ზეიმობდნენ და ვერც კი ამჩნევდნენ, რომ გამარჯვებული რუსეთი ევროპას კიდევ უფრო დიდ საფრთხეს შეუქმნიდა. ვენის კონგრესი და „საღვთო კავშირის“ შექმნა (1814-1815 წწ.) ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა.

„საღვთო კავშირმა“, მიუხედავად იმისა, რომ მან ევროპაში რუსეთის ყოფნა დააკანონა, დადებითი როლი შეასრულა — ევროპა ასი წლის განმავლობაში (1815-1914 წწ.), ასე თუ ისე, ერთ სამყაროს წარმოადგენდა. ეს სამყარო პირველი მსოფლიო ომის დაწყებით (1914 წ.) დაინგრა. ამაში რუსეთს ვერ დავადანაშაულებთ — სხვა სახელმწიფოების ბრალი გაცილებით დიდი იყო.

1917 წელს, დიდი პოლიტიკური კრიზისის შემდეგ, საბჭოთა რუსეთის (შემდეგში საბჭოთა კავშირის) ხელისუფლების სათავეში მოსულმა ბოლშევიკებმა ძველი იდეის ხორცშესხმა დაიწყეს — რუსეთი (საბჭოთა კავშირი) ევროპის საფრთხედ აქციეს. „მსოფლიო რევოლუციის“ კომუნისტური იდეა, პირველ რიგში, სწორედ ევროპის წინააღმდეგ იყო მიმართული. რუსეთისგან მომდინარე საფრთხე ევროპაში ზუსტად აღიქვეს. 1918-1920 წლებში ევროპის ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი) და ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო ძალითა და „თეთრი მოძრაობისადმი“ მხარდაჭერით ცდილობდნენ რუსეთში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას, მაგრამ ამაოდ. მარცხის შემდეგ დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოები რუსეთთან თანამშრომლობის (დე ფაქტო აღიარების) გზას დაადგნენ. ასეთი პოლიტიკა შექმნილი ვითარებით იყო განპირობებული.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების (1918 წ.) შემდეგ გარკვეული მიზეზების გამო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა დაიძაბა. ომისგან დანგრეულ ევროპას ესაჭიროებოდა სურსათი (პირველ რიგში პური) და მრეწველობისთვის აუცილებელი ნედლეული (ნავთობი, მარგანეცი და სხვ.). ომისგან დანგრეული ეკონომიკის აღდგენა ევროპას შეეძლო ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით. ეს ევროპისათვის მიუღებელი იყო, რადგან დახმარების სანაცვლოდ ამერიკა ევროპას პოლიტიკურ მოთხოვნებს უყენებდა. ევროპელმა პოლიტიკოსებმა ომისგან დანგრეული ეკონომიკის აღდგენა საბჭოთა რუსეთის დახმარებით გადაწყვიტეს, რადგან რუსეთი ევროპას ვერავითარ პოლიტიკურ მოთხოვნას ვერ ნაუყენებდა. გარდა ამისა, რუსეთი ხელსაყრელი პარტნიორი იყო ბაზრის სიიაფის გამოც.

მაგალითად, ევროპას რუსეთიდან შეტანილი პური გაცილებით იაფი უჯდებოდა, ვიდრე ამერიკიდან. ევროპის ეკონომიკის აღორძინება წარმოუდგენელი იყო რუსეთის ნავთობის, მარგანეცის, საუკეთესო ხარისხის ფოლადის და ა.შ. გარეშე. ევროპა-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობის დაწყება იმას ნიშნავდა, რომ ევრო-ამერიკული სამყარო საბჭოთა რუსეთის (საბჭოთა კავშირის) საფრთხის წინააღმდეგ ვერ გაერთიანდა. ამით ისარგებლა საბჭოთა იმპერიამ და თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ევროპასთან აქტიური სავაჭრო ბალანსით დიდი მოგება ნახა.

მეორე მსოფლიო ომის (1939-1945 წწ.) შემდეგ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ევრო-ამერიკული სამყარო გაერთიანდა. ამ ერთიანობის შედეგი იყო საბჭოთა იმპერიის დასუსტება და მისი დაშლა (1991 წ.). ამ დიდი გამარჯვების შემდეგ ევრო-ამერიკულმა სამყარომ დიდი სტრატეგიული შეცდომა დაუშვა. საბჭოთა კავშირის თხუთმეტ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაშლამ შექმნა იმისი შთაბეჭდილება, რომ რუსეთი ევროპას საფრთხეს ვეღარ შეუქმნიდა — ეს იყო ნაჩქარევად გაკეთებული დასკვნა. იმ ძალას, რომელმაც საბჭოთა კავშირი დაშალა, შეეძლო რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკების დონეზე დაშლა და რუსეთისგან ციმბირის ჩამოცილება. ვინც ეს არ გააკეთა, დღეს თავს იმართლებს: რუსეთის ავტონომიური რესპუბლიკების დონეზე დაშლა და ციმბირის რუსეთისგან ჩამოცილება ევროპასა და აზიაში რთულ, უმართავ პროცესებს გამოიწვევდაო. ეს სავსებით სწორია. დღევანდელი ვითარება ცხადს ხდის, რომ, საშიშროების მიუხედავად, სჯობდა რუსეთის დაშლა 1991 წლისთვის მომხდარიყო, თუნდაც ნაწილობრივ. ბუნებრივად ისმის კითხვა: რა აზრი ჰქონდა საბჭოთა კავშირის დაშლას, თუ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთი გაბატონდებოდა და ევროპას საფრთხეს კვლავ შეუქმნიდა? აღიარებენ თუ არა თავის შეცდომას დიდი პოლიტიკის მამები, მნიშვნელობა არა აქვს. ჭეშმარიტება ერთია: რუსეთი XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს უნდა დაშლილიყო. ევრო-ამერიკული სამყარო დღეს დიდი სტრატეგიული შეცდომის შედეგებს იმკის: მონსტრმა ძალა მოიკრიბა და თავის სიძლიერეში დარწმუნებული სამხრეთ კავკასიის, ბალტიისპირეთის, უკრაინის, მოლდოვას გადასაყლაპავად ემზადება. ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე ევროპისთვის სივრცის დახურვა რუსული სახელმწიფოს სტრატეგიულ მიმართულებად რჩება.

აფხაზურ საზოგადოებაში უკმაყოფილება თანდათან ფეხს იკიდებს

რას წერს აფხაზური გაზეთი "Нужная Газета"?

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია უნივერსიტეტის საზოგადოების ინფორმირება აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ. ცენტრი ამჯერად გვთავაზობს ერთ-ერთ აფხაზურ გაზეთში ***"Нужная Газета"****-ში (რედაქტორი იზიდა ჭანია) 9 სექტემბერს დაბეჭდილ მასალას, სადაც აშკარად ჩანს აფხაზური საზოგადოების განწყობა უკანასკნელი მოვლენების მიმართ.*

„საინტერესოა, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ მხოლოდ ორი კვირაა გასული და უკვე თვითონ რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ეიფორიამ გაიარა და „გაჩნდა მომენტის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასების სურვილი". თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ აფხაზური მედია ძალიან შორს არის სიტყვის თავისუფლებისგან და ხელისუფლების მხრიდან საშინელ პრესს განიცდის, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შემოთავაზებულ მასალაში გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია იმ უკმაყოფილებისა, რომელიც აფხაზურ საზოგადოებაში თანდათან ფეხს იკიდებს", — ასეთ კომენტარს აკეთებს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი ზურაბ შენგელია.

რას წერს გაზეთი "Нужная Газета"?

დაივიწყეთ კეთილდღეობა და წყნარი ცხოვრება

ჩვენი დამოუკიდებლობა აღიარეს — როგორ უნდა ვიმოქმედოთ? ეს კითხვა დღეს აფხაზეთში ყველას აწუხებს. ჯერ კიდევ 26 აგვისტოს სერგეი ბაღაფშმა აღნიშნა, რომ აღიარებული ქვეყნის სტატუსი (თუნდაც ჯერ ეს აღიარება მთელი მსოფლიოს მასშტაბით არ მოხდა) დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. „დაივიწყეთ კეთილდღეობა და წყნარი ცხოვრება. ჩვენ წინ მუხლჩაუხრელი შრომა გველოდება", — მიმართა მან ჩინოვნიკებს, მაგრამ არ აუხსნია რას ნიშნავს „შრომა" და „მუხლჩაუხრელი". შემდეგ იგი კვლავ მოსკოვში გაემგზავრა, ოღონდ ამჯერად აღიარებული, დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტის რანგში.

ჩვენ გადავწყვიტეთ, ჩვენი წვლილი შეგვეტანა იმის გარკვევაში, თუ რას ფიქრობს აფხაზი ხალხი მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. ახლა, როცა ეიფორიამ გაიარა, გაჩნდა მომენტის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასების სურვილი. ხალხს იმედი გაუჩნდა, რომ ქვეყნის განვითარებასა და რეფორმებს ამჯერად მაინც ხელს არაფერი შეუშლის. რაღა თქმა უნდა, ამ იმედის საფუძველი გარდაქმნების აუცილებლობის შეგრძნებაა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელისუფლება მუშაობის ჩვეულ რიტმსა და ჩვეულ სისტემაში გაგრძელებას შეეცდება, ახალი რეალიები მას ამის საშუალებას არ მისცემს. ახლა რუსეთი — ჩვენი პარტნიორი ქვეყანა — დაინტერესებულია, რომ მის მიერ აღიარებული ქვეყანა განვითარების მაღალ დონეზე იდგეს.

გამოკითხული მოსახლეობა შიშობს, რომ შესაძლებელია აფხაზეთის მოსახლეობის გაზრდა, საფრთხე ემუქრება აფხაზეთის ბუნებრივ რესურსებს, მეწარმეებს ეჭვი ეპარებათ, რომ შეძლებენ კონკურენცია გაუწიონ უცხოურ ბიზნესს. პოლიტიკურ ჭრილში კი შეშფოთებას იწვევს ის, რომ შესაძლებელია ქვეყნის შიდა პროცესების დამოუკიდებლად მართვის შანსი დაიკარგოს.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ოპტიმალური განწყობა გაცილებით მძლავრია. ყველას აერთიანებს იმედი, რომ რეგიონში გარანტირებული უსაფრთხოების ფონზე შესაძლებელია ეკონომიკის სწრაფი განვითარება. „ახლა ჩვენ ისეთივე ხელფასები და პენსიები გვექნება, როგორც რუსეთშია", — დარწმუნებულები არიან აფხაზეთში. მოსახლეობას სჯერა, რომ რეჟიმი რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე ახლა უკვე ნაკლებად მკაცრი გახდება; დაიწყება ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაცია და ბოლოს და ბოლოს მიიღებენ შესაბამის კანონებს; მმართველ ორგანოებში შემცირდება ჩინოვნიკების რიცხვი და სისტემა უფრო ეფექტური გახდება; მოქალაქეები კანონის პატივისცემას მიეჩვევიან; ვარაუდობენ, რომ აეროპორტიდან შესაძლებელი იქნება თუნდაც მოსკოვსა და ნიკარაგუაში გაფრენა.

გთავაზობთ აფხაზეთის ზოგიერთი, არც თუ მთლად რიგითი მოქალაქეების მოსაზრებებს.

რედაქტორის სვეტი

მჯერა, რომ საზოგადოება უფრო მომთხოვნი იქნება ხელისუფლების მიმართ....

ალხაზ ტხაგუშევი, ასოციაცია "Инвасодействие":

— ყველაზე ნაკლებად მაღელვებს, თუ რომელი ქვეყანა აღიარებს ჩვენს დამოუკიდებლობას. მთავარია, რომ ახლა უკვე ნაკლებად შეგვიძლია ვიფიქროთ ჩვენს უშიშროებაზე და უფრო ღრმად ჩავიხედოთ იმაში, თუ რა ხდება ქვეყნის შიგნით. ჩვენს პოლიტიკოსებს ახლა გაცილებით უფრო რთული დრო დაუდგათ — როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციას. აღარ არის აქტუალური ომის შემდგომი პრობლემატიკა და შესაძლო სამხედრო საშიშროებები. ახლა ისმის კითხვა — რა შეიცვლება რეალურად? მნიშვნელოვანი იქნება, თუ ხელისუფლება დაგვანახებს რეალური რეფორმების ჩატარებისთვის მზადყოფნას. უნდა ვაღიაროთ, რომ ახლანდელმა ხელისუფლებამ მოახერხა არჩევნების შემდეგ ძველი სისტემის მემკვიდრეობის მაქსიმალურად გამოყენება. მაგრამ რეალურად მაინც არაფერი იცვლებოდა, არ ტარდებოდა რეფორმები, მხოლოდ გვარწმუნებდნენ, რომ ხელისუფლებას „კიდევ შეუძლია", „კიდევ უნდა" და „კიდევაც მოახერხებს". მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ დეკლარაციის დონეზე რჩებოდა.

დღეს მთავარი ადმინისტრაციული რეფორმაა. რეფორმა უნდა შეეხოს ხელისუფლების ყველა შტოს. ის ან ძველებურად იქნება ძნელად სამართავი, ან გადავალთ ხელისუფლების გასაგებ მექანიზმზე — როცა საქმე და სიტყვა ერთნაირია და მიღებული გადაწყვეტილებები მოსახლეობისთვისაა გასაგები. აღიარებულ ცივილიზებულ სახელმწიფოში აუცილებელია არსებობდეს მმართველობის ეფექტური სისტემა, რაც რეფორმების ჩატარებას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება პარლამენტს, ვფიქრობ, ქვეყნას არჩევნების შერეული სისტემა სჭირდება. აუცილებლად უნდა გაიზარდოს პოლიტიკური პარტიების როლიც. დიდი ხანია, ჩვენში მზადდება კონსტიტუციური რეფორმა, მაგრამ ეს პროცესი გაჭიანურდა და საზოგადოებამ არაფერი იცის მისი მიმდინარეობის შესახებ. ამავე დროს, სრულიად მივიწყებულია სისტემისთვის მეტად მნიშვნელოვანი, ხელისუფლებასა და მის შტოებს შორის ბალანსის საკითხი: როცა ოპოზიციაში ხარ, ხელისუფლებაზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტები გჭირდება, ხოლო როცა თავად ხარ ხელისუფლებაში, შენთვის ასეთი საჭიროება უკვე აღარ არსებობს. ამავე დროს, ქვეყნის ახალი სტატუსი ყველას აღაფრთოვანებს. ჩვენი ორგანიზაცია ყოველთვის მჭიდროდ თანამშრომლობდა ხელისუფლებასთან და ახლა სოციალურ სფეროში მომავალი რეფორმების დიდი იმედი გვაქვს. გაზრდილი პენსიები და დახმარებები ძალიან კარგია, მაგრამ სოციალური პრობლემები მხოლოდ ამით არ გადაიჭრება. უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ მოვახერხოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ინტეგრირება საზოგადოებაში, როგორ დავასაქმოთ ისინი, როგორ შევუქმნათ რეალურად განათლების მიღების საშუალება. ამ მიმართულებით ჩვენ შესაძლებლობა გვექმნება აქტიურად ვითანამშრომლოთ რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. რადგან ახლა ჩვენი ყურადღება შეგვიძლია შინაურ პრობლემებზე გადავიტანოთ, ჩემი აზრით, საზოგადოება ხელისუფლების მიმართ გაცილებით უფრო მომთხოვნი გახდება.

გამოჩნდა უსაფრთხოების გარანტიები

ანატოლი ზაიცევი, გენშტაბის უფროსი:

— ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარება სამხედრო სფეროში ახალ საშუალებებს იძლევა. პირველყოვლისა უნდა დავამყაროთ სამხედრო-პოლიტიკური კავშირები იმ ქვეყნებთან, რომლებმაც ჩვენი დამოუკიდებლობა აღიარეს. თუ სახელმწიფომ გვცნო, ჩვენ საშუალება გვაქვს მასთან გავაფორმოთ ხელშეკრულება შეიარაღებისა და ტექნიკის მოწოდების სფეროში, სამხედრო განათლების სფეროში და აგრეთვე გადმოვიღოთ მათი სამხედრო გამოცდილება. მთავარია, რომ ჩვენ ამ რთულ პერიოდში მათი იმედი გვაქვს. ომის შემთხვევაში ყველა ამ ქვეყანას შეუძლია გავლენა მოახდინოს იმ სახელმწიფოზე, რომელიც ჩვენ ომს გამოგვიცხადებს, მაგალითად, საქართველოზე, რომელსაც ჩვენ არ ვენდობით. რასაკვირველია, იქნება ცვლილებები სახელმწიფო საზღვრებზე, კერძოდ, მდ. ენგურზე. მე ვლაპარაკობ ჩვენს სამხედრო ძალებზე. ახლა ჩვენ ვაახლებთ სამხედრო საზღვრებს, ვამაგრებთ ჩვენს ბლოკპოსტებს. კოდორის ხეობის ზემო ნაწილში — გადასასვლელებზე მესაზღვრეებთან ერთად შევიმუშავეთ სახელმწიფო საზღვრის დაცვის გეგმა განსაკუთრებული შემთხვევებისთვის. ქვეყანაში ცვლილებები აუცილებელია. ეს, უპირველესად, ეკონომიკურ გარდაქმნებს ეხება. ჩვენ უკვე აღიარებული ქვეყანა ვართ და ინვესტიციები ახლა უკვე ჩაიდება ჩვენთანაც, რადგანაც უკვე არსებობს უსაფრთხოების რეალური გარანტიები. შავი ზღვის ჩვენი მონაკვეთი ყველაზე სუფთაა, რაც ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას იძლევა. ტურიზმის განვითარება — ეს არ ნიშნავს ტურისტების გაყვლეფას, ეს დარგის მაღალ დონეზე ორგანიზებას გულისხმობს. ჩემი აზრით, აფხაზეთი მომავალში იქნება ტურისტული სამოთხე განვითარებული სოფლის მეურნეობით. ეს საშაუალებას მოგვცემს ვიცხოვროთ და განვვითარდეთ, ოღონდ არ უნდა დაგვავიწყდეს უსაფრთხოების საკითხებიც.

ვიცხოვროთ ისე, რომ არ ვიყოთ დამოკიდებულნი საქართველოს მოქმედებებზე

რაულ ხაჯიმბა, ვიცე-პრეზიდენტი:

— ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარება ბევრს გვავალებს. პირველ რიგში, უნდა შევქმნათ იმის პირობები, რომ სხვა სახელმწიფოებმაც გვცნონ. არა მარტო რუსეთმა, არამედ სხვებმაც უნდა დაინახონ, რას წარმოადგენს აფხაზეთი. ყველამ დაინახოს, რომ ეს არის შემდგარი სახელმწიფო, რომელიც განვითარების გზას ადგას. ამისათვის აუცილებელია შინაგანი დისციპლინა, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელისუფლება და ხალხი შეეცდება შექმნას უსაფრთხო მუშაობის პირობები: ჩვენ დაზღვეული უნდა ვიყოთ ყოველგვარი ზემოქმედებებისგან. ჯერ ადრეა დამშვიდება. უნდა გავითვალისწინოთ — რა თანხებს ხარჯავს საქართველო სამხედრო ძლიერების აღსადგენად. ჩემი აზრით, საქართველო თავისი „დიდი" მეგობრის დახმარებით შეეცდება რევანშის აღებას. მე არ გაშინებთ, მაგრამ ეს სიტუაცია განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. რა თქმა უნდა, რუსეთი უსაფრთხოების გარანტიაა, მაგრამ ჩვენც უნდა შეგვეძლოს საკუთარი პრობლემების მოგვარება. ეს შეეხება საშინაო პოლიტიკას, კრიმინოგენულ სიტუაციას, სასამართლოსა და პროკურატურას. ამ პრობლემების აქტუალურობა ჩვენი აღიარების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. უკვე 15 წელია, ვცდილობთ, შევქმნათ სახელმწიფო და მისი განვითარების პირობები. რა თქმა უნდა, ყველაფერი არ გამოგვივიდა, მაგრამ მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ და შემდგომ განვითარებაზე უნდა ვიზრუნოთ. რუსეთმა გვცნო და ახლა იგი ჩვენგან მკვეთრ ნაბიჯებს მოელის. აღიარებული სახელმწიფო უკვე გარკვეულ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. პირადად მე, ვფიქრობ, რომ უნდა ვიცხოვროთ მშვიდად, არ უნდა შევცქეროდეთ იმას, თუ რას მოიმოქმედებს საქართველო. ჩვენ თვითონ უნდა შევუწყოთ ხელი ქვეყნის განვითარებას.

მთავარი საშიშროება — არ აღმოვჩნდეთ უცხონი საკუთარ ქვეყანაში

ბესლან ბუტბა, აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტიის თავმჯდომარე:

— აღიარება ჩვენთვის, თავისთავად, არაფერს ნიშნავს — მთავარი იყო, აღიარება პირველად რუსეთის ფედერაციისგან მიგვეღო. რუსეთის ეს ნაბიჯი უსაფრთხოებისა და ეკონომიკური სტაბილურობის გარანტიაა. ეს დღეს კიდევ ერთელ ადასტურებს, რომ აფხაზეთი დროებითი მოვლენა კი არ არის, არამედ კავკასიის პოლიტიკაში მრავალი საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაში აქტიური მოთამაშეა. ახლა ჩვენს მომავალს ერთადერთი მტერი ჰყავს: შინაური „ბარდაგი" და მოუწყობლობა. ჩვენ მოვიპოვეთ აღიარება იმიტომ კი არა, რომ ქვეყნის განვითარებაში დიდ წარმატებებს მივაღწიეთ, არამედ იმიტომ, რომ ასე განვითარდა პოლიტიკური რეალიები. ამიტომ სიხარულთან ერთად შიშსაც განვიცდი, რადგან ვიცი — რა მდგომარეობაში მყოფმა ქვეყანამ მიიღო აღიარება. კარგად ვხვდები, რა სერიოზული პრობლემების წინაშე დადგება ქვეყანა უახლოეს მომავალში. ყველაზე დიდი საშიშროებაა — არ აღმოვჩნდეთ უცხონი საკუთარ ქვეყანაში. ჩვენ გვჭირდება სერიოზული ინვესტიციები, ინვესტიციებს კი — საუკეთესო მიწის რესურსები. არ არსებობს იმის საშუალება, რომ აფხაზეთის მოქალაქეებმა მიიღონ პირდაპირი შემოსავლები მიწის ფონდის ექსპლუატაციის შედეგად. დიდია იმის საშიშროება, რომ ფასების ზრდის გამო ჩვენ გავყიდით საკუთარ მიწას, სახლ-კარს და საკუთარ ქვეყანაში უცხო მხოლოდ ის არ აღმოჩნდება, ვისაც ეყოფა გამჭრიახობა დღეს არ გაყიდოს თავისი მიწა, შეუნარჩუნოს ის თავის შთამომავლობას. თანამედროვე სამყარო — ესაა კაპიტალის, კულტურისა და ხალხის განუწყვეტელი მოძრაობა. ვიცით, რამდენად ძნელი იყო ბლოკადისა და იზოლაციის პირობებში აფხაზური ენისა და უნიკალური აფხაზური კულტურის შენარჩუნება. ახლა ეს გაცილებით უფრო რთული გახდება, ახლა, როცა მთელი მსოფლიოსათვის გახსნილები ვართ. იქ, სადაც დღეს უღრანი ტყეა, ხვალ შეიძლება ათასობით სხვადასხვა ეროვნების ადამიანი ჩასახლდეს. ჩვენს წინაშეა ამოცანა, შევქმნათ თანამედროვე პოლიტიკური ერი, რომელსაც საერთო ენა, კულტურა და მსოფლმხედველობა გააერთიანებს. სხვა შემთხვევაში აფხაზეთი აღარ იარსებებს. ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ თანასწორუფლებიან ქვეყნად ჩამოყალიბებას. ძალიან მნიშვნელოვანია, როგორი სახის აფხაზეთს დავანახებთ მსოფლიოს. ამაზეა დამოკიდებული, გადავიქცევით თუ არა ისეთ ქვეყნად, რომელსაც პატივს სცემენ, თუ შევავსებთ მსოფლიოს მესამე ქვეყნების რიგებს. გავლენიანი ქვეყნები (პირველ რიგში, რუსეთი) განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდებიან იმ რეფორმას, ურომლისოდაც ჩვენ უკვე ვეღარ ვიარსებებთ. პირველ რიგში, უნდა შეიცვალოს მმართველი გუნდი. ეს ხელისუფლება ჩვენს ქვეყანას უკვე თითქმის 20 წელია მართავს. 20 წლის წინ არა მარტო სხვა ეპოქა, არამედ სხვა ცივილიზაცია იყო. რუსეთში მთლიანად შეიცვალა ჩინოვნიკების თაობა. იმიტომ, რომ დღევანდელი რეალიები მოითხოვენ ღრმა განათლებულ ბიუროკრატიულ მანქანას, რომელიც სავსებით იქნება დაუფლებული თანამედროვე ტექნოლოგიებს. ჩვენთან კი ჩინოვნიკები არა თუ სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური მენეჯმენტის თანამედროვე ტექნოლოგიებს, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ელემენტარულად, კომპიუტერსაც კი ვერ ფლობენ. XXI საუკუნეში ეს დაუშვებელია.

აფხაზეთის მძიმე სენია კორუფცია. კორუფცია მოსახლეობას აღატაკებს. ქრთამი, უკანონო შემოსავლები, პასპორტების გაყიდვა, მიწის უკანონო გასხვისება — ყველაფერ ამას კატასტროფამდე მივყავართ. კორუფციის აღმოფხვრა ახლა უკვე შეუძლებელია არსებულ სამართალდამცავ სისტემაში. აუცილებელია სახელისუფლებო სისტემის ინსტიტუციონალური და პერსონალური ცვლილებები. დღეს არსებული სისტემა ხომ სსრკ-ში შეიქმნა, სადაც კორუფცია სახელმწიფო ძლიერების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. ჩვენ არ გვჭირდება ქრთამზე დამყარებული უშველებელი მანქანა, ჩვენ გვჭირდება ახალი, მობილური, აფხაზეთის ინტერესებზე მზრუნველი ძლიერი სისტემა. ჩვენს წინაშეა კოლოსალური პრობლემები და ამოცანები. მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული — რას ავაშენებთ: თანამედროვე, მდიდარ და ლამაზ სახელმწიფოს თუ სიმახინჯეს, რომელსაც რუსეთის ფინანსური დახმარების გარეშე არსებობა არ შეუძლია.

"Нужная Газета" №35; 09. 09. 2008 წ.

საქართველოს სერიოზული ეკონომიკური პროგრამა სჭირდება

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც საბანკო-საფინანსო, სადაზღვევო და ბიზნეს-სფეროები მოიცვა, ჯერ კიდევ დაუძლეველი პრობლემაა. ეს პროცესი ნელ-ნელა ინაცვლებს საქართველოშიც და პიკმა, შესაძლოა, 2009 წელს მიაღწიოს. რა იწვევს ამგვარ კრიზისს და რა საშიშროებას შეიცავს იგი? გვესაუბრება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის ექსპერტი ემზარ ჯგერენაია:

მაია ტორაძე

— ბატონო ემზარ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დადგომის შესახებ ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის. რა მოვლენაა ეს? რა ხდება მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს?

— გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თავის განვითარების მაღალ ეტაპზე, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების კაპიტალის დინამიკა სხვადასხვა პრობლემას იწვევს, როგორც წარმოებაში და დაფინანსებაში, ისე ვაჭრობაში. ირღვევა მოთხოვნა-მიწოდების ბალანსი, ბაზრის დინამიკა და მსოფლიო ეკონომიკაში კრიზისული პერიოდი დგება. ეს ხდება მაშინ, როცა ეკონომიკის ზრდა ეცემა და ის უარყოფით ნიშნულზე გადადის. ამას წინ უძღვის რეცესის მტკივნეული ეტაპი, რომლის დროსაც ფინანსური პრობლემები, ძირითადად, დავალიანების კრიზისის სახით წარმოჩნდება და იწყება დიდი წარმოებების გაჩერება, ზოგჯერ მათი გაკოტრება, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარისა და ნდობის ინდექსის დაცემა, უმუშევრობა და ა.შ. როდესაც ეს პროცესები ერთი ქვეყნის საზღვარს სცილდება, ამას ჩვენ ვარქმევთ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს, რომელიც პერიოდულად მეორდება და სპირალისებრი აღმავალი ხაზით უბრუნდება ეკონომიკას გარკვეულ ციკლებში. ამ ციკლებს პრინციპების დონეზე ბევრი საერთო აქვთ ერთმანეთთან, მაგრამ ისინი მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან.

ასეთი კრიზისი ჩვენთვის ცნობილია 1929-1930 წლების ამერიკის „დიდი დეპრესიის“ სახელით, რომელიც აქამდე არსებულთა შორის ყველაზე დიდ კრიზისად ითვლება. 30-იანი წლების ბოლოს და 40-იანი წლების დასაწყისში მას ახალი მსოფლიო ეკონომიკის ფორმირების პროცესი მოჰყვა.

რამ გამოიწვია ამერიკის „დიდი დეპრესია“? საქმე ისაა, რომ გასული საუკუნის 20-იან წლებში პირველი მსოფლიო ომის მიერ დატოვებული სიძნელეების დასაძლევად ამერიკაში შეიცვალა კანონმდებლობა. მიზანი იყო გადასახადების დაწევის შედეგად ინვესტიციების მოზიდვა. ამ ცვლილებამ არ გაამართლა. დაწესებული საგადასახადო შეღავათის მიუხედავად, ეკონომიკაში ფულის ინვესტირება არ მოხდა. ფული ერთი მუჭა ბიზნესმენების ხელში დარჩა და ბაზარში არ დაბრუნდა, რამაც შეამცირა მოთხოვნა და ბაზარიც დაეცა. სამაგიეროდ, გაიზარდა უმუშევრობა, რამაც, თავის მხრივ, მოქალაქეთა მსყიდველობითუნარიანობაზე იმოქმედა — პროდუქციაზე მოთხოვნა შემცირდა და ბაზარზე გაჩნდა ე.წ. ჭარბი წარმოება. გარდა ამისა, გადასახადების შემცირებას იმანენტურად არ მოჰყვა საბაზო მექანიზმისა და საშემოსავლო ნაწილის გაძლიერება.

აღნიშნულ კრიზისს წინ უძღოდა კიდევ ერთი გარემოება — ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა მოინდომა, რომ სახელმწიფო ჩარეულიყო კრიზისის მოგვარებაში, მაგრამ შედეგად ის ძალიან გაღრმავდა. ანალოგიურ პროცესებს ახლაც აქვს ადგილი, მაგრამ როგორი იქნება დღევანდელი ჩარევის შედეგები, უახლოეს მომავალში ვნახავთ.

30-იანი წლების მერე გაჩნდა კეისიანელების თეორია, რომელმაც კარგა ხანს იმუშავა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოში ახალი ეკონომიკა დაიბადა. კონტინენტალურმა ევროპამ და ინგლისმა დაკარგეს ლიდერის პოზიცია და გაჩნდა ახალი ეკონომიკური ლიდერი — ამერიკის შეერთებული შტატები. 1944 წელს ამერიკაში შეიკრიბა პოლიტიკა-მეიკერების საბჭო მთელი მსოფლიოდან და ახალი ბრეტონ ვუდსის სავალუტო სისტემა შეიქმნა. ამის შედეგი იყო ასევე მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო სავალუტო ფონდის, როგორც საერთაშორისო სავალუტო სტაბილურობის გარანტობის ინსტიტუტის შექმნა.

რატომ ვამახვილებთ ამაზე ყურადღებას? ამ ინსტიტუტების შექმნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ის დღესაც აქტიურია და დიდად განაპირობებს მსოფლიოში სავალუტო სტაბილურობის შენარჩუნებას. მაგალითად, როცა უნგრეთს გაუჭირდა, სავალუტო ფონდმა მას 26 მილიარდი გამოუყო, როცა საქართველოს გაუჭირდა — 750 მილიონი. ასევე იქცევა ის სხვა ქვეყნებთან მიმართებაშიც. შეიძლება რიგითი მკითხველი დაინტერესდეს, რატომ უნდა გვაინტერესებდეს, ვთქვათ, კენიის სავალუტო სტაბილურობა? იმიტომ, რომ მოხდეს მსოფლიო ვაჭრობა, რომლის გარეშეც მსოფლიო ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია. დღეს, ნებისმიერი ქვეყანა, გვინდა თუ არ გვინდა, ვჭამთ თუ ვუსმენთ, გვაცვია თუ გვახურავს, დაახლოებით, მინიმუმ 50 ქვეყნის ნაწარმს ვიყენებთ ერთდროულად. „ბოინგი“, რომელიც სუფთა ამერიკული სიმბოლოა, 3 მილიონნახევარი დეტალისგან შედგება და ეს დეტალები 29 ქვეყანაში მზადდება. აღარაფერს ვამბობ აერობუსზე, რომლის კომპლექტაცია ოფიციალურად რამდენიმე ქვეყანაში ხდება.

70-იან წლებში დაფიქსირდა მსოფლიოს დიდი ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ნავთობის ფასთან და ენერგეტიკულ ბაზართან იყო დაკავშირებული. ამავე პერიოდში „დასამარდა“ ბრეტონ ვუდსის სისტემა და დაიბადა ახალი სავალუტო ურთიერთობა — თავისუფალი, მცოცავი კურსი, რომელსაც მოჰყვა ახალი წესრიგი მსოფლიო ბიზნესში, თუმცა ლიდერი იგივე დარჩა — ამერიკის შეერთებული შტატები.

80-იანი წლების დასაწყისში, როცა კარტერი აშშ-ის ხელისუფლებიდან წავიდა და რეიგანი მოვიდა, ევროპაში გაჩნდა მსოფლიო რეგულაციის სხვადასხვა ორგანოები და ევროპა უფრო და უფრო დაუახლოვდა ერთიანი ევროპული ვალუტის შექმნას. ამავე პერიოდში ამერიკაში წარმატებული აღმოჩნდა რეიგანის ეკონომიკური პოლიტიკა, ხოლო ევროპაში მოვიდა მარგარეტ ტეტჩერი, რომელმაც 80-იანი წლების კრიზისის შემდგომ ერთგვარი ეკონომიკური გადატრიალება მოახდინა და ევროპა დაჩქარებით წავიდა მაასტრიხტის ხელშეკრულებისკენ.

შემდგომი კრიზისი ისევ ათი წლის შემდეგ დადგა. მას შედეგად მოჰყვა ევროპის გაერთიანება. შეიქმნა ერთიანი ევროპული გეგმა, სადაც მკაფიოდ იყო გაწერილი, როგორ უნდა შემოსულიყო ერთიანი ევროპული ვალუტა — ევრო 90-იანი წლების ბოლოს. ამ დროს სიმძიმის ცენტრი აზიაზე გადავიდა. აქ სწრაფად ვითარდებოდა – კორეა, სინგაპური, ინდონეზია და ტაივანი, სადაც, დაახლოებით, 10 წლის წინ დაიწყო ინვესტიციებისგან გადახურების პერიოდი – 1998 წლის კრიზისის ეპიცენტრი იყო კორეა, სადაც იმაზე მეტი ინვესტიცია შევიდა, ვიდრე კორეის ბაზარი ითხოვდა და დაიწყო დავალიანების „ბლოკების აწყობა“ დომინოს პრინციპით. ამ ფინანსურმა კრიზისმა აზიიდან ევროპაში გადაინაცვლა და ამერიკასაც გადასწვდა, თუმცა ის ისეთი ძლიერი არ იყო, როგორიც დღესაა.

— რა იყო ახლანდელი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიზეზები, შეიძლებოდა თუ არა მისი თავიდან აცილება?

— XXI საუკუნეში ბიზნესის კონცეფცია შეიცვალა — თუ აქამდე ბიზნესი დეფიციტური იყო, დღეს პრინციპი არის ბაზარი — მითხარით სად არის ბაზარი, თუ ის არ ეხება სტრატეგიულ პროდუქციას და მე, თქვენ ნებისმიერ საქონელს მოგიტანთ. მითხარით, რამდენის ყიდვის საშუალება გაქვთ და იმდენს მოგიტანთ. სადაც მყიდველია, საქონელი იქ ჩნდება. დღეს საქონელი კი არ არის გადამწყვეტი, არამედ მთავარია მყიდველი, მოხმარების ბაზარი. ამ კონცეფციამ აბსოლუტურად შეცვალა ყველაფერი.

კიდევ ერთი მიზეზი, რამაც მსოფლიო შეცვალა, არის გამუდმებული მოთხოვნა ეკონომიკის ზრდაზე. ბაზარი იქმნება განვითარების დიალექტიკიდან გამომდინარე. ბიზნესმენებმა კრეატიული თეორია შეიმუშავეს — შექმნეს ხელოვნური მოთხოვნა — ხელოვნური ღირებულებები, რომლის მიხედვითაც ფასი დაედო მომავლის ღირებულებას. ამან დააყენა ინფლაციის საკითხი მთელს მსოფლიოში და ბაზარი „გადახურდა“. ხელოვნურად შექმნილი მოთხოვნისთვის გამოვიდა ობლიგაციები. ისინი შეიძინეს განვითარებადი ქვეყნების მთავრობებმა, მაგალითად, ჩინელებმა, რუსებმა, არაბებმა და ა.შ. ანუ მთელი მსოფლიო ჩაერთო ამ საქმეში, რადგან ყველაზე ადვილად მისაღები და მომგებიანი ფული იყო. ამის შემდეგ დაიწყო არარსებული ფულის ჩადება საქმეში – ანუ შეიქმნა ქაღალდი, რომ არსებობს ღირებულება და გაიზარდა ბაზარი. ეს პროცესი გადაედო სადაზღვევო ფირმებს. ბანკებმა გასცეს რეალური სესხები და ამით რისკმენეჯმენტის ყველა მოთხოვნა დაარღვიეს. გარკვეული ზედა ზღვარის მიღწევისთანავე ბუნებრივად გაჩნდა ლიკვიდურობის პრობლემა და გაჩერდა ფასების ზრდა. როგორც კი ზრდა გაჩერდა, ბაზარმა დაიწყო ფრთხილად მოქცევა, რასაც ფასების დაწევა მოჰყვა, დაიწყო პანიკა და მივიღეთ ეკონომიკური კრიზისი.

შარშან მთავრობები შეეცადნენ, ეკონომიკისთვის დახმარება გაეწიათ. ისინი ხშირ შემთხვევაში მალავდნენ კიდეც ამ პრობლემას. შედეგად მივიღეთ ის, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. იმ მასშტაბებს, იმ სიღრმეს, რაც დღეს აქვს და რაც ხვალ ექნება ამ კრიზისს, არავინ ელოდა. ეს გადაედო საფინანსო, სადაზღვევო, ბიზნესის სფეროებს და ხდება ყველაზე მარტივი გადაწყვეტილებების მიღება – კერძო ბიზნესის ნაციონალიზაცია.

კიდევ რაში მდგომარეობს დღევანდელი ეტაპის თავისებურება? მიუხედავად იმისა, რომ წამყვან ევროპულ და ამერიკულ კომპანიებს დღეს უჭირთ, სახელმწიფო ინტერესები ჩადებულია გაკოტრებაშიც კი. ანუ თუ მოვა არაბი ან ჩინელი ბიზნესმენი და იტყვის, რომ გაკოტრებული კომპანია მომყიდეთ, არ აძლევენ... ანუ ერთდროულად ხდება ნაციონალური ინტერესების გადარჩენა. განვითარებად ქვეყნებს მიუთითებენ, რომ დაუყოვნებლივ მოხდეს ყველაფრის პრივატიზაცია და თავისუფლად შეუშვან ქვეყანაში უცხოური კაპიტალი, ამ დროს ინგლისს, გერმანიას და სხვა ქვეყნებს რეალურად დაკეტილი აქვთ თავიანთი საზღვრები უცხოური კაპიტალისათვის.

მეორე — ინტეგრაციისა და კაპიტალის კონცენტრაციის მაღალმა დონემ „დომინოს პრინციპის“ ეფექტი ძალიან მწვავედ დააყენა — ამერიკის ბირჟებს მოყვა ევროპული და აზიური ბირჟები და კოლაფსიც განვითარდა ჯერ რუსეთში, მერე ბრაზილიაში და ა.შ.

დღეს მსოფლიოში იბადება ახალი ეკონომიკა, მიდის ბრძოლა – თუ ამერიკამ ვერ შეძლო თავისი ვალუტისა და ეკონომიკის გადარჩენა, მას მოუწევს მსოფლიო ლიდერის პოზიციის დათმობა, რაც, ამ ეტაპზე, ჩემი აზრით, გამორიცხულია, მიუხედავად იმისა, რომ ევროპა ცდილობს, ლიდერის როლი თავის კონტინენტზე გადმოიტანოს. ამას აქვს თავისი ობიექტური წინაპირობა: ამერიკის 700 მილიარდი ობლიგაციის მყიდველი, ძირითადად, არის ჩინეთი — ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მეტ-ნაკლებად მყარად გრძნობს თავს. მიუხედავად ამისა, ოქტომბერში იქ 13 ათასი საწარმო დაიხურა, რადგან დახურული საწარმოებიდან უმრავლესობა ევროპისთვის მიმწოდებელი იყო, ევროპის ბაზარი შემცირდა და მოხდა დელეგირება.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელმაც ჩინეთს დღეს პრობლემები შეუქმნა, არის ნავთობისა და სატრანსპორტო ხარჯების გაძვირება. ამას დაემატა ხელფასის ზრდა ჩინეთში, რამაც ბიზნესის წარმოება ევროპელებისთვის არც თუ ისე მომგებიანი გახადა.

ერთი მხრივ, აზიური წარმოების შემცირება, მოთხოვნა-მიწოდების ხელოვნური დარღვევა, ხელოვნური ბაზრის შექმნის პრობლემა, ლიდერის ძიება მსოფლიოში და საფრანგეთის პრეზიდენტის სარკოზის რეაქციები იმაზე მეტყველებს, რომ მას დიდი ამბიცია აქვს — ევროპა ჩამოყალიბდეს ერთიან ქვეყნად, ერთიანი მთავრობით და მისი პირველი ხელმძღვანელები ფრანგები გახდნენ. ამას უზარმაზარ წინააღმდეგობას უწევს ანგელა მერკელისა (გერმანია) და სილვიო ბერლუსკონის (იტალია) მთავრობები. სარკოზის ეს ამბიცია შესამჩნევია. ის რუსეთთან ძალიან მჭიდრო ურთიერთობის მომხრეა, რადგან ამერიკის წინააღმდეგ რუსეთის გამოყენება სურს.

წინააღმდეგობათა ეს კორიანტელი იმაზე მიგვანიშნებს, რომ 2009 წელს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გაგრძელდება. ამით, პირველ რიგში, გაიჭყლიტება ნაკლები რესურსებისა და არაეფექტური მენეჯმენტის მქონე ქვეყანა, მაგალითად, ისეთი, როგორიც რუსეთია. ის ფაქტი, რომ ბი-ბი-სი-ს გამოძიებით, 25-მა რუსმა ოლიგარქმა 200 მილიარდი, ხოლო პუტინის მთავრობამ დამატებით კიდევ 400 მილიარდი დაკარგეს, ამის მაჩვენებელია და ეს მხოლოდ საწყისი ეტაპია. სირთულეების დიდი ნაწილი ამერიკის ახალ პრეზიდენტს დახვდება და, ბუნებრივია, 2009 წელი საკმაოდ რთულად გაგრძელდება. ამ ყველაფრის შედეგი იქნება ის, რომ დამყარდება ახალი ეკონომიკური წესრიგი, შეიქმნება ახალი ეკონომიკა.

— როგორ შეხვდა საქართველო ამ კრიზისს და რა ღონისძიებებს გაატარებს იგი კრიზისის დასაძლევად?

— ამას გვაჩვენებს ჩვენი მთავრობის პოლიტიკა და მსოფლიო ეკონომიკასთან საქართველოს ინტეგრაციის ხარისხი. რუსეთ-საქართველოს ომი სწორედ ამ პროცესების უშუალო ნაწილია. გაიმარჯვებს ნაბუქოს ნავთობპროდუქტის საქართველოზე გატარების პროექტი? იარსებებს ალტერნატიული გაზსადენი? თუ რუსეთი გაიმარჯვებს და კატართან და ირანთან ერთად მსოფლიო გაზის მიწოდებაზე მონოპოლიას მოიპოვებს, რითაც მსოფლიოს ბატონ-პატრონი გახდება?

საქართველოსა და რუსეთს შორის ომი არის წინააღმდეგობა ამერიკასა და რუსეთს შორის. რა თქმა უნდა, ამერიკის მოკავშირე დასავლეთია, მაგრამ იქაც არიან ადამიანები, რომელთაც სხვაგვარი მიდგომა აქვთ ამერიკის მიზნებისადმი. მათ სურთ, ლიდერის პოზიციებმა ევროპაში გადაინაცვლოს.

ჩვენთვის ამ ეტაპზე მომგებიანი აღმოჩნდა, რომ არ ვართ ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკაში და ამ პროცესებიდან განზე ვდგავართ, მაგრამ გარწმუნებთ, კრიზისული პროცესი არც ერთ შემთხვევაში არ აგვივლის გვერდს. ჩვენ პრობლემა გვექმნება სამ სფეროში. ეს არის საბანკო-საფინანსო სფერო, მშენებლობის სფერო და ინფრასტრუქტურის სფერო. 2009 წელს ამ სამ-სამ სფეროში საქართველო სერიოზული პრობლემების წინაშე დადგება.

— ახლა თუ იგრძნობა კრიზისი საქართველოში და რომელ სფეროში?

— საქართველოში არსებულ ყველა ბანკს, გარდა პროკრედიტბანკისა, პრობლემები აქვს. ყველა ბანკში არის ლიკვიდურობის, ლიმიტების დარღვევის, ბიზნესდაფინანსების, მომავალი მოგების და იმ კაპიტალიზაციის შენარჩუნების პრობლემა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩვენ არ მოგვწონს, რომ კრედიტების პროცენტები გაიზარდა — ეს იმას ნიშნავს, რომ ბიზნესი ვერ მიიღებს კრედიტს, რადგან 25-პროცენტიანი კრედიტის აღების შემთხვევაში შეუძლებელია მისმა მოგებამ კრედიტის პროცენტი გადაფაროს. ასეთ შემთხვევაში შეჩერდება წარმოების ზრდა და დაიწყება უმუშევრობა.

— საქართველოს პრეზიდენტმა უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ეკონომიკური კრიზისის თავიდან ასაცილებლად დაგეგმილია გადასახადების ლიბერალიზაცია. რას მოგვიტანს ეს ნაბიჯი?

— არც ისე მარტივადაა საქმე, რომ საქართველოში მხოლოდ გადასახადების ლიბერალიზაციის პრობლემა იდგეს. ამ პრობლემის მოგვარებას კომპლექსური ხედვა სჭირდება. უნდა შემუშავდეს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ადაპტირებული იქნება ახალ სიტუაციებზე. არ ვიცი, რამდენად მუშაობს მთავრობაში ანტიკრიზისული ორგანო და მინისტრებიდან რომელი აგებს პასუხს არსებული სიტუაციის მდგრადობაზე, მაგრამ ვიცი, რომ ამ წუთში პროგრამა არ გვაქვს, არ ვართ მოთამაშეები, რომლებიც თამაშის წესებს ადგენენ, არ გვაქვს ფორმულა, რომელიც სჭირდება ქვეყანას და რაც ახალი ეკონომიკის ან ეკონომიკური კრიზისის შემთხვევაში იმუშავებს. უფრო მეტს გეტყვით — ამის გასაღები ჩვენთან არ არის. ის დასავლეთში დევს და ქვეყანას, რომელმაც გადაიტანა ომი და კონფრონტაციაში ჩაება, გაუჭირდება...

ვიმეორებ, საქართველოს სერიოზული ეკონომიკური პროგრამა სჭირდება... საქართველო იყო მაღალი ინვესტიციების ქვეყანა, მაგრამ ამჟამად ეს ინვესტიციები შეწყდა და დადგა ლარის პრობლემა. ჩვენ თუ მას შემოსავლები არ დავახმარეთ, მარტო სავალუტო ფონდის დახმარება ვერაფერს გვიშველის...

— თქვენ ახსენეთ ეკონომიკური პროგრამა. როგორც ეკონომიკური ექსპერტი, სთავაზობთ თუ არა მთავრობას პროგრამას ან კრიზისიდან გამოსვლის გზებს, საერთოდ, არიან თუ არა ეკონომიკური ექსპერტები ჩართულნი ამ პროცესში?

— რა თქმა უნდა, იქმნება რაღაც ექსპერტთა გაერთიანებები, მაგრამ არ ვიცი, ვინ არიან ისინი, რატომ არიან ექსპერტები, რა გამოცდილება აქვთ, რა პროგნოზები გაუკეთებიათ, რა გამართლებულა და ა.შ. საფინანსო და მაკროეკონომიკის ნაწილში გარკვეული ხედვა ბევრ ექსპერტს გააჩნია, მაგრამ საქმე ისაა, პოლიტიკურად რამდენად პოპულარულია ეს მოსაზრებები.

მაგალითად, ჩვენ ვაკეთებდით პროგნოზებს ინფლაციასთან დაკავშირებით, რაც ყურად არავინ იღო, არავის მიუღია პრევენციული ზომები, რამაც მოსახლეობის მდგომარეობა გააუარესა. სამწუხაროდ, ჩვენ მოვლენებს უკან მივყვებით და არ ვითვალისწინებთ სხვების გამოცდილებას — ამერიკაში იმიტომ მოხდა კრიზისი, რომ საშუალო ამერიკელის შემოსავალი არ გაიზარდა. იგივეა ევროპაშიც. ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მთავარი საშუალო ფენის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში კრიზისის დაძლევაზე საუბარიც კი ზედმეტია.

რა გვაყოვნებს ცივილიზებული სამყაროს კარიბჭესთან

„აზრი დღეს პიროვნებებმა ერის ხასიათში უნდა ეძებონ. ერებმა ცივილურად უნდა გამოავლინონ ზეგარდმო ნაკარნახევი თავისი თავი. აქამდე პიროვნებები „უშლიდნენ“ ერებს — ყოფილიყვნენ ის, რაც მათ ცით ჰქონდათ ნაკარნახევი, მაგრამ, ალბათ, ამ გზის ასე გავლა გარდაუვალი იყო.

ერი ქმნის პიროვნებას და არა პიროვნება ერს. ერის ენა არის მისი სულიერი და ფიზიკური ქმედების არეალი, მისი ინდივიდუალური და კოლექტიური-ფსიქიკური ფასეულობების შობის სივრცე. როგორ ვზრდი ვენახს? როგორ ვამუშავებ მიწას? როგორ ვუმასპინძლდები სტუმარს? როგორ ვზრდი ბავშვს? როგორ ვტირი? როგორ ვმღერი? როგორ ვზეიმობ? როგორ თანავუგრძნობ ადამიანს? როგორ ვეჯიბრები სხვას? როგორ ვაფასებ მოვლენებს? როგორ შემტკივა გული ამქვეყნიურზე და იმქვეყნიურზე — ჩემსაზეც და სხვისაზეც? — ესაა სრული სალაპარაკო ენა სხვასთან ჩემი და იმისი — ჩემთან. ყველაფერი, რაც „ისტორიული სუბიექტების“ წყალობით ერებმა აქამდე გაიფუჭეს, სანამ დროა და ჯერ კიდევ რაღაც დარჩა, ის უნდა აღდგეს — ამაშია დღევანდელი აზროვნება. სადაც ეროვნული სულიერების ცეცხლია, შეუძლებელია იქ აზრის კრიზისი დადგეს, რადგან ეს ბუნების აზრია და არა პიროვნების“ — ამბობს კინორეჟისორი რეზო ესაძე, რომლის ჩანაწერებიც დღეს იმით არის აქტუალური, რომ ნამდვილად გვჭირდება საკუთარი „სალაპარაკო ენისა და აზროვნების“ სტილს ჩავწვდეთ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ — რა დევს ჩვენს ბუნებაში ისეთი, რაც განვითარებაში ხელს გვიშლის და რაც ცივილური სამყაროს კარიბჭესთან გვაყოვნებს... სწორედ ამაზე შევეცდებით ვიპოვოთ პასუხები ფსიქოლოგიის დოქტორ გაგა ნიჟარაძესთან საუბარში, რომელიც ჩვენი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს უსვამს ხაზს.

ნინო კაკულია

— აგვისტოში რუსეთთან ომგამოვლილი ქართული საზოგადოების, ეთნოსის ფსიქოლოგიაზე საუბარი დღეს აქტუალურია, რათა შევაფასოთ მისი თვითგადარჩენისთვის ბრძოლისა და აზროვნების სტილი...

— თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ეთნოსის ფსიქოლოგიაზე აღარ ვსაუბრობთ, რადგან ეთნოსი ბევრი სხვადასხვა ჯგუფისგან შედგება, რომელთაც სხვადასხვა მენტალიტეტი და ფსიქოლოგია აქვთ. მაგრამ ყველას მაინც საერთო აქვს რაღაც გარკვეული ღირებულებები. აქედან რაღაცას მეტი ყურადღება ექცევა, რაღაცას — ნაკლები.

მაგალითად, საქართველოში, ბავშვის აღზრდისას მისი ნებისყოფის გამომუშავებას ძალიან ცოტა ყურადღება ექცევა. ამიტომ ქართველები მომავალზე ნაკლებად ვართ ორიენტირებულნი. არ ვფიქრობთ ხოლმე შორს გათვლილ გეგმებზე და ა.შ. სხვათა შორის, გარკვეულ გამონაკლისს წარმოადგენს ე.წ. „ვარდების ჯგუფი“, რომელმაც საქართველოს 15 წლიანი დამოუკიდებლობის ისტორიაში პირველად დაიწყო მომავლისთვის გათვლილი გეგმების მეტნაკლებად შემუშავება. რამდენად შესაძლებელია მათი განხორციელება, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ, ზოგადად, ეს ასეა. ქართველი ადამიანი ყოველთვის მოსავლიდან მოსავლამდე ცხოვრობდა და იქით აღარ იყურებოდა.

საქართველოსთვის ძნელი წარმოსადგენია, რაც საფრანგეთში ლუი XIV-ის ფინანსთა მინისტრმა გააკეთა. მან გააშენა ტყე, რათა 300 წლის შემდეგ ფრანგებს ფლოტისთვის ჰქონოდათ კარგი ხის მასალა, რაც 300 წლის შემდეგ მეტალმაც მშვენივრად შეცვალა, მაგრამ ფინანსთა მინისტრმა მაშინ თავისი საქმე გააკეთა. შორს მიმავალ გეგმებზე ფიქრი ჩვენთვის ახალი ხილია და თუ გვინდა, რომ ერი გავხდეთ, სწორედ ეს უნდა გავითვალისწინოთ. არსებობს ქართული სიმღერა „ტყე შეუნახე შვილებსაო“, მაგრამ რეალურად ამას ნაკლებად თუ ვინმე აკეთებს. ქართველს თუ ცივა, მიდის და ნაკრძალში ჭრის ხეს, თუ შია — კლავს ცხოველს. ანუ გარემოს დაცვაზე არ ზრუნავს, რაც, საბოლოოდ, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების კისერზე გადატყდება.

ჩვენს პოლიტიკასა თუ ეკონომიკაშიც ყველაფერი იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანი, სამწუხაროდ, ამწუთიერი ინტერესებითა და მოგებით საზრდოობს. ეს არა მარტო ჩვენთვის არის დამახასიათებელი, არამედ ბევრისთვის, მაგრამ გამოცდილმა ქვეყნებმა და ერებმა ისწავლეს, რომ საჭიროა, ვთქვათ, ქალაქის განვითარების გრძელვადიანი დაგეგმვა, ეკოლოგიასა და ეკონომიკაზე ფიქრი და ა.შ. თუ შევძლებთ ამას, გავხდებით მდგრადი ერი, თუ არადა ვიქნებით ისეთი, როგორებიც ვართ.

— როდესაც ჩვენ ვირჩევთ ხელისუფლების წარმომადგენელს, თუნდაც პრეზიდენტს, ქართულ საზოგადოებას ყოველთვის აქვს მოლოდინი იმისა, რომ ის წინამორბედზე უკეთესი იქნება. თუ არჩეული პრეზიდენტი რაღაც პერიოდის მანძილზე ერის იმედებს ვერ გაამართლებს, საზოგადოების დიდი ნაწილი მაინც ფიქრობს, რომ ხელისუფალი მომავალში უკეთესი გახდება და ამ პრინციპით იოლად პატიობს მას შეცდომას. ბევრ მათგანს აქვს ხოლმე იმის განცდაც, რომ ქვეყნის პრეზიდენტის თუ მთავრობის შემცვლელი არავინაა. თქვენი აზრით, რას უნდა მივაწეროთ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქართული საზოგადოების ასეთი განწყობა?

— ჯერ ერთი, ეს მთლად ასე არ გახლავთ. ჩვენ პროტესტიც ვიცით და პრეზიდენტის გადაყენებაც გვეხერხება და, ამ კუთხით, ამ ცოტა ხნის მანძილზე უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილებაც შევიძინეთ. ზოგადად კი მართალს ბრძანებთ. ჩვენში ყველაზე გავრცელებული ლანძღვაა „შე უპატრონო“. უპატრონო არის თავისუფალი, თავისი თავის პატრონი. ჩვენი გაგებით კი უპატრონობა ნიშნავს იმას, რომ შენზე ვიღაცა აღარ ზრუნავს. ვის ხელში ვართ? — აი, ეს არის ჩვენთვის აქტუალური. ამ კითხვაზე ერთი პასუხი არსებობს: — ვის ხელში ვართ და ვინც ავირჩიეთ, ვინც ჩვენ თვითონ მოვიყვანეთ ხელისუფლებაში... მიმაჩნია, რომ ჩვენ „სოციალურად მოაზროვნე ხალხი“ ვართ. ჩვენზე აუცილებლად ვიღაცა უნდა ზრუნავდეს, სხვამ უნდა აკეთოს ის, რაც ყველა ნორმალურ ქვეყანაში თავად უნდა აკეთო. ერთი რამეა კიდევ, ძალიან არაკომფორტულად გრძნობს ადამიანი თავს არანინასწარმეტყველებად გარემოში. ამიტომ არის, რომ, ვთქვათ, ოჯახში სერიოზული განხეთქილების მიუხედავად, მაინც არ ხდება განქორწინება. რატომ? იმიტომ, რომ ოჯახის წევრებმა ერთმანეთი, ასე თუ ისე, უკვე იციან და გაურკვევლობასა და ახალ გარემოს კვლავ ძველს ამჯობინებენ. ახალი ცხოვრების დასაწყებად ადამიანი ხშირად თავს მზად არ გრძნობს და ურჩევნია ძველი „ჭირი“. პოლიტიკაშიც ასეა... ვინც არის ხელისუფლებაში, იმას ვიცნობთ მაინც და გვგონია, რომ დიდი შანსია მისი შეცვლით ხელისუფლებაში კიდევ უარესი მოვიდეს. ვფიქრობთ, რომ იქნება არეულობა და ა.შ. — აზროვნების ეს სტილი, საერთოდ, პატრიარქალური, ავტორიტარული საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი.

— აგვისტოს მოვლენების განვითარების ფონზე თქვენ რა შთაბეჭდილება გექმნებათ საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელმაც დაიჯერა, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ! რაზე მიუთითებს ეს?

— ეს არის დაცვითი მექანიზმი. ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ თვალს ხუჭავ რეალობაზე და ქმნი რაღაც მითს. ჟან კოკტოს ერთ-ერთ პიესაში ასეთი სიუჟეტია: ოჯახს არ სჯერა, რომ მეორე მსოფლიო ომი მართლაც ისეთი შედეგებით დამთავრდა, როგორც ეს რეალურად იყო. დაახლოებით იგივეა აქაც. მირჩევნია არ შევხედო სინამდვილეს, რათა ისევ არ მოვხვდე არანინასწარმეტყველებად გარემოში ან იმ სიტუაციაში, რაც საქართველოში 15 წლის წინ იყო, როდესაც საბჭოთა კავშირი დაინგრა და დიდი ქაოსი დაიწყო. მიღებული თავისუფლება ქართველმა ერმა დიდი სიამოვნებით გადააბარა მაშინ გამსახურდიას, რომელმაც თქვა, რომ პრეზიდენტობა შემიძლიაო. მერე, მოგეხსენებათ, ამას რა მოვლენებიც მოჰყვა. შევარდნაძის გაპრეზიდენტების შემდეგ საქართველოში ერთგვარი სტაბილური გარემო შეიქმნა და საზოგადოებისთვის მთავარი სწორედ ამ სტაბილურობის შენარჩუნება იყო. „ვარდების რევოლუციის“ დიდ მიღწევად იმასაც თვლიან, რომ ხელისუფლების შეცვლამ ქვეყანაში არეულობა არ გამოიწვია. ამ ომმა კი აჩვენა, რომ თურმე ძალიან მოწყვლადი საზოგადოება ვართ და ომი შესაძლებელია. მართალია ძალიან ბევრს შეეხო ეს ომი და მსხვერპლიც საკმაოდ დიდია, მაგრამ აგვისტოს მოვლენები გაცილებით უარესი შედეგებით შეიძლებოდა დამთავრებულიყო — სწორედ ამ ლოგიკით აჰყვა ერი იმის მტკიცებას, რომ გავიმარჯვეთ. შეიძლება ეს არც არის ცუდი, რათა ადამიანებმა შეინარჩუნონ სტაბილურობისა და მომავლის იმედი. არ ვიცი, ვნახოთ, ჯერ კიდევ არ გამოკვეთილა ომის ყველა შედეგი.

— დღეს ოპოზიციის დიდ ნაწილს, იმის გამო, რომ მან ხელისუფლების ცვლილებას ვერ მიაღწია, გარკვეული აგრესია გაუჩნდა თავად საზოგადოების მიმართ, რაც ხშირად იკვეთება ოპოზიციის წარმომადგენლებთან საუბარში. ისინი უკვე რაღაც პასუხისმგებლობას საზოგადოებასაც უნაწილებენ. თქვენი აზრით, ამ ეტაპზე, საზოგადოების რა პასუხისმგებლობაზე შეიძლება საუბარი და რამდენად მზად არის ჩვენი ხალხი ამისთვის?

— ის, რომ ოპოზიცია პასუხისმგებლობას საზოგადოებას უნაწილებს, ჩვეულებრივი მოვლენაა. როდესაც ჩემი გუნდი იგებს, იგი იგებს იმიტომ, რომ მაგარია, მაგრამ როცა აგებს, აგებს იმიტომ, რომ მსაჯი იყო ცუდი და ცხრა ნომერი გვყავდა დამტვრეული. ანუ უარყოფითი შედეგების მიღებისას ტენდენციაა ასეთი: ყოველთვის იპოვო დამნაშავე სხვისი სახით და არ დაადანაშაულო საკუთარი თავი. საზოგადოებას დღეს მაინც „შეჩვეული ჭირი“ ურჩევნია. იგი ეჭიდება შეჩვეულ სტაბილურობას, იმ აზრს — რომ ეს ხელისუფლება კიდევ რაღაცას გვიშველის, ბოლოს და ბოლოს ამერიკა დაგვეხმარება... საქმეც იმაშია, რომ ასეთი იმედი არ არის მთლად უსაფუძვლო. ე.ი. ქართველებისთვის დამახასიათებელია ოპტიმისტური ფატალიზმი, რომ ყველაფერი რაღაცნაირად, თავისთავად დალაგდება და ყველაფერი კარგად იქნება.

— ამ ყველაფრის ფონზე როგორ განიხილავთ დღევანდელ საზოგადოებას?

— აგვისტოს მოვლენები ყველასთვის ძალიან მოულოდნელი იყო. არავის აზრად არ მოსვლია, რომ ომი კონფლიქტურ რეგიონებს გასცდებოდა — ამისთვის სრულიად მოუმზადებელი ვიყავით. როდესაც ადამიანი მოუმზადებელია, იგი ცდილობს — ჩაეჭიდოს იმედისმომცემ პირველივე ინფორმაციას, ადამიანს და ა.შ. ამიტომ იყო, რომ ომის პერიოდში ჩვენთვის სასარგებლო ინფორმაციის ყველას სჯეროდა, ხოლო რაც ჩვენთვის უსიამოვნო იყო, მას სიცრუედ ან რუსეთის მიერ „შემოგდებულ“ ინფორმაციად ვნათლავდით. ჭეშმარტება ყოველთვის სადღაც შუაშია. პირობითად, არსებობს ორი, მეტნაკლებად ურთიერთგანსხვავებული პოზიცია და რა პოზიციაზეც ხარ, იმის შესაბამისი ინფორმაციის გჯერა. დღეს დიდ როლს ისიც თამაშობს, რომ ხელისუფლებას მედია, ფაქტობრივად, მონოპოლიზირებული აქვს. ტელეკომპანია „კავკასია“ მხოლოდ თბილისს ფარავს და, ამ მხრივ, მისი შესაძლებლობები ძალიან შეზღუდულია. „იმედის“ დაკარგვამ სერიოზული დარტყმა მიაყენა საქართველოში საზოგადოების განვითარებას და დიდი ზიანი მოუტანა თავად მმართველ გუნდსაც. გავიხსენოთ ანდერსენის ზღაპარი — „შიშველი მეფე“. თუ ვინმე არ დაიძახებს, რომ მეფე შიშველია, მეფეს ეგონება, რომ იგი არ არის შიშველი. თავისუფალი მედია სწორედ ამ როლს ასრულებს. სიმართლე ზოგჯერ გამოითქმის მკვახედ, ზოგჯერ არაეთიკური მეთოდებითაც, მაგრამ იგი აუცილებელია, რათა მმართველი სისტემა შიგნიდან არ გამოლპეს, როგორც ეს საბჭოთა კავშირის დროს მოხდა. ბოლოს პოლიტბიურო იყო მარაზმატული ბებრებისგან შემდგარი „ხროვა“, რომელმაც საერთოდ არაფერი იცოდა — რა ხდებოდა მსოფლიოში.

— ადრე საზოგადოება საკმაოდ აქტიური იყო მედიის თავისუფლების დაცვის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდში სიტყვის თავისუფლების პრობლემა ქვეყანაში არ არსებობდა, საზოგადოება აქტიურად აჰყვა ოპოზიციის პროტესტს, რაც მაშინ ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ში უშიშროების წარმომადგენლების შეჭრამ გამოიწვია. „იმედის“ დარბევას და შემდეგ მის „სახეცვლილებას“ საზოგადოება დიდად არ აუფორიაქებია. იქნებ მაშინდელი ოპოზიციონერი ლიდერების — სააკაშვილისა და ჟვანიას დამსახურება იყო მოსახლეობის გააქტიურება? რატომ არის ხალხი შედარებით პასიური დღეს, როცა ამჟამინდელი ოპოზიციაც, პირველ რიგში, სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლას მოითხოვს? რით ახსნით ამას?

— ჩემი აზრით, შევარდნაძემ ვერ განაზღვრა მედიისა და არასამთავრობო სექტორის სიძლიერე და ამას შეეწირა. რაც შეეხება სააკაშვილის გუნდს, მან კარგად იცის — რა ძალაა ეს, რადგან ხელისუფლებაში სწორედ ამ ძალის მეშვეობით აგორებულ ტალღაზე მოვიდა. ამიტომ ის ყველანაირად ცდილობს, მედია მარწუხებიდან არ გაათავისუფლოს. ვფიქრობ, ჯერჯერობით, ქვეყანაში არ არის ისეთი სიტუაცია, როგორიც შევარდნაძის დროს იყო, როდესაც საზოგადოებამ ცალსახად დააფიქსირა საკუთარი განწყობა, რომ გემი მეტს ვეღარ გაცურავდა. ფაქტი იყო, რომ შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდში სრული სტაგნაცია იყო და წინსვლის არავითარი პერსპექტივა არ ჩანდა. ასეთი განწყობა საზოგადოებაში დღეს არ არის. ამასთან ერთად, ხალხს 7 ნოემბერმა სერიოზული შიშიც „დაუტოვა". საზოგადოების ნაწილში კი ჯერ კიდევ არსებობს იმედი იმისა, რომ ამ ხელისუფლებას რაღაცის გაკეთება კვლავ შეუძლია. როდესაც ეს იმედი გაქრება, მაშინ თავისუფალი მედიაც გაჩნდება — ამის გარანტიას გაძლევთ.

— თქვენი აზრით, რა დატვირთვა აქვს „ქართველი წინასწარმეტყველის“ ლელა კაკულიას გაზეთის არსებობას? ამ გაზეთში უკვე 24-ე საუკუნის საქართველოს გაბრწყინებაზე წერენ...

— გახსოვთ ალბათ, 80-იანი წლების ბოლოს, როცა საბჭოთა კავშირი ინგრეოდა და ცუდად აწყობილი სამყაროს დასასრულის დღე ახლოვდებოდა, უცებ გაჩნდნენ კაშპიროვსკები, მფრინავი თეფშები და ა.შ. შემდეგ ეს ჩაწყნარდა. და აი, ახლა, ისევ აღმოცენდა ეს ტენდენცია, რადგან ისევ გაურკვეველი სიტუაციაა. მახსოვს, ყარაბაღის კონფლიქტის დროს ხელში ჩამივარდა ყარაბაღში გამოცემული გაზეთი, სადაც ვიღაც ქალი ყვება, როგორ შეხვდა იგი უცხო პლანეტელებს, რომლებმაც უთხრეს, რომ „თქვენ გაიმარჯვებთ“ და მერე გაფრინდნენ. გაურკვევლობისა და შიშის პერიოდებში ასეთი ტიპის მესიჯები ჩნდება, უცებ ამოჰყოფენ ხოლმე თავს ვიღაც მისტიკოსი-უფოლოგები და ა.შ.

— დღეს ისევ დაიწყო საუბარი მოსალოდნელ ომზე რუსეთთან. რამდენად რეალურად გვემუქრება ეს საფრთხე? ხომ არ არის იმის მცდელობა, რომ ამ მოლოდინით საზოგადოების გაერთიანება მოახერხონ? მოგეხსენებათ, ერი სწორედ მაშინ ერთიანდება, როცა საფრთხეს გარეშე მტრისგან ელის...

— არ ვიცი, ვინ დაიწყო ამაზე საუბარი და რამდენად რეალურია ეს საფრთხე, მაგრამ პასუხად ასეთი რამ მახსენდება: აზიაში, დაახლოებით, 60-იან წლებში მოხდა დიდი მიწისძვრა, რის შედეგადაც ერთი ქალაქი მთლიანად დაინგრა, იყო დიდი მსხვერპლი, 70 კილომეტრში მდებარე ქალაქი კი მიწისძვრამ მხოლოდ „შეაჯანჯღარა". აღმოჩნდა, რომ იმ ქალაქში, სადაც სერიოზულად არავინ დაშავებულა, შიში გაცილებით მეტი იყო, ვიდრე იქ, სადაც ყველაფერი დაინგრა. გაპარტახებულ ქალაქში მოსახდენი მოხდა და საინტერესო გახლდათ ის, რომ იქ იმედი გაჩნდა, რომ მთელი მსოფლიო მის დახმარებას მოინდომებდა. გახსოვთ ალბათ, როცა საქართველოში დიდი მიწისძვრა მოხდა, ერთი-ორი კვირის მანძილზე მოსახლეობაში პანიკურმა შიშმა დაისადგურა, რომ მიწისძვრა კიდევ განმეორდებოდა. აგვისტოს მოვლენების შედეგად ქართულმა საზოგადოებამ დიდი შიში ნახა, მაგრამ შედეგი რადგან არ იყო ისეთი კატასტროფული, როგორსაც ელოდა, გაჩნდა ტენდენცია, რომ ომი კიდევ წინ გველოდება. ფსიქოლოგიურად ამას სხვა დატვირთვა აქვს — ეს არის შიშის გამართლების სურვილი, თუ შეიძლება ასე ითქვას.

— თქვენი აზრით, რა გზით უნდა განვითარდეს ჩვენი საზოგადოება? რას უნდა სძლიოს და რა კუთხით უნდა გამოიჩინოს აქტიურობა?

— ჩვენი საზოგადოება, რომელიც არ იყო მიჩვეული დამოუკიდებელ ცხოვრებას, მას თანდათან სწავლობს. ამ გზაზე წარმატებებიც არის, ჩავარდნებიც, მაგრამ თუ გვაცალეს, ნელ-ნელა რაღაცას ავაშენებთ: კიდევ დავაგებთ გზებს, მივეჩვევით სისუფთავეს, ვისწავლით ყოველდღიურ ურთიერთობებს, ავითვისებთ ბიზნესს და ა.შ.

უფრო კონკრეტულად თუ ვიმსჯელებთ, ქართულ საზოგადოებაში იკვეთება ორი ტენდენცია, ორი დისკურსი: ერთი — ლიბერალურ-დემოკრატიული, მეორე – მართლმადიდებლურ-პატრიოტული, რომლებიც ერთმანეთს მართალია სიყვარულით არ უყურებენ, მაგრამ მათ შორის სერიოზული კონფლიქტი ჯერ არ დაწყებულა, თუმცა, ალბათ, ეს მოხდება. ბიზნესი ყოველთვის მიდრეკილია ლიბერალურ-დემოკრატიული გზისკენ. ჯერჯერობით, ჩვენი ბიზნესმენები ეკლესიებს აშენებენ, მაგრამ ადრე თუ გვიან, ისინი ამ საქმიანობას თავს დაანებებენ და შედეგად კონფლიქტს წინასწარმეტყველებ. არ ვამბობ, რომ ეს იქნება სამოქალაქო ომი, მაგრამ ჩვენ წინ გველოდება ახალი კონფლიქტი საზოგადოებრივი პოლემიკის დონეზე. შეიძლება ეს პოლემიკა იყოს არა ნეგატიური, არამედ პოზიტიურიც კი წინსვლის თვალსაზრისით.

— ბიზნესმენები ეკლესიებს რომ აშენებენ, განა ეს ცუდია?

— ცუდი ნამდვილად არ არის, მაგრამ ეს არ არის ბურჟუაზიისთვის დამახასიათებელი. ბიზნესმენს თუ ფული გაუჩნდა, მას ურჩევნია ახალი ქარხანა ააშენოს. დღეს საზოგადოება მოითხოვს ეკლესიის აშენებას და იგი, ასე ვთქვათ, ხალხს „კოჭს უგორებს".

— იმიტომ, რომ საზოგადოება თავშესაფარს ხშირად ეკლესიაში ეძებს. მას სწამს, რომ იმ ფასეულობების შენარჩუნებას, რაც ქართველ ერს მოსდგამს, სწორედ ეკლესიის მეშვეობით მოახერხებს...

— დღეს რელიგიას აქვს ტენდენცია, რომ სერიოზული გავლენა იქონიოს საერო საქმეებზე, ამის მომხრე არ ვარ. ქრისტიანობა, საერთოდ, არაეროვნული რელიგიაა. იგი ქადაგებს, რომ არ არსებობს იუდეველი... არსებობს მხოლოდ ქრისტიანი და როდესაც ეკლესია იწყებს ეროვნული ღირებულებების დაცვას, ის თავისი არსით აღარ არის ქრისტიანული, ის თავისი არსით ხდება ეროვნული. ეს არის გაიგივება ეროვნულობისა რელიგიურობასთან, რაც კარგ ტენდენციად არ მიმაჩნია. ეროვნული ფასეულობა უნდა დაიცვას საზოგადოებამ. მე მაინც ოპტიმისტი ვარ და მიმაჩნია, რომ ადრე თუ გვიან, არა 24-ე საუკუნეში, არამედ ახლო მომავალში ჩვენი თაობა უკეთეს ცხოვრებას ნახავს.

პროექტს „მეწარმეობის კურსები“ კიდევ 4 ქართული უნივერსიტეტი შეუერთდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა პროექტი „მეწარმეობის კურსები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, რომელსაც მხარს უჭერდა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და საბერძნეთის საგარეო ურთიერთობების სამინისტროს ფონდი "NELLENIC CAID". საბერძნეთის მხრიდან პროექტში ჩართული იყო პირეუსის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. წელს პროექტი მეორე ეტაპზე გადავიდა. მასში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, მონაწილეობას საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც მიიღებენ.

მაია ტორაძე

7 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-ს, პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტს, სოხუმის უნივერსიტეტს, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების უნივერსიტეტს, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს შორის. მემორანდუმში მითითებულია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პირეუსის უნივერსიტეტთან ერთად, საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებს გამოცდილებას გაუზიარებს. უნივერსიტეტები ერთმანეთს დაეხმარებიან სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურით.

მემორანდუმის გაფორმებამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ „პროექტი მიზნად ისახავს ქართველი სტუდენტებისთვის სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებასა და ეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტებისთვის მეწარმეობის თანამედროვე, დასავლური გამოცდილების გაზიარებას. ის ფაქტი, რომ დღეს ამ პროექტს კიდევ 4 ქართული უნივერსიტეტი შეუერთდა, ადასტურებს იმას, თუ რამდენად წარმატებული გამოდგა იგი“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

საქართველოში საბერძნეთის ელჩმა გეორგიოს ხაძიმიხელაკისმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ პროექტი გრძელდება და მასში კიდევ უფრო მეტი სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას. „საქართველოსა და საბერძნეთს გააჩნიათ დიდი საგანძური — ისტორია, მდიდარი სული, ბუნება, ნიჭი და ინტელექტი. თუ ამ რესურსებს სწორად გამოვიყენებთ, ჩვენ გვექნება მყარი ეკონომიკური მდგომარეობა. მე სიტყვა მივეცი ბატონ გიორგი ხუბუას, რომ მხარს დავუჭერ ყველა მის ინიციატივას. იმედი მაქვს, ეს პროექტი წარმატებული იქნება“, — ბრძანა საბერძნეთის ელჩმა.

პირეუსის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანმა იოზეფ ხასიდიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მემორანდუმის გაფორმება უკვე ადასტურებს პროექტის წარმატებულობას. „გაოცებული ვარ ქართველი სტუდენტებით, რომლებმაც საოცარი აქტიურობა გამოიჩინეს და ამ პროექტში მონაწილეობას ენთუზიაზმით მოეკიდნენ. მოხარული ვართ, რომ მეწარმეობის კურსები ასეთი აქტუალური გახდა და სხვა უნივერსიტეტებშიც დაინერგა. იმედია, მსურველთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება“, - განაცხადა მან.

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ავთანდილ ჩუთლაშვილმა მადლობა გადაუხადა პირეუსისა და თბილისის უნივერსიტეტებს იმისთვის, რომ სხვა უნივერსიტეტებსაც მიეცათ ამ პროექტში ჩართვის საშუალება. „ჩვენთვის მნიშვნელოვანია, გამოვიყენოთ ის დიდი შესაძლებლობები, რომელიც უმაღლესი განათლების რეფორმამ მოგვცა და რითაც ბოლონიის პროცესის მონაწილე გავხდით. ამ პროექტის განხორციელების შემდეგ ჩვენს სტუდენტებს აქვთ შანსი, გახდნენ რეალური ბაზრის მოთხოვნილებების ადეკვატური“, — აღნიშნა მან.

სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების უნივერსიტეტის პრორექტორი მაკა კობალავა, საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის პრორექტორი რეზო მელაძე და სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი ჯონი აფაქიძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საინტერესო პროექტის განხორციელებისათვის და აღნიშნა, რომ საერთაშორისო კორპორაციულ პროექტებში მონაწილეობა ნებისმიერ უნივერსიტეტს განვითარების შესაძლებლობას აძლევს.

მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ პროექტის განსახორციელებლად თანამშრომლობა საქართველოს სხვა უნივერსიტეტებშიც გაგრძელდება.

საქართველოს უსაფრთხოება ევროპის უსაფრთხოებაა

კონფერენციების რეგულარული ციკლის ფარგლებში 5 ნოემბერს საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის ხელმძღვანელმა პერ ეკლუნდმა ევროპული კვლევების ინსტიტუტში წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე — „საქართველოს სწრაფვა ევროკავშირში განევრიანებისკენ; ევროპული ხედვა“.

მან საინტერესოდ ისაუბრა ევროკავშირში საქართველოს განევრიანების პერსპექტივაზე. ბატონმა პერ ეკლუნდმა აღნიშნა, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელიც ეტაპობრივად გადის ევროკავშირში ინტეგრაციის პერიოდს. ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია ამ საკითხთან დაკავშირებით, ხელმოწერილია 2000 წელს. მასში გათვალისწინებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთთანამშრომლობის ძირითადი ასპექტები: რეფორმების წახალისება და მხარდაჭერა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და განათლების სფეროებში.

თამარ მარუაშვილი

„ევროკავშირის წევრობა გახლავთ საქართველოს ამბიცია, რომელსაც ევროკომისია სრულად დაუჭერს მხარს. ევროკავშირის წევრობა როგორც ჩვენთვის, ისე საქართველოსთვის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას ნიშნავს. გარდა ამისა, ეს გახლავთ სამოქმედო გეგმა სახელმწიფო ინსტიტუტების აღდგენისთვის, დემოკრატიული პროცესების გაძლიერებისა და პენიტენციური სისტემის რეფორმისათვის. ჩვენ ამას განვიხილავთ, როგორც აუცილებელ პერსპექტივას საქართველოსთვის“, — აღნიშნა მან. პერ ეკლუნდის თქმით, ამ პროცესებს მოჰყვება როგორც სოციალური და ეკონომიკური ეფექტი, ისე განათლების სფეროს განვითარებაც. „საქართველო კარგად ართმევს თავს ევროკავშირის მოთხოვნების შესრულებას. ევროინტეგრაციის თვალსაზრისით მდგომარეობა ოპტიმისტურია. საქართველოს დახმარების სახით, რეალურად, 5 მილიარდი აშშ დოლარი გამოეყო. ამ თანხის უდიდესი ნაწილი აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნების საბიუჯეტო სახსრებიდანაა. ეს მოვლენა განსაკუთრებით შთამბეჭდავია ახლანდელი „მძიმე პერიოდის“ ფონზე“, — განაცხადა პერ ეკლუნდმა.

ყველაზე მეტი დახმარება საქართველომ აშშ-სგან მიიღო, რომელმაც მზადყოფნა გამოთქვა, რომ ქვეყანას სამი წლის განმავლობაში ერთი მილიარდი დოლარი გამოუყოს. ასევე, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ერთ მილიარდ დოლარამდე დაეხმარება საქართველოს, ევროკომისიამ 500 მილიონ ევრომდე გამოყო, იაპონიამ კი — 200 მილიონი დოლარი.

ინფრასტრუქტურის აღდგენას 5 მილიარდი სჭირდება. გამოყოფილი თანხა დაზარალებულთა პირობების გაუმჯობესებასა და ქვეყანაში ბიზნესის მხარდაჭერას მოხმარდება.

„რაც შეეხება პოლიტიკურ მხარდაჭერას, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება 300 დამკვირვებელი. მართალია, ჯერჯერობით ვერ კონტროლდება ტერიტორიები აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, მაგრამ დაგეგმილია კიდევ 200 დამკვირვებლის დამატება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის მანდატი მთელ

საქართველოს მოიცავს. ევროკავშირმა ცეცხლის შეწყვეტას მიაღწია. ახლა ჩვენ ქვეყნის ეკონომიკის აღდგენა უნდა შევძლოთ. ევროკავშირი და თანამეგობრობა ამას ერთად გააკეთებს“, - აღნიშნა პერ ეკლუნდმა.

მან ასევე ისაუბრა ევროკავშირის მიერ გამოყოფილი თანხების მიზანმიმართულად წარმართვის აუცილებლობაზე და ხაზი გაუსვა იმ ფაქტორს, რომ ეს თანხები, ძირითადად, მოხმარდება საქართველოს ომის შემდგომ რეაბილიტაციასა და ინფრასტრუქტურის აღდგენა-განვითარებას.

„ჩვენ ავიღეთ ვალდებულება, დავეხმაროთ საქართველოს ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების პროცესში, თუმცა, აქვე იმასაც დავძენ, რომ ამას გარკვეული დრო სჭირდება. იმედია, ეს დროც ერთ მშვენიერ დღეს დადგება“, — ბრძანა პერ ეკლუნდმა. მისივე თქმით, საქართველომ ბოლო წლებში შთამბეჭდავ განვითარებას მიაღწია. საქართველოს წარმატებები აქვს ეკონომიკის განვითარებაში, კორუფციასთან ბრძოლაში, განათლების სისტემის მოდერნიზებაში.

მოწვეულ სტუმართან საუბარში აქტიურად ჩაებნენ სტუდენტებიც, რომლებმაც ევროკომისიის წარმომადგენელს საინტერესო და პოლიტიკურად აქტუალური კითხვები დაუსვეს, რაც კონფლიქტურ რეგიონებში არსებულ ვითარებას შეეხებოდა. პერ ეკლუნდმა ამ თემაზე დასმულ შეკითხვებს ზომიერი თანაგრძნობით უპასუხა.

„საქართველოს შიდა კონფლიქტებთან დაკავშირებით პარალელებს გავავლებდი სომხეთსა და ყარაბაღს შორის. ვფიქრობ, რომ პრობლემა მოგვარდება ორ მხარეს შორის მოლაპარაკებების გზით. ეს ძალზე არსებითი საკითხია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველომ მოიგო პროპაგანდისტული ომი. სწორედ ამის გამო მოიპოვა მან საერთაშორისო მხარდაჭერა. ჩვენ მხარს ვუჭერთ დემოკრატიულ საქართველოს, მიმდინარე რეფორმებსა და სოციალურ სტაბილურობას ქვეყანაში“, — აღნიშნა მან.

პერ ეკლუნდმა განსაკუთრებით გამოყო საქართველოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. უსაფრთხოების სტანდარტების ამაღლების მხრივ მან მაგალითად ბალტიისპირეთის ქვეყნები დაასახელა.

საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის ხელმძღვანელმა პერ ეკლუნდმა დიდი მადლობა გადაუხადა ევროპული კვლევების ინსტიტუტს მოწვევისა და ასეთი საინტერესო დისკუსიის გამართვისთვის და დასძინა, რომ ევროპას კარგად აქვს გაცნობიერებული საქართველოს როლი საკუთარი უსაფრთხოებისთვის, რაც მომავალშიც მხარდაჭერის გარანტია გახდება.

უნივერსიტეტმა დუხობორებს უმასპინძლა

ნინოწმინდაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის — დუხობორების წარმომადგენლები პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მეუღლის, სანდრა ელისაბედ რულოვსის ინიციატივით თბილისში ჩამოვიდნენ და ქალაქის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერეს.

შურთხია ბეროშვილი

დუხობორებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმაც უმასპინძლა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ მასწავლებლები და სტუდენტები სკოლის მოსწავლეებს და მათ პედაგოგებს შეხვდნენ და უნივერსიტეტში სწავლის პერსპექტივებზე ესაუბრნენ. სტუმრებს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამაც მიმართა. „იმედი მაქვს, რომ დღევანდელი შეხვედრა მხოლოდ დასაწყისია და ჩვენი ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება. საქართველოს ყველა მოქალაქემ, განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა, უნდა იგრძნოს, რომ ყველა სფეროში მოღვაწეობის პერსპექტივა აქვს, რადგან სამოქალაქო საზოგადოება მხოლოდ ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე შეიძლება აშენდეს“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რუსისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი ნათელა ჭოხონელიძე დუხობორელ ბავშვებს უნივერსიტეტში სწავლის პერსპექტივაზე ესაუბრა და საჩუქრად წიგნები გადასცა.

ნინოწმინდის დუხობორების სკოლის დირექტორმა ლიუბოვ ხოხლინამ სანდრა რულოვსსა და უნივერსიტეტის თანამშრომლებს ყურადღებისთვისა და გულისხმიერებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ასეთმა კონტაქტებმა, შესაძლოა, ამ ბავშვების ბედი მკვეთრად შეცვალოს და მათ საქართველოდან წასვლა გადაიფიქრონ. მისი თქმით, ახალგაზრდების უმეტესობა სკოლის დამთავრების შემდეგ რუსეთში მიდის და დაბრუნებაზე აღარ ფიქრობს.

ქალბატონი სანდრას ინფორმაციით, ნინოწმინდაში დუხობორები საკმაოდ მძიმე პირობებში ცხოვრობენ და ამგვარი ღონისძიებები მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

სანდრა რულოვსის ინფორმაციით, ამჟამად ნინოწმინდის რაიონში ორასამდე დუხობორი ცხოვრობს, მათგან სამოცი — სკოლის მოსწავლეა.

„დუხობორები საკმაოდ კარჩაკეტილად ცხოვრობენ და სხვა ერის წარმომადგენლებთან ნაკლები კავშირი აქვთ. საჭიროა მათი საზოგადოებაში ინტეგრირება“, — განაცხადა სანდრა რულოვსმა.

ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის საერთაშორისო სესია საფრანგეთში

2008 წლის 24 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე საფრანგეთის ქალაქ რენში ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის რიგით 59-ე საერთაშორისო სესია გაიმართა. ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი არის ორგანიზაცია, რომელიც ათასობით ახალგაზრდას აერთიანებს ევროპის მასშტაბით. იგი 1988 წელს დაარსდა და წარმატებით აგრძელებს მუშაობას. (European Youth Parliament) ევროპარლამენტის მოდელია, ყოველ სესიაზე იქმნება კომიტეტები სხვადასხვა საკითხის მიხედვით. მაგალითად, ეკონომიკის, ადამიანთა უფლებების დაცვის, საგარეო პოლიტიკის, გარემოს დაცვის და ა.შ. კომიტეტების ჩამოყალიბების შემდეგ დელეგატები მსჯელობენ და კამათობენ კომიტეტში გააქტიურებულ თემატიკაზე. ყოველი მოსაზრების მყარი არგუმენტებით დასაბუთების შემდეგ დელეგატები იღებენ რეზოლუციას, რომელიც 2 ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში წამოჭრილია პრობლემები, ხოლო მეორე ნაწილში მათი გადაჭრის გზებზეა საუბარი. საკომიტეტო მუშაობის დასრულების შემდეგ იმართება გენერალური ასამბლეა, რომელზეც მიმდინარეობს რეზოლუციების წარდგენა, მისი დაცვა, სხვა კომიტეტების წარმომადგენლები დასმული კითხვების საფუძველზე აანალიზებენ წარდგენილ რეზოლუციას და ხმის მიცემის პროცედურისას საკუთარ პოზიციას აფიქსირებენ.

ყოველი დელეგატისთვის საოცნებოა საერთაშორისო სესიაზე მონაწილეობის მიღება, რადგან იქ თავს იყრის სხვადასხვა კულტურისა და მსოფლმხედველობის მქონე ასობით ახალგაზრდა. სესიების დასრულების შემდეგ ეწყობა საინტერესო და, ამავე დროს, გასართობი საღამოები: მაგალითად, კულტურული საღამოები, ევროკონცერტი და სხვა, სადაც დელეგატები საკუთარ ქვეყანას წარმოადგენენ ცეკვით, სიმღერით, თეატრალური წარმოდგენებით...

რენში გამართულ საერთაშორისო სესიაზე თავი მოიყარა 200-მდე ახალგაზრდამ 30 ქვეყნიდან, მათ შორის, საქართველოდანაც. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ თეონა ლავრელაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი) და ოთარ ბერიშვილი (ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტი). ისინი ახალგაზრდული პარლამენტის ეროვნულმა კომიტეტმა შეარჩია. სესიის გახსნის ცერემონიალზე დელეგატებს მიესალმა ქალაქის მერი დანიელ დელავეუ, ევროპარლამენტის წევრი ჯეინ ლამბერტი, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი ჩარლზ მიგნონი. შეხვედრაზე საუბარი მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ პრობლემებს შეეხო. აქტიური იყო საქართველოს დელეგაცია, რომელმაც არაერთი საინტერესო კითხვა დასვა. დელეგატები საფრანგეთის განათლების მინისტრს მანუელ მარკოს, სახელმწიფო მინისტრს ევროპულ საკითხებში ჯონ პიერესა და ევროსაბჭოს ვიცე-პრეზიდენტს ჟასკ ბაროტს შეხვდნენ. ევროსაბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა თეონა ლავრელაშვილთან საუბრისას ქართველ სტუდენტებს მხარდაჭერა აღუთქვა და განაცხადა, რომ იგი მზად არის თსუ-ის სტუდენტურ ჟურნალთან „პირველი სიტყვა“ და გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ ითანამშრომლოს.

კომიტეტმა, რომლის წევრებიც ქართული დელეგაციის წარმომადგენლები იყვნენ, წარმატება მოიპოვა იმ თვალსაზრისით, რომ ამ კომიტეტის მიერ წარდგენილი რეზოლუციები ხმათა უმრავლესობით მიიღეს.

აღსანიშნავია, რომ სესიის მსვლელობისას ძალიან პოპულარული იყო საქართველოს თემა აგვისტოში განვითარებული მოვლენების გამო. ერთ-ერთი კომიტეტის მუშაობა სწორედ საქართველოს საკითხის განხილვას მიეძღვნა, სადაც საუბარი იყო საქართველოსა და უკრაინის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და მათი ნატოში გაწევრიანების პერსპექტივებზე. სესიას რუსეთის 5 კაციანი დელეგაციაც ესწრებოდა. ასამბლეაზე ცხარე დებატები გაიმართა: რუსი დელეგატები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ომი საქართველომ დაიწყო, ხოლო ქართული დელეგაციის წარმომადგენლები მათ არგუმენტებით უსაბუთებდნენ, რომ აგრესია და ძალადობა რუსეთის მხრიდან განხორციელდა, რითაც საერთაშორისო სამართლის ნორმები უხეშად დაირღვა. საბოლოოდ, ქართველი ახალგაზრდების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღეს. რეზოლუციის თანახმად, რუსეთი გამოცხადდა დამპყრობლად, რომელმაც უკანონოდ დაიკავა საქართველოს ტერიტორიები. ასევე ითქვა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანებას და უნდა გააგრძელოს ამ ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერა.

დღის ბოლოს გამართულ კონცერტზე თეონა ლავრელაშვილმა და ოთარ ბერიშვილმა ქართული და აჭარული ცეკვები შეასრულეს. მათ დიდი ოვაციებით შეხვდა დამსწრე საზოგადოება. მიუხედავად რიცხობრივი სიმცირისა, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა ერთხმად აღიარეს ქართული დელეგაციის აქტიურობა და წარმატება როგორც გენერალურ ასამბლეაზე, ასევე კულტურულ საღამოებზე.

2 ნოემბერს რიგით 59-ე საერთაშორისო სესია საფრანგეთის ქალაქ რენში ოფიციალურად დასრულდა. ქართული დელეგაციის წევრები საქართველოში კმაყოფილნი დაბრუნდნენ იმ თვალსაზრისით, რომ მუშაობამ ნაყოფიერად ჩაიარა. საერთაშორისო სესიაზე მათ ღირსეულად წარმოაჩინეს ჩვენი ქვეყანა.

ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციაში საქართველოს გაწევრიანება რეალობად იქცა

ქვეყანაში მიმდინარე ევროინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესებში თსუ-ის სტუდენტებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი. ისინი საერთაშორისო სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების დიდი სურვილით არიან დაინტერესებულნი. მათ, რა თქმა უნდა, თსუ-ის ხელმძღვანელობა და სტუდენტური თვითმმართველობაც აქტიურად უჭერს მხარს. სტუდენტთა ასეთი ინიციატივა მართლაც რომ მისასალმებელი და ანგარიშგასაწევია, რადგან ისინი ხვალ ჩვენი ქვეყნის განვითარების უშუალო ორგანიზატორები გახდებიან. ერთ-ერთი წარმატებული სტუდენტური ინიციატივის შესახებ მოგვითხრობს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი ირაკლი სამხარაძე, რომელიც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ოთხ სტუდენტთან ერთად გერმანიის ქალაქ ნიუნბერგში იმყოფებოდა, ვიზიტის მიზანი კი გახლდათ საქართველოს გაწევრიანება ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციაში (ELSA – European Law Students' Association).

თამარ მარუაშვილი

— რა მიზნებს ემსახურებოდა თქვენი ვიზიტი გერმანიაში?

— არსებობს ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია, რომელიც 1981 წელს სხვადასხვა ევროპული ქვეყნის ინიციატივით ავსტრიაში შეიქმნა. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია საერთაშორისო სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. ამ ორგანიზაციის არსებობის შესახებ ჩვენ 2008 წლის გაზაფხულზე შევიტყვეთ და მაშინვე დავინტერესდით. ბუნებრივია, დაგვებადა იდეა, გავმხდარიყავით ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრები. ოფიციალური მიმოწერა დავიწყეთ, რათა ჩვენთვის ნათელი გამხდარიყო ის მიზნები და პრინციპები, რასაც ეს ასოციაცია ემსახურებოდა, ასევე, დავინტერესდით, თუ რა მოთხოვნებს უყენებდა იგი მასში გაწევრიანების მოსურნე ორგანიზაციებს. ჩვენ მხოლოდ ის ვიცოდით, რომ დიდი და პრესტიჟული სტუდენტური იურიდიული ორგანიზაცია ELSA ძალიან ცნობილი და წარმატებული იყო მთელს ევროპაში.

მთელი ზაფხულის განმავლობაში ვაწარმოებდი ამ ორგანიზაციის პრეზიდენტთან მიმოწერას და ვაფიქსირებდი ქართველი ახალგაზრდა იურისტების აქტიურ პოზიციას, რათა გავწევრიანებულიყავით ამ ასოციაციაში.

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, გავეცანით და შევისწავლეთ ELSA-ს დებულება, წესდება და ინტერესის სფეროები, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სტუდენტებში იურიდიული განათლების დაბალანსება, ასევე, სხვადასხვა წევრი ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა და გაზიარება.

ასოციაცია აწარმოებს ევროპაში მიმდინარე პროცესებში სტუდენტების აქტიურ ჩაბმას და ევროპის მასშტაბით საერთაშორისო იმიტირებული პროცესების მოწყობას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამა თუ იმ ქვეყნის პირველივე განაცხადით ასოციაციაში გაწევრიანება თითქმის შეუძლებელია, რაშიც ჩვენ ნამდვილად გაგვიმართლა.

— ეს პრივილეგია რამ განაპირობა?

— ალბათ, ჩვენი წარმატება ჩვენი ქვეყნის სტატუსმა, საქართველოსა და ქართველი სტუდენტების მიმართ კეთილგანწყობამ განაპირობა... ასოციაციაში ოფიციალურად 1 ნოემბერს გავწევრიანდით, რასაც წინ უძღოდა ქართველ სტუდენტ-იურისტთა საქმიანობის პრეზენტაცია. საქმიანი ვიზიტი გერმანიაში 26 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე გაგრძელდა.

— ქართული დელეგაცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და საკმაოდ მომზადებულიც...

— აქედან იურიდიული ფაკულტეტის ხუთი სტუდენტი წავედით: დიმიტრი საძაგლიშვილი, სალომე ქავთარაძე, უჩა ძიმისტაშვილი, ზინაიდა ჩხაიძე და მე, როგორც ამ დელეგაციის ხელმძღვანელი. პრეზენტაციაზე წარმოვადგინეთ ჩვენი სტუდენტური ორგანიზაციის ძირითადი ასპექტები, სამომავლო გეგმები. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი და ELSA-ს ძირითადი მიზნები აბსოლუტურად დაემთხვა ერთმანეთს. ELSA-ს ოფიციალური წევრი გახდა თსუ-ის სტუდენტური თვითმართველობა, რადგან აპლიკანტი სწორედ ეს ორგანიზაცია იყო. როდესაც სტუდენტ-იურისტთა ორგანიზაცია დაარსდება, იგი სრულიად დამოუკიდებელი იქნება, თუმცა ჩვენს ყველაზე აქტიურ მხარდამჭერად, რა თქმა უნდა, თსუ-ის სტუდენტური თვითმართველობა დარჩება. მხარდაჭერის სურვილი მერიის ახალგაზრდულმა დეპარტამენტმაც გამოთქვა. გვეხმარებიან სხვადასხვა იურიდიული ფირმები, ასევე, სახალხო დამცველის ინსტიტუტი. ახლო მომავალში ვაპირებთ ახლად შექმნილი ორგანიზაციის პრეზენტაციას.

ამ ასოციაციაში ჩვენს გაწევრიანებას ELSA-ს 26 წევრმა ქვეყანამ დაუჭირა მხარი. სწორედ ამის შემდეგ გაკეთდა ოფიციალური განცხადება, რომ ELSA-ს საქართველოს იურისტ სტუდენტთა ორგანიზაციის სახით კიდევ ერთი წევრი შეემატა და 35 წევრის ნაცვლად, ასოციაცია 36 მოკავშირეს გააერთიანებს.

იანვრის შუა რიცხვებისთვის იგეგმება ELSA-საქართველოს პრეზენტაცია, სადაც მოწვეული იქნებიან ELSA-ს ხელმძღვანელები, რომლებიც იურისპრუდენციის კუთხით აქტიურად ჩაებმებიან საქართველოში მიმდინარე პროცესებში. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ასოციაცია აპოლიტიკურია, რომელიც ფინანსურ მოგებაზეც არ იქნება გათვლილი.

ორი დღის წინ ევროპელმა კოლეგებმა ევროპის საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად მიგვიწვიეს. მოგეხსენებათ, ჩვენ ამ ორგანიზაციის ახალი წევრები ვართ, მაგრამ იმედია, მასთან ყველა მიმართულებით აქტიურად ვითანამშრომლებთ.

— ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება მხოლოდ ბაკალავრებს შეუძლიათ თუ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებსაც?

— ასოციაციაში გაწევრიანება მთელი საქართველოს მასშტაბით როგორც სტუდენტებს, ასევე, ახალგაზრდა იურისტებსაც შეუძლიათ. ამ მხრივ შეზღუდვა არ არსებობს. ეს სტუდენტური ორგანიზაციაა, რომელიც თსუ-ის წიაღში ჩაისახა. ამ ასოციაციის გამოცდილების გაზიარება და ღონისძიებებში მონაწილეობა აამაღლებს სტუდენტის პროფესიონალურ დონეს და ხელს შეუწყობს მის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბებას. ანუ ეს არის საუკეთესო პლაცდარმი კარიერული წინსვლისთვის.

— თქვენი ორგანიზაციის უახლოეს მიზნებზე რას გვეტყვი?

— პირველი ამოცანა, რა თქმა უნდა, ახლად შექმნილი ორგანიზაციის პრეზენტაციის მაღალ დონეზე ჩატარებაა. ამის შემდეგ, ვაპირებთ სასწავლო ვიზიტების ორგანიზებას, რომელიც არა მარტო ტრენინგებს, არამედ სხვადასხვა ქვეყნის კულტურული კუთხით გაცნობასა და სტუდენტთა დაახლოებასაც ითვალისწინებს.

ELSA-საქართველოს პრეზენტაცია ჩვენს პირველ stady vizit-ს დაემთხვევა, შემდეგ იგეგმება უცხოელი სტუდენტების, თანამოაზრეების სტუმრობა საქართველოში. ყოველ წელს ELSA ირჩევს თავის „საერთაშორისო ფოკუსს“, ანუ რა საკითხებზე იქნება ორიენტირებული ასოციაციის საქმიანობა წლის განმავლობაში. წელს აქტუალურია ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები, ამდენად ჩვენი პირველი ვიზიტისას სწორედ ამ თემის ირგვლივ გვექნება საუბარი...

— ვინ იყო გერმანიაში საქმიანი ვიზიტის ფინანსური მხარდამჭერი?

— ეს გახლდათ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტისა და სტუდენტური თვითმართველობის ერთობლივი პროექტი, ანუ ეს ორგანიზაცია უნივერსიტეტის წიაღში დაიბადა. მინდა თანადგომისათვის დიდი მადლობა გადავუხადო თსუ-ის რექტორს გიორგი ხუბუას, თსუ-ის ადმინისტრაციას, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს ირაკლი ბურდულს და, ბუნებრივია, სტუდენტური თვითმართველობის პრეზიდენტს გიორგი შამათავას.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტსა“ და ჟურნალ „პირველ სიტყვას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

სტუდენტურ ენთუზიაზმს ბევრი სკეპტიკურად უყურებს და თვლის, რომ სტუდენტების მიერ წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა სჭირდება. თუმცა, რეალურად, სადაც ენთუზიაზმი, მიზანდასახულობა და სტუდენტური შემართებაა, იქ ეს პრობლემები უკვე მეორეხარისხოვანია! ამის ნათელი დადასტურებაა სტუდენტური პერიოდული გამოცემის „პირველი სიტყვის“ მეორე ნომრის სამზეოზე გამოჩენა...

თამარ მარუაშვილი

სტუდენტური ჟურნალის დაარსების სულისჩამდგმელი, ინიციატორი და რედაქტორია თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი თეონა ლავრელაშვილი.

ჟურნალი „პირველი სიტყვა“ აკადემიური ხასიათის გამოცემაა. რედაქცია თითოეულ სტუდენტს აძლევს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა და ინტელექტუალური ცოდნის ამაღლების საშუალებას.

თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ პირველი ნომრის პრეზენტაციაზე აღნიშნა: „რადგან ამ ჟურნალის გამოცემის ინიციატორები სწორედ სტუდენტები არიან, ეს, უკვე, თავისთავად, გარანტიაა იმისა, რომ იგი იქნება მართალი სიტყვისა და გულწრფელი აზრის ტრიბუნა... მე ვისურვებდი ისეთ ჟურნალს, რომელიც გემოვნების მაღალ სტანდარტებს დაამკვიდრებს ჯერ საუნივერსიტეტო საზოგადოებაში, შემდეგ კი უფრო ფართო აუდიტორიაში“...

ჟურნალი მართლაც ხელმძღვანელობს პრინციპით: სიმართლე, ობიექტურობა, პრინციპულობა, ახალგაზრდების ნამდვილი მეცნიერული და სულიერი ღირებულებებისკენ შემობრუნება! ამ პრინციპების ერთგულების ნათელი მაგალითია ჟურნალის მეორე, ე.წ. სპეცნომერი, რომელიც ქვეყანაში ცოტა ხნის წინ, რუსული აგრესიის შედეგად დატრიალებულ მოვლენებს ეხება.

„ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო გადავწყვიტეთ, ჟურნალის სპეციალური ნომერი მიგვეძღვნა უნივერსიტეტისთვის, საზოგადოებისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის. ახალგაზრდებმა ჩვენი სიტყვა ვთქვით, ჩვენი ნააზრევი დავწერეთ, ჩვენი გრძნობები გადმოვეცით.

ჟურნალის აღნიშნულ ნომერში გთავაზობთ ექსპერტთა სტატიებს, ინტერვიუებს, სტუდენტთა შეხედულებებს... ვფიქრობთ, ობიექტურად გავაშუქეთ მომხდარი, რაც იქნება ერთ-ერთი ძლიერი არგუმენტი ინფორმაციულ ომში გამარჯვების მოსაპოვებლად.

დღეს ჩვენ ყველა ერთად დავდექით საქართველოს დასაცავად, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის მისაღწევად. ქართველი ერის უმთავრესი ღირებულება ხომ ერთიანობაა. ჟურნალი „პირველი სიტყვა“ მადლობას უხდის ქართველ ხალხს ერთსულოვნებისთვის, მადლობას უხდის უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს დევნილთა დასახმარებლად განეული დიდი წვლილისთვის“, — წერს ჟურნალის წინასიტყვაობაში რედაქტორი თეონა ლავრელაშვილი.

ჟურნალის მეორე ნომრის პრეზენტაცია შედგა 20 ოქტომბერს თსუ-ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორიაში, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო სტუდენტებში, არამედ პროფესორ-მასწავლებლებშიც. ეს ინტერესი ჟურნალის მეორე ნომრის თემატიკამაც განაპირობა. გამოცემაში იხილავთ ინტერვიუებს ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან, პოლიტოლოგებთან, მსოფლიო საზოგადოების რეაქციასა და გამოხმაურებებს, ასევე, იმ სტუდენტების ნააზრევს, ვინც აგვისტოს მოვლენების უშუალო მონაწილე იყო.

„მართალია, ეს ჟურნალი ცხელ გულზეა დაწერილი (მასალები ხომ სწორედ აგვისტოს დღეებში გროვდებოდა), მაგრამ იგი თავის სიტყვას მაინც ამბობს. სტუდენტები ცდილობენ ობიექტური სურათის შექმნას. ეს ჟურნალი შეიძლება აღვიქვათ, როგორც ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე პასუხების ძიების დასაწყისი. მართალია, აქ მოვლენების ემოციური შეფასებაა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ჟურნალი „პირველი სიტყვა“ ამ საკითხების განხილვას გააგრძელებს. მიგვაჩნია, რომ წამოჭრილ კითხვებზე ობიექტური პასუხის გაცემაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი“, — განაცხადა პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა მალხაზ მაცაბერიძემ, რომელიც ჟურნალის ფურცლებზე ძალიან საინტერესოდ საუბრობს რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზებსა და შედეგებზე.

„მინდა გავიხსენო აგვისტოს დაძაბული დღეები, როდესაც მომხდარით ყველანი შეშფოთებულნი ვიყავით. თეონა და მისი თანამოაზრეები ფიქრობდნენ იმაზე, რომ თავიანთი სათქმელი ხმამაღლა ეთქვათ, დაეწერათ იმაზე, რაც ხდებოდა სამშობლოში! ამ ჟურნალს ჰქვია „პირველი სიტყვა“ და გამოდის პირველ ქართულ უნივერსიტეტში... თქვენ ბედნიერები ხართ, თქვენი მოღვაწეობა აქ რომ დაიწყეთ. ალბათ, გაცნობიერებულიც გაქვთ პასუხისმგებლობისა და ვალდებულების ტვირთი თსუ-ის წინაშე. გისურვებთ, რომ გქონდეთ ფაქტების ობიექტურად შეფასებისა და კრიტიკული ანალიზის უნარი. მე დიდი სიამოვნებით დაველოდები იმ დღეს, როდესაც რომელიმე თქვენგანი ხელისუფლებაში მოვა და არ გაიმეორებს იმ შეცდომებს, რამაც ამ დღემდე მოგვიყვანა. მჯერა, რომ თქვენ გაიყვანთ საქართველოს იმ ფართო გზაზე, რასაც ევროპისკენ მიმავალი გზა ჰქვია“, — ასე მიმართა სტუდენტებს თსუ-ის ისტორიის მეცნიერებათა პროფესორმა ია ხუბაშვილმა, რომელმაც ბევრი საინტერესო რჩევა მისცა ენთუზიასტ, არაპროფესიონალ ჟურნალისტებს.

ჟურნალ „პირველი სიტყვის“ შემომქმედნი არ აპირებენ მხოლოდ თანატოლებთან თანამშრომლობას. რედაქციის მიზანია თსუ-ის პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებთან ურთიერთობა, ქართველ და უცხოელ სტუდენტებს შორის აზრთა გაცვლის ხელშეწყობა. გამრავალფეროვნდება, ასევე, ჟურნალის თემატიკაც. ნოემბერში გამოვა მისი ლიტერატურული დამატება, სადაც სტუდენტთა შემოქმედება იქნება წარმოდგენილი.

აღსანიშნავი და მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ ჟურნალ „პირველ სიტყვასა“ და გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ შორის, ასევე ჟურნალ „პირველ სიტყვასა“ და გაზეთ "TSU TIMES"-ს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მხარეები თანხმდებიან, რომ შექმნან თავისუფალი სტუდენტური შემოქმედებითი გარემო და ამ მიზნით, ერთობლივად განახორციელონ თემატური ღონისძიებები, ახალგაზრდული ინიციატივები, მოაწყონ „მრგვალი მაგიდა“ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა აქტუალური საკითხის ირგვლივ.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორმა ნინო კაკულიამ სტუდენტურ გაზეთებთან თანამშრომლობის დიდი სურვილი გამოთქვა და დასძინა, რომ თბილისის უნივერსიტეტის წიაღში ყველაზე მთავარია ის, თუ რას ფიქრობს სტუდენტი, რა პოზიცია აქვს მას და თავისუფლების რა ხარისხს ატარებს მისი შემოქმედება...

თანატოლების გვერდში დგომასა და საინტერესო პროექტების, შეხვედრების, საჯარო დისკუსიების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებაზე საუბრობდა გაზეთ "TSU TIMES"-ის რედაქტორი არჩილ კაიკაციშვილიც.

„პირველი სიტყვა“ მზად არის ითანამშრომლოს თითოეულ სტუდენტთან, ყველა ახალგაზრდულ გამოცემასთან, რომელიც სასიკეთოდ წაადგება ჟურნალისტიკის საპასუხისმგებლო გზაზე შემდგარ სტუდენტურ დებიუტს.

პრეზენტაციის ბოლოს სარედაქციო საბჭოს წევრებმა მადლობა გადაუხადეს თსუ-ის ადმინისტრაციას განეული დახმარებისთვის და იმედი გამოთქვეს, რომ ენთუზიასტ სტუდენტებს ნამდვილად გამოუჩნდება გვერდში მდგომი, რომელიც მათ შთაგონებას ფრთებს შეასხამს და დაეხმარება საუნივერსიტეტო სივრცეში ღირსეული ადგილის დამკვიდრებაში.

მოგეხსენებათ, რომ მკითხველის ნდობისა და სიყვარულის მოპოვება ადვილი არ არის... მკითხველის გულებისკენ მიმავალ გზას მხოლოდ სიმართლის მსახურება და სამშობლოს უანგარო სიყვარული გვაპოვნინებს.

როგორც ჟურნალის რედაქტორი შეგვახსენებს: „ერთხელ რუზველტმა თქვა: „არ შეიძლება, არსებობდეს უფრო კეთილშობილური მიზეზი, ვიდრე იმუშაო და იღვაწო მშვიდობისა და სამართლიანობისთვის“. ჩვენც ვმუშაობთ, ვიღწვით და ჩვენი მცირედი წვლილი შეგვაქვს საქართველოს ღირსეული მომავლის შექმნაში", — აღნიშნა თეონა ლავრელაშვილმა.

საჩუქარი

უნივერსიტეტს გიორგი ახვლედიანის პირადი ბიბლიოთეკა გადაეცა

ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის ქალიშვილი, ელენე (ლალა) ახვლედიანი ვერაზე, ელენე ახვლედიანის ქუჩაზე, მამისეულ სახლში ცხოვრობს. ამ სახლში თითოეული ნივთი რელიკვიაა, რაც უკვე ისტორიული წარსულის კუთვნილებას წარმოადგენს. დიდი მეცნიერის პირადი ნივთები თითქმის ხელუხლებლად აწყვია იმავე ადგილზე, სადაც მის სიცოცხლეში ეწყო. ქალბატონი ლალასთვის მათთვის ხელის შევლება წარსულთან შეხებაა. ოთახში დგას საწერი მაგიდა, რომელთანაც დიდი მეცნიერი მუშაობდა, მაგიდაზე დევს ძველი კალენდარი, მარმარილოს სამელნე და კალმისტარი... კედლებს ცნობილი მხატვრების, მათ შორის, ქალბატონი ლალას სეხნიის, მხატვარ ელენე ახვლედიანის ნახატები ამშვენებს. იქვეა ინდოეთში მოგზაურობის დროს შეძენილი მინიატურები... ღრმად მოხუცებულ ქალბატონს წარსული ცხადად ახსოვს, მოგონებები მისთვის ტკივილად ქცეულა, მაგრამ, ამჯერად, მისი ყველაზე დიდი საზრუნავი მაინც ის არის — ვინ მოუვლის მომავალში მამის მემკვიდრეობას.

შურთხია გეროშვილი

გიორგი ახვლედიანის ყველაზე დიდი სიმდიდრე წლების მანძილზე მოპოვებული უნიკალური წიგნები და პირადი არქივია, რომელიც ქალბატონი ლალას გადაწყვეტილებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა.

სახლი, რომელშიც თითქმის საუკუნეა, არაფერი შეცვლილა, მუზეუმს მოგვაგონებს. გაცრეცილ, გახამებულ სუფრაზე გაშლილი ნატიფი ყავის ფინჯანით მირთმეული ყავა და მოგონებები მამაზე — ასეთი იყო გიორგი ახვლედიანის პირადი ბიბლიოთეკის მიღება-ჩაბარების უჩვეულო ცერემონია, რომელსაც თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე, იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლელა ბენიძე და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი მაკა სეხნიაშვილი დაესწრნენ.

დარეჯან თვალთვაძემ ქალბატონ ლალას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის სახელით მადლობა გადაუხადა ასეთი დიდი საჩუქრისთვის და აღუთქვა, რომ გიორგი ახვლედიანის დანატოვარს უნივერსიტეტი სათანადოდ გაუფრთხილდება.

„ქალბატონმა ელენემ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ გამოთქვა სურვილი ბიბლიოთეკის გადმოცემასთან დაკავშირებით. მაშინ მას უნივერსიტეტის რექტორთან, ბატონ გია ხუბუასთან ერთად შევხვდით, ვესაუბრეთ და ხელშეკრულების გაფორმებაზე შევთანხმდით. მან უანგაროდ გადმოსცა ეს წიგნები უნივერსიტეტს. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტის გარემონტების შემდეგ, ბატონი გიორგის წიგნებისთვის სპეციალური ადგილი გამოიყოფა წარწერით: „აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის პირადი ბიბლიოთეკა“. უნივერსიტეტს მართებს ამ მემკვიდრეობის პატრონობა. გიორგი ახვლედიანი ხომ მისი ერთ-ერთი დამაარსებელია. დღემდე ყველა სტუდენტმა იცის მისი სახელი, განსაკუთრებით ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ჩვენ ახლაც გვაქვს გიორგი ახვლედიანის სახელობის კაბინეტი, სადაც განთავსებულია ჩვენს მიერ შეგროვებული წიგნები. ახლა საშუალება გვეძლევა, რომ მისი ბიბლიოთეკა კიდევ უფრო გავაფართოოთ", — აღნიშნა ქალბატონ ელენე (ლალა) ახვლედიანთან საუბარში დარეჯან თვალთვაძემ.

ბიბლიოთეკისა და პირადი არქივის მიღება-ჩაბარების აქტი ოფიციალურად თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა ლელა ბენიძემ გააფორმა.

ლელა ბენიძემ, დარეჯან თვალთვაძემ და მაკა სეხნიაშვილმა ქალბატონ ელენეს თანხასთან ერთად საჩუქრად გადასცეს უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოცემული წიგნი — „უნივერსიტეტი-უნივერსიტას“ და გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“. როგორც ქალბატონმა დარეჯანმა განაცხადა, ამ ჟესტით უნივერსიტეტმა მხოლოდ სიმბოლურად გამოხატა თავისი პატივისცემა უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ქალიშვილისადმი.

ქალბატონი ელენე უნივერსიტეტის თანამშრომლებს გაუმასპინძლდა და მათთან საუბარში გიორგი ახვლედიანის პირადი ცხოვრების ზოგიერთი დეტალიც სიამოვნებით გაიხსენა.

„მამამ ხარკოვში დაამთავრა უნივერსიტეტი. ამ წიგნების უმეტესობა მან რუსეთში შეიძინა. სხვათა შორის, მას სიცოცხლეშივე უნდოდა ამ ბიბლიოთეკის უნივერსიტეტისთვის გადაცემა, მაგრამ რატომ ვერ მოახერხა, ჩემთვის უცნობია. ამიტომ მის სურვილს ახლა მე აღვასრულებ", — განაცხადა ელენე ახვლედიანმა.

ქალბატონმა ლალამ ღიმილით აღნიშნა, რომ მას სწორედ იმიტომ შეარქვეს ზედმეტსახელი, რომ იგი ხშირად მხატვარ ელენე ახვლედიანში ერეოდათ.

„მამა ძალიან საინტერესო პიროვნება გახლდათ. მისთვის ყველაფერი იყო უნივერსიტეტი და თავისი საქმე. ერთმა ცნობილმა ბალტიისპირელმა პროფესორმა უთხრა: — თქვენ ისეთ დიდ სამუშაოს ხართ შეჭიდებული, ოჯახი თქვენთვის ზედმეტი ტვირთიაო. მართლაც, მას პირად ცხოვრებაში არ გაუმართლა. დედა უკრაინელი იყო, რომელიც მამას ნათესავებმა არ მიიღეს. საბოლოოდ ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. ამ ამბავს ძალიან განვიცდიდი“, — გვიამბო ქალბატონმა ლალამ.

საინტერესო იყო, როგორ შეხვდა გიორგი ახვლედიანი ახალგაზრდობაში სტალინს. „ერთხელ მამამ მე და ჩემი მეუღლე ზიჩის ქუჩაზე წაგვიყვანა და ერთ სახლში პატარა ოთახი გვაჩვენა. შემდეგ მოგვიყვა, როგორ შეხვდა ამ სახლში იოსებ ჯუღაშვილს და როგორ იკამათეს მათ პოლიტიკაზე. სტალინს მისთვის უთქვამს: ძალიან ჭკვიანი ახალგაზრდა ხარ, მაგრამ შენი ადგილი პოლიტიკაში არ არის, სჯობს, მეცნიერებას გაჰყვეო. რამდენიმე წლის შემდეგ გიორგი ახვლედიანი სტალინის ერთ-ერთი წიგნის რედაქტორად მიიწვიეს. როდესაც სტალინს მისი გვარი წაუკითხავს, უთქვამს, მე ეს პიროვნება ვიცი, ჩვენ ერთმანეთს შევხვედრივართო", — გაიხსენა ჩვენმა მასპინძელმა. ქალბატონ ლალას ისიც კარგად ახსოვს, აკადემიკოს ჩიქობავას როგორ გადაარქვა სახელი მამამისმა, რომელმაც ბენედიქტეს ნაცვლად არნოლდი დაარქვა.

გიორგი ახვლედიანის ქალიშვილი დღესაც მოგონებებით ცხოვრობს და მამის დანატოვარით ამაყობს.

გამოფენა პატრიარქის მოღვაწეობის უკეთ გაცნობას ისახავს მიზნად

6 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში უჩვეულო გამოფენა გაიხსნა. ღონისძიება, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების 31 წლისთავს მიეძღვნა, „წმიდათა კვირიკესა და ივლიტას ტაძრის“ დეკანოზის მამა გიორგი ყიფშიძისა და თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა. ბანერებზე გამოიფინა პატრიარქის მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები, აგრეთვე გამონათქვამები მისი ეპისტოლეებიდან. სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ნახეს ვიდეო რგოლები: „მიტოვებული ყვავილები“, „ნათელი ბნელში“, „შენ ხარ ქართველი“.

შურთხია ბეროშვილი

პირველი კორპუსის ფოიეში დაიდგა ყუთი, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ მსურველს საშუალება ჰქონდა, პატრიარქისთვის თავისი მილოცვა გაეგზავნა.

„წმიდათა კვირიკესა და ივლიტას ტაძრის“ დეკანოზის მამა გიორგის ინიციატივით ასეთი გამოფენა პირველად გასულ წელს ქარვასლაში მოეწყო, რამაც საკმაოდ დიდი რეზონანსი გამოიწვია. „მინდოდა, ეს გამოფენა სტუდენტებსაც ენახათ. ბანერებზე უწმიდესის ის გამონათქვამები დავწერეთ, რომელიც დღეს ძალიან აქტუალურია. ამ იდეის განხორციელება უნივერსიტეტის რექტორის გიორგი ხუბუასა და თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის გიორგი შამათავას ხელშეწყობით შევძელით. მომავალში სურვილი გვაქვს, ასეთივე გამოფენა საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელსა და სკოლაში მოვაწყოთ“, — განაცხადა მამა გიორგიმ.

ვიდეო რგოლებში, რომლის ავტორი დეკანოზი გიორგი ყიფშიძეა, ასახულია წმიდათა კვირიკესა და ივლიტას მრევლის ფეხით მსვლელობა წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, რომელშიც მრევლმა წმიდათა კვირიკესა და ივლიტას და, ასევე, წმიდა გიორგის ხატები გადაასვენა. აღსანიშნავია, რომ ხატები მამა გიორგის მეუღლემ, ხატმწერმა მადონა ლანჩავამ დაწერა. მისივე შექმნილია ლექსი „შენ ხარ ქართველი“, რომელიც „პატრინოტის“ კონკურსზე აჟღერდა.

„უწმიდესმა თავისი ცხოვრებითა და უფალთან სიახლოვით ძალიან ბევრი გააკეთა და კიდევ ბევრს გააკეთებს საქართველოსთვის“, — განაცხადა სტუდენტებთან საუბრისას მამა გიორგიმ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ერთ-ერთ ეპისტოლეში თავის მისიაზე საუბრობს. იგი წერს: „მძიმეა ჯვარი კათოლიკოს-პატრიარქისა. როცა ჩემი კურთხევა შედგა, ჩემთან მოვიდა ერთი მორწმუნე ადამიანი და მითხრა: „პატრიარქობა მეტად მძიმეა და შენ გჭირდება ზეციური შემწეობა ჩვენი წინაპრებისა, ჩვენს მეფეთა და დედოფალთა, კათოლიკოს-პატრიარქთა, მღვდელმთავართა და წმიდა მამათა დახმარება. აი, თუ შენ მათ მოიხსენიებ, ისინიც მოგიხსენიებენ და შეგეწევიან“.

საგულისხმოა პატრიარქის სხვა მოსაზრებაც: „დღეს ჩვენს ქვეყანას მძიმე განსაცდელი აქვს. ზოგიერთი ადამიანი სასოწარკვეთილებაში ვარდება. ასე არ შეიძლება. სასოება მუდამ უნდა გვქონდეს. საქართველო მუდამ იყო განსაცდელში, მაგრამ მუდამ გამოდიოდა უმძიმესი მდგომარეობიდან. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი დედა მუდამ შეეწევა საქართველოს. არ შეიძლება, რომ დაეცეს ან მოისპოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხვედრი ქვეყანა. ვერავითარი მტერი ვერ სძლევს საქართველოს, იმიტომ, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი იფარავს მას“.

სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია მეორეს ასეთ შეგონებებს ბევრჯერ გაუმხნევებია ქართველი ერი. მისასალმებელია, რომ მამა გიორგის ინიციატივამ, რომელიც პატრიარქის მოღვაწეობის უკეთ გაცნობას ისახავს მიზნად, სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი ინტერესი გამოიწვია.

„სინათლე სიმართლეა!“ — რეზო ჩხეიძის ახალი ფილმის მთავარი მესიჯი

„წუთისოფელი ხანმოკლეა, ხელოვნება კი მარადიული“, — ითქვა რეჟისორ რეზო ჩხეიძის ახალი ფილმის — „ქრისტეს საფლავზე დანთებული სანთელის“ ჩვენებაზე, რომელიც 26 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის დარბაზში გაიმართა. ფილმმა, რომელიც ეკრანებზე ჯერ არ გამოსულა, მოწვეული სტუმრებისა და სტუდენტების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

შურთხია ბეროშვილი

პოსტსაბჭოთა სივრცეში რეზო ჩხეიძე ერთადერთი რეჟისორია, რომლის მთავარ გმირს — ჯარისკაცის მამას სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგეს.მისი შემოქმედების წარმატების ერთ-ერთი „საიდუმლო“ ის არის, რომ ყოველი ფილმი მხატვრული სიმართლით გამოირჩევა. „ცხოვრება დონ-კიხოტისა და სანჩოსი“, „ღიმილის ბიჭები“, „ნერგები“, „მაია წყნეთელი“, „ჩვენი ეზო“, „მაგდანას ლურჯა“, — ეს არასრული ჩამონათვალია იმ ფილმებისა, რომლებიც ქართველმა მაყურებელმა შეიყვარა და მათ დღემდე სიამოვნებით უყურებს.

80 წლის რეჟისორმა მაყურებლის აღფრთოვანება ახლაც მოახერხა და თავისი ფილმისთვის ისეთი თემატიკა შეარჩია, რომელიც აქტუალურობასთან ერთად ქართველებისთვის საკმაოდ მტკივნეულ პრობლემას შეეხება — რა გზით უნდა იაროს ქართველმა ერმა.

ფილმის მთავარი გმირი — ლუკა ბაგრატიონი ქართველ მეფეთა პირდაპირი შთამომავალია. იგი ახალგაზრდა მსახიობია, რომლისთვისაც ცხოვრებაში მთავარი კარიერაა. იგი იერუსალიმში მამაკაცის საუკეთესო როლის მისაღებად მიემგზავრება. წმინდა მიწაზე მოხვედრილი ლუკა მიხვდება, რომ ცხოვრებაში სულ სხვა მისია აქვს და ქრისტეს საფლავზე ანთებული სანთლის საქართველოში ჩამოტანას ცდილობს. ამ რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე გზაზე მან კათარზისი განიცადა და უკვე განწმენდილმა შეძლო თავისი ხალხისთვის რწმენის დაბრუნება. ფილმი ოპტიმისტურად მთავრდება — მთავარი გმირი ყველა სირთულეს გადალახავს და ის დიდი სინათლე, რომელიც ქრისტეს საფლავზე ანთებულ სანთელს ახლავს, საქართველოში შემოვა.

ფილმს მაღალი შეფასება მისცეს კრიტიკოსებმა და ხელოვნებათმცოდნეებმა.

„ეს არის უნიკალური შემთხვევა არა მარტო ქართული კინოს ისტორიაში, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც, როდესაც 80 წლის რეჟისორმა ასეთი რთული სტრუქტურის და ამასთან, მაღალზნეობრივი ფილმი გადაიღო.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ დღეს საქართველოში ეკონომიკურზე მეტად ზნეობრივი კრიზისია, რომელმაც ყველა სფერო მოიცვა. ამ ფილმმა დაგვანახა, თუ რა ძნელია რწმენის შენარჩუნება, მისი დაცვა. გამოკვეთილი მეტაფორა: „სინათლე სიმართლეა!“ — ფილმის მთავარი მესიჯია.

დიდი მადლობა ბატონ რეზოს იმ შემოქმედებისთვის, რომელიც ყოველთვის პატრიოტული იყო, თვით საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის პერიოდშიც“, — განაცხადა კრიტიკოსმა ვასილ კიკნაძემ.

„ფილმი „ქრისტეს საფლავზე დანთებული სანთელი“ ქრისტიანული აზროვნების ნიმუშია“, — აღინიშნა პრეზენტაციაზე. რეზო ჩხეიძეს ახალგაზრდა რეჟისორი ლელა წიფურიაც მიესალმა და ის დრო გაიხსენა, როდესაც იგი კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ ხელმძღვანელობდა.

„რა კარგი იქნებოდა, ოცი წლით უფროსები რომ ვიყოთ! ამ უცნაურ სურვილს თავისი ობიექტური მიზეზი აქვს: — ოცდახუთი წლის წინ, როდესაც ბატონი რეზო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი გახლდათ, გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ ქართული კინო პოსტსაბჭოთა სივრცეში გამორჩეული იყო. არ დაიჯეროთ, რომ კინოსტუდიას როდესმე დიდი ბიუჯეტი ჰქონდა, მაგრამ იმ თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ, რაოდენ დიდი საშუალება არსებობდა იმისათვის, რომ რეჟისორებს თავიანთი ჩანაფიქრი სრულფასოვნად განეხორციელებინათ“, — აღნიშნა ლელა წიფურიამ.

ფილმის შესახებ თავისი აზრი გამოთქვეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა: ირაკლი ბრაჭულმა, დამანა მელიქიშვიმა და სხვებმა.

რეზო ჩხეიძემ უნივერსიტეტში შეკრებილ საზოგადოებას გადამღები ჯგუფის სახელით მადლობა გადაუხადა და ფილმის შექმნის ისტორია გაიხსენა. მისი ინფორმაციით, ფილმის სცენარი, რომელიც შვედი მწერლის შერმან ლაგონდეს ნაწარმოების მიხედვით ამირან დოლიძემ და სულიკო ჟღენტმა დაწერეს, რამდენიმე წლის განმავლობაში თაროზე იდო. ბოლოს ფილმის გადაღება „მოსფილმმა“ ითავა. „გადაღებები ეგვიპტეში, რუსეთში, იერუსალიმში, კონგოში, თურქეთსა და საქართველოში მიმდინარეობდა, რაც გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ძალიან დიდი მხარდაჭერა გვქონდა საპატრიარქოდან, პირადად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს მხრიდან.კონსულტაციებს მამა გიორგი გვიწევდა.ბედნიერი ვარ, რომ ფილმმა დღის სინათლე იხილა, თუმცა მისი ქართულად თარგმნა ფინანსების უქონლობის გამო ჯერ ვერ მოხერხდა“, — განაცხადა რეზო ჩხეიძემ.

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ რეჟისორს მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ ფილმის პრეზენტაცია სწორედ უნივერსიტეტში გაიმართა. რექტორმა ფილმის მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

„ვფიქრობ, შემთხვევითი არ არის, რომ ეს ფილმი ეკრანზე გამოსვლამდე უნივერსიტეტში აჩვენეთ. ამ კედლებში ხომ ჰარმონიულად არის შერწყმული აწმყო და მომავალი, ტრადიციული ფასეულობები და თანამედროვეობა. ბაგრატიონის შთამომავალს, რომელსაც თავისი ხალხისთვის ცეცხლი მიაქვს, ასოცირდება ქართული სახელმწიფოებრიობის იდეასთან. იქნებ იმიტომაც გვიჭირს, რომ ისტორიის მანძილზე მოხდა წყვეტა (ჩვენი დამოუკიდებლობის დაკარგვას ვგულისხმობ) და ახლა დიდი გამოცდის წინაშე დავდექით. ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ძლიერი ერი ვართ. ვინც ამ ფილმს ნახავს, ყველას გულში დაინთება სანთელი რწმენისა, სანთელი იმედის, სიყვარულისა და ერთგულებისა“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

ქეთი დოლიძის პოეზიაში კარგად ჩანს მისი მოქალაქეობრივი პოზიცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კიდევ ერთ საინტერესო ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი. „ლიტერატურული სახელოსნოს“ ხელმძღვანელის, პოეტ ქეთევან შენგელიას ინიციატივით განხორციელდება ლიტერატურული საღამოების ციკლი სახელწოდებით: „მიმდინარე ლიტერატურული პროცესი და 2008 წელს გამოცემული წიგნები“.

შურთხია ბეროშვილი

ამ ეგიდით გამართული პირველი შემოქმედებითი საღამო ახალგაზრდა პოეტის, გურამ რჩეულიშვილის პრემიის ლაურეატის, საქართველოს მწერალთა კავშირისა და პოეზიის ორდენის „მარად ახალი ქნარის“ წევრის ქეთევან დოლიძის ახალი პოეტური კრებულის — „კონკიას ქოში“ პრეზენტაციას მიეძღვნა. შეხვედრას უნივერსიტეტის „ლიტერატურული სახელოსნოს“ წევრები, პოეტები, კრიტიკოსები და ქეთევან დოლიძის ახლობლები ესწრებოდნენ.

ქეთევან დოლიძის წიგნის პრეზენტაციაზე საღამო პოეტმა ქეთი შენგელიამ გახსნა, რომელმაც ავტორს ახალი კრებულის გამოცემა მიულოცა და დამსწრე საზოგადოებას ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებით გზაზე ესაუბრა.

„ქეთი დოლიძის პოეზიაში კარგად ჩანს მისი მოქალაქეობრივი პოზიცია. აღსანიშნავია, რომ მისი ცხოვრება და ლექსები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ის ტკივილი, რაც მან წლების განმავლობაში გადაიტანა, კარგად ჩანს მის შემოქმედებაში. მიუხედავად იმისა, რომ მისი ცხოვრება ია-ვარდით მოფენილი არასდროს ყოფილა, ლექსებიდან საოცარი სითბო და სინათლე იღვრება“, — განაცხადა ქეთევან შენგელიამ და პოეტს თავისი ლექსების ნაკითხვა სთხოვა.

კრებულში შეტანილია პოეტ ვაჟა ოთარაშვილის რეცენზია, რომელშიც იგი ქეთევან დოლიძეს მისი თაობის გამორჩეულ პოეტად მოიხსენიებს. „ქეთის ლექსებში „ძვლებამდე ჩასული სიცივე“ და „შხამად და ძმრად“ გადაქცეული ცხოვრებაც დიდი განცდების — სიხარულისა და ტრაგედიის ტკივილიანი ანარეკლია. მაგრამ ჭეშმარიტი პოეზია განა დიდი ტკივილის გარეშე იძერწება? იოლი არაა, დალხინებულმა „წველა მთვარიდან გამოიყვანო ლექსის კარაქი“. ამ სირთულის მიუხედავად პოეზია მაინც ღვთიური ნეტარებაა“, — წერს ვაჟა ოთარაშვილი.

ქეთევან დოლიძეს ახალი კრებულის გამოცემა მიულოცეს: ჟურნალისტმა ვანო ჯაფარიძემ, პოეტებმა: დავით შემოქმედელმა, ნონა გიორგაძემ და თემურ ჩალაბაშვილმა.

ქეთევან შენგელიას თქმით, სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული „ლიტერატურული სახელოსნო“ უახლოეს ხანში 2008 წელს გამოცემული სხვა წიგნების პრეზენტაციასაც გამართავს, რაც სტუდენტებს თანამედროვე პოეტთა შემოქმედების გაცნობის საშუალებას მისცემს.

ბრიტანელმა ასტრონომებმა კოსმოსში კიდევ ერთი ვარსკვლავური სისტემა აღმოაჩინეს, რომელიც მზის სისტემას ძალიან ჰგავს. მის ცენტრშიც ვარსკვლავია განთავსებული, ირგვლივ კი ორი, დაახლოებით, იუპიტერისა და სატურნის ზომის პლანეტა ტრიალებს. მეცნიერთა აზრით, პლანეტები გაცილებით მეტია, თუმცა ყველაზე კარგად, ჯერჯერობით, მხოლოდ ეს ორი მოჩანს. სენტ-ენდრიუს უნივერსიტეტის პროფესორის მარტინ დომინიკის აზრით, ეს აღმოჩენა უდავოდ ადასტურებს, რომ სამყაროში მზის სისტემის მსგავსი სისტემები გაცილებით მეტია, ვიდრე აქამდე ითვლებოდა და შესაძლოა დედამიწის მსგავსი პლანეტაც მოიძებნოს. „ამას მხოლოდ დრო სჭირდება“, - განაცხადა პროფესორმა.



დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტში (University of West England) დეივ მაკგორანის ხელმძღვანელობით შეიქმნა „გულისხმიერი“ რობოტი (Heart Robot), რომელსაც ბავშვის სახე და „ადამიანური ემოციების“ აღქმის უნარი აქვს. იგი რბილი პლასტიკისგან არის დამზადებული, რაც რობოტს საშუალებას აძლევს ისუნთქოს, თვალები ახამხამოს და მუშტებიც კი მოკუმშოს, როცა რაიმე არ მოეწონება. მას უყვარს, როცა ეხვევიან და ეფერებიან, ამ დროს იგი სიამოვნებისგან თავს და თვალებს ამოძრავებს. რობოტის ნერვული სისტემა ხუთი მინიატურული კომპიუტერისგან შედგება. ეს საშუალებას აძლევს გარეგან სტიმულებს ადეკვატური რეაქციით უპასუხოს. რობოტს მოძრავი კიდურებისა და თვალების გარდა გულიც კი აქვს, რომელიც მოფერებისას ნელა ცემს, ხოლო თუკი გაუბრაზდები და უყვირებ, გულის ცემა საგრძნობლად უჩქარდება.

მსოფლიო ენციკლოპედიაში — „ვიკიპედია“ სტატიების რაოდენობით ათ მილიონს გადასცდა. როგორც ცნობილია, ეს უმსხვილესი საძიებო პროექტი ათასობით მოხალისე ავტორის შრომით იქმნება და ყოველდღიურად მისი ბაზა ორი ათასი სტატიით ივსება. პროექტის „იდეურმა მამამ“ და ფონდ „ვიკიპედიის“ მეპატრონემ ჯიმ უეილსმა ეს პროექტი 2001 წელს ინგლისურენოვანი ინტერნეტ-ცნობარის, „ნუპედიას“ ბაზაზე ჩაიფიქრა. დღეს კი „ვიკიპედია“ სტატიათა რაოდენობით მსოფლიოს ნებისმიერ ენციკლოპედიას ბევრად უსწრებს. ჟურნალი Nature დაინტერესდა — რამდენად ეთანხმება „ვიკიპედიის“ ბაზა მსოფლიო ენციკლოპედიებს და რამდენად მაღალია შეცდომების ალბათობა. ამისათვის „ვიკიპედიისა“ და ცნობილი ენციკლოპედიის „ბრიტანიკა“ ლექსიკონები ერთმანეთს შეადარეს, შეცდომები გააანალიზეს და აღმოაჩინეს, რომ ორივე ლექსიკონში თითქმის ერთნაირი რაოდენობის შეცდომები იყო. Nature-ს შეკითხვას, თუ რით არის განპირობებული ასეთი სიზუსტე, პასუხი სპეციალისტებმა გასცეს. ჯერ ერთი, საიტს საკმაოდ მკაცრი კონტროლი აქვს დაწესებული და რაც მთავარია, კონფლიქტების დასარეგულირებლად ე.წ. სტიუარდები ჰყავთ აღმოცენებული. მაგრამ, უმთავრესი მაინც „ვიკიპედიის“ სტრუქტურაა. არც ერთი სტატია იქ დამოუკიდებლად არ დევს. ყოველი მათგანი ლინკებით უამრავ სხვა სტატიასთანაა დაკავშირებული, რაც სიზუსტის გარანტიას იძლევა.

ეგვიპტელი მეცნიერები ფარაონ ტუტანჰამონის სამარხში აღმოჩენილი ორი მუმიფიცირებული ემბრიონის დნმ-ის ანალიზს ატარებენ. ეს ორი, მდედრობითი სქესის ემბრიონი, რომელიც ხუთი-შვიდი თვის იქნება, ტუტანჰამონის სამარხში მისი გახსნის დროს, 1922 წელს იპოვნეს. ეგვიპტის სიძველეთა საბჭოს თავმჯდომარის ზაჰი ჰაუსის განცხადებით, იგეგმება ემბრიონთა დნმ-ის ტუტანჰამონის მუმიის დნმ-თან შედარება, რათა გაირკვეს — რა მიზნით იყო ეს ემბრიონები სამარხში მოთავსებული: იმიტომ, რომ ფარაონის შთამომავლები იყვნენ თუ სიმბოლურად, რათა ფარაონს „იმ ქვეყნადაც ახალშობილივით ეცხოვრა“. შეგახსენებთ, რომ ისტორიკოსებს ტუტანჰამონის წარმოშობის შესახებ არაერთგვაროვანი შეფასება აქვთ. ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ იგი მერვე დინასტიის ფარაონ ეჰნატონის ვაჟია, რომელიც ეგვიპტეში მონოთეიზმის დანერგვას ცდილობდა, მეორე ნაწილი კი თვლის, რომ იგი ნაკლებად ცნობილი ფარაონის შვილი იყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტუტანჰამონი მერვე დინასტიის ერთ-ერთი უკანასკნელი ფარაონი იყო, რომელიც არეულ ხანაში მეფობდა, მაშინ, როცა მონოთეიზმის იდეამ კრახი განიცადა, ძალაუფლება კი ქურუმთა ხელში გადავიდა და იგი ცხრამეტი წლის ასაკში მოკლეს. დღესდღეობით ითვლება, რომ ტუტანჰამონს შთამომავლობა არ დაუტოვებია, ამიტომ ეგვიპტელ მეცნიერთა ანალიზმა ბევრ საიდუმლოს შეიძლება ახადოს ფარდა.

„სამსახურში გაგვიანდება? გაფრინდი!“ – ასეთი დევიზით გამოიტანა გლენ მარტინმა ვისკონსინში გამართულ შოუ AirVenture Oshkosh-2008-ზე ახალი საფრენი აპარატი, რომელსაც „მსოფლიოში პირველი პრაქტიკული დანიშნულების რეაქტიული ზურგჩანთა“ უწოდა. Daily Telegraph წერს, რომ მარტინის თექვსმეტი წლის ვაჟიშვილმა ჰარისონმა შლემი დაიხურა და ჰაერში ისე მსუბუქად აიჭრა, მისი შეკავება მხოლოდ ორმა ძლიერმა მამაკაცმა შესძლო. ძრავის ჩართვისთანავე ჰარისონი მიწას სამი ფუტის სიმაღლით ასცდა და ჰაერში ორმოცდახუთი წამი ეკიდა. მარტინის აპარატს Jet Pack უწოდეს, მისი მეშვეობით საშუალო წონის ადამიანს შეუძლია ნახევარ საათში 45 კილომეტრი დაფაროს. საწვავის საცავი, დაახლოებით, ოც ლიტრ ბენზინს იტევს. 48 წლის გამომგონებელი, რომელიც აპარატის გამოგონებაზე თითქმის სამი ათეული წელი მუშაობდა, მომავალი წლიდან მის გაყიდვას გეგმავს. საცალო ფასი კი, დაახლოებით, ასი ათასი დოლარი იქნება.

კომპანია Sharp-მა ახალი, ეკოლოგიური, 26 დიუმიანი, თხევად-კრისტალური ტელევიზორის მოდელი წარმოადგინა. ამ საოცრად თხელ ტელევიზორს, რომლის სიგანეც მხოლოდ ორი სანტიმეტრია, შტეფსელში შესაერთებელი სადენი საერთოდ არა აქვს, რადგან მზის ბატარეით იკვებება, თანაც ენერგორესურსები სამჯერ უფრო ნაკლები სჭირდება, ვიდრე ჩვეულებრივ ტელევიზორს. როდის გამოჩნდება ბაზარზე და რა ეღირება ასეთი ტელევიზორი, კომპანიის წარმომადგენელს არ დაუკონკრეტებია. მან მხოლოდ აღნიშნა, რომ პოტენციურ მყიდველად იმ 1,6 მილიარდ ადამიანს მიიჩნევს, ვისაც სახლში ელექტროენერგია საერთოდ არ აქვს.

დედამიწაზე ნავთობის მარაგის შემცირებასთან ერთად მეცნიერები სულ უფრო და უფრო უფიქრდებიან ალტერნატიული საწვავის შექმნის იდეას. ერთ-ერთ ასეთ იდეად ბიოლოგიური საწვავი განიხილება, თუმცა ეკოლოგიის პროფესორის დევიდ პიმენტელის აზრით, მცენარეული ბიომასების გამოყენება თხევადი საწვავის მისაღებად ეკონომიკურად გაუმართლებელია. მაგალითად, სიმინდისგან თხევადი საწვავის მიღებას 29%-ით მეტი ენერგია სჭირდება, ვიდრე თავად იძლევა. ამგვარად, მისი გამოყენება ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება, მაგრამ მას თხევადი საწვავის ალტერნატიულ სახეობად ვერ განვიხილავთ. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ლუის ბრუსი კი დარწმუნებულია, რომ ასეთი ალტერნატიული წყარო მზის ენერგია გახდება. „ნავთობს სწორედ მზე შეცვლის, ენერგოუსაფრთხოების პრობლემასაც გადაჭრის და მსოფლიოს სტაბილურობასაც მიანიჭებს“, — განაცხადა მან.

ამასთანავე, მსოფლიო სამეცნიერო გონებას სერიოზულად აწუხებს აზრი, რომ საწვავის ალტერნატიულ წყაროებს სასოფლო-სამეურნეო მიწის დიდი ფართობები დასჭირდება. ამის გამო შეიძლება დედამიწაზე ტოტალური შიმშილობის პრობლემა წარმოიშვას.

როგორც ჩანს, კომპანია Google-ს კონკურენტი გამოუჩნდა. მისმა ყოფილმა თანამშრომლებმა ახალი საძიებო სისტემა Cuil შექმნეს, რომელიც Google-ის შესაძლებლობებს სამჯერ აღემატება. ახალ საძიებო სისტემას 121 მილიარდ ვებ-გვერდს შორის შეუძლია ძებნა, შედეგებს ეკრანზე რამდენიმე კოლონად ალაგებს, შეკითხვას ავტომატურად ანიჭებს კატეგორიას და პასუხს გაცილებით უფრო სწრაფად პოულობს. ამ ახალ კომპანიას, რომელსაც 33 მილიონიანი დაფინანსება აქვს, სულ 10-15 კაცი ემსახურება.



„გონებრივი შრომა ჭარბი კალორიების მიღებას და ფიზიკური აქტივობის დაქვეითებას უწყობს ხელს. ინდუსტრიულ ქვეყნებში სიმსუქნის „ეპიდემიის“ გავრცელება მხოლოდ ამით შეიძლება ავხსნათ“, — განაცხადა კანადელმა მკვლევარმა ჟან-ფილიპ შაპუმ. თოთხმეტ მოხალისე სტუდენტს მან სამი სახეობის აქტიურობა შესთავაზა: მჯდომარე დასვენება, ტექსტის კითხვა და მისი დაკონსპექტება და მეხსიერებისა და ყურადღების შემსწავლელი კომპიუტერული ტესტების გავლა. თითოეული აქტივობა 45 წუთი გრძელდებოდა, რის შემდეგაც სტუდენტებს ბუფეტში წასვლას და სასურველი საკვების მიღებას სთავაზობდნენ. ექსპერიმენტმა გამოავლინა, რომ სტუდენტები ტექსტის დაკონსპექტების შემდეგ 203-ით, კომპიუტერული ტესტის გავლის შემდეგ კი 253 კალორიით მეტ საკვებს მოიხმარდნენ, ვიდრე დასვენების შემდეგ. რეალური ენერგოდანახარჯი კი ინტელექტუალური შრომის შემდეგ მხოლოდ სამი კალორიით იზრდებოდა. გარდა ამისა, მოხალისე სტუდენტების სისხლის ანალიზიც შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ ინტელექტუალური შრომის დროს სისხლში გლუკოზის ისეთი რხევები აღინიშნებოდა, რაც დასვენების დროს არ იყო. მეცნიერთა აზრით, მიზეზი სწორედ ეს იყო. თავის ტვინს მხოლოდ გლუკოზის გამოყენება შეუძლია, ინტელექტუალური შრომის დროს მარაგი სწრაფად იხარჯება და საკვებზე მოთხოვნილება იზრდება. გასუქების თავიდან ასაცილებლად სპეციალისტები ყველას ურჩევენ ფიზიკური აქტივობა გაზარდონ და საკვების რაოდენობა გააკონტროლონ.

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი	ლიკა პეტრიაშვილი
კომპიუტ. უზრუნველყოფა	თამარ ქავჟარაძე

რედკოლეგიის წევრები:
ნოდარ ბელქანია, გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნანა ჭიღლაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ.1
22 10 34